

ბოიკოტის ტაქტიკა და სტრატეგია

A2



ერთადერთი გზა დიალოგია

A5



CARLITO`S WAY

A6

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 18 აპრილი, 2006 წელი. №84 (1236) | ფასი 50 თეთრი

## ამბები

### პოლიტიკური თუ ტექნიკური ბრძოლა?

რუსი დიპლომატი, გრიგოლ კარასინი, წინასწარ დაგეგმილი ვიზიტით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრსა და მის მოადგილეს შეხვდა. მხარეებმა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ფართო სპექტრი, მათ შორის, კონფლიქტების დარეგულირების პრობლემატიკა და საქართველოდან ღვინის, ღვინომასალისა და მცენარეული პროდუქციის შეტანაზე დაწესებული აკრძალვის საკითხები განიხილეს.

A2

## სხვადასხვა

### დაბრუნება სტარტთან

I'LL BE BACK - ეს შვარცნეგერის სიტყვებია, "ტერმინატორიდან" და ნიშნავს "მე დავბრუნდები". თუმცა, ბოლო დროს, ამ ცნობილ ფრაზას ტერმინატორის ნაცვლად მივიწყებული მუსიკალური ჯგუფები იმეორებენ.

A8

## ბიზნესი

### ფადი ნაჰასისა და ფადი ასლის შორის დაპირისპირების გამო, შესაძლოა, კომპანიებმა "Dole"-მა და "Sadia"-მ საქართველო დატოვონ



B4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 18/04 | 19/04 |
|---|---|---|
| თბილისი | 19 | 22 |
| ქუთაისი | 17 | 21 |
| გორი | 15 | 20 |
| ონი | 9 | 16 |
| ზუგდიდი | 22 | 25 |
| სამტრედია | 22 | 24 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8190 |
| ევრო | 2.2135 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1949 |
| რუბლი | 0.0658 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# აფხაზური ოცნება

## რეპატრიაციის პერსპექტივა უცნობი შედეგებით

დიმიტრი ავალიანი

*აფხაზური ხელისუფლება დემოგრაფიული და პოლიტიკური ჩიხიდან გამოსავალს მოჰაჯირთა შთამომავლების რეპატრიაციაში ხედავს. ამ გეგმის რეალიზაციამ კი, შესაძლოა, კავკასიის პოლიტიკური სურათი მთლიანად შეცვალოს. რას უნდა ელოდოს ამ შემთხვევაში საქართველო?*

**"თურქეთში მცხოვრები აფხაზური დიასპორის ნაწილს აფხაზეთში დაბრუნება სურს",** - ეს განცხადება "დემოკრატიის კავკასიური ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალის" დირექტორმა სოკრატ ჯინჯოლიამ გასულ კვირაში, თურქეთში ვიზიტის შემდეგ გააკეთა.

გაგრძელება A3 გვერდზე



*დემოგრაფიული უპირატესობა - კვლავაც განუხორციელებელი უტოპია აფხაზებისთვის.*

# რა შეაჩერებს ნავთობის ფასების ზრდას?

B

მერაბ ლორთქიფანიძე

*ანალიტიკოსთა ვარაუდით, გამორიცხული არ არის, რომ ბარელი ნედლი ნავთობის ფასი 100 დოლარამდეც კი ავიდეს. ნიგერიაში ნავთობის მოპოვების საგრძნობლად შემცირებას და ირანის კრიზისს შედეგად ის მოჰყვა, რომ აშშ-ში ნედლი ნავთობის ფასი წელს 13 პროცენტით გაიზარდა (14 აპრილის მონაცემებით) და 2 დოლარიღა აკლია ყველა დროის რეკორდამდე (ბარელში 70.85 დოლარი), რაც შარშან, აგვისტოში (მაშინ ნავთობის კატასტროფული ზრდა ქარიშხალმა "კატრინამ" გამოიწვია) დაფიქსირდა.*



# "ძნელია პროგნოზირება, როდის მიაღწევს სასამართლო სრულ დამოუკიდებლობას"

ინგა ალავიძე

*რვა წლის წინათ ხმაურიანად დაწყებული სასამართლო რეფორმა ჩავარდა. წლების შემდეგ "ვარდების რევოლუციით" მოსულმა ხელისუფლებამ ქართული მართლმსაჯულების რეფორმირება თავიდან დაიწყო. დღეს, მესამე ხელისუფლებაში მიმდინარე სარეფორმო პროცესებს მკაცრად აკრიტიკებენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, შენიშვნებს გამოთქვამენ და არსებული პრობლემების გამოსასწორებლად რეკომენდაციებს იძლევიან საერთაშორისო ექსპერტებიც. რა ხდება სასამართლო ხელისუფლებაში? არის თუ არა ის დამოუკიდებელი, კანონმორჩილი და პროფესიონალი მოსამართლეებით დაკომპლექტებული ის ბაზისი, რომელზეც ძლიერი დემოკრატიული ქვეყანა უნდა აშენდეს? - ამ და სხვა შეკითხვებზე გვპასუხობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი.*

გაგრძელება A4 გვერდზე



ბექა გულაშვილის ფოტო

*"სასამართლო რეფორმა თავიდან დავიწყეთ"*

# გზა სახელისუფლებო კარუსელიდან აიწონა-დაიწონამდე

## "ღვინის კრიზისის" შესაძლო პოლიტიკური შედეგები

ია ანთაძე

საზოგადოება გაოცებული დარჩა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა ღვინის კრიზისის მოგვარება თავდაცვის მინისტრს - ირაკლი ოქრუაშვილს დაავალა. მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ოქრუაშვილს კარგი ბიზნეს-გამოცდილება აქვს და, თან, ყველა დავალებას წარმატებით ართმევს თავს. ეს ორი არგუმენტი მაინც არასაკმარისი აღმოჩნდა პრეზიდენტის ერთობ უცნაური გადაწყვეტილების ასახსნელად.

შეიძლებოდა, მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილება, რომ ქართული ღვინისთვის ახალი ბაზარი თავდაცვის მინისტრმა უნდა მოძებნოს, განსაკუთრებული აჟიოტაჟის მიზეზი არც გამხდარიყო, მაგრამ ამ დავალებას ოპოზიციის მხრიდან მოჰყვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური განცხადება, რომელსაც მთელი დღის განმავლობაში პირველ სიუჟეტად გადასცემდა ტელეკომპანია "იმედის" საინფორმაციო სამსახური. ოპოზიციის თვალსაზრისით, ამიერიდან პრეზიდენტი ირაკლი ოქრუაშვილს განიხილავდა არა იმდენად თავდაცვის მინისტრად, რამდენადაც პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ნატო-სკენ გადადგმული ნაბიჯები

*"გულწრფელად გეტყვით, გასულ წელთან შედარებით საქართველოს მიმართ განწყობა ძლიერ შეცვლილია უკეთესობისკენ," - თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკა რურუა 13 აპრილს ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში გამართული ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომიდან ამ განწყობით დაბრუნდა. სხდომა 26+1 ფორმატში გაიმართა, სადაც ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის თვალსაზრისით საქართველოს მიერ მიღწეული შედეგები იქნა განხილული. როგორ შეაფასეს ბრიუსელში საქართველოს ხელისუფლების მიერ ნატო-სკენ გადადგმული ნაბიჯები, ამის შესახებ "24 საათს" ნიკა რურუა ესაუბრება.*

სოფო ბუკია

**- ბატონო ნიკა, რა კონკრეტული შედეგებით დასრულდა ბრიუსელში ვიზიტი და რა დასკვნა დაიწერა საქართველოზე ნატო-ს შემფასებელთა მისიის მიერ?**

- ზოგადად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ მიერ მიღწეული წარმატებების მიმართ მთლიანობაში ძალიან პოზიტიური განწყობა გამოვლინდა. განსაკუთრებით დადებითი გამოხმაურებები მოჰყვა საქართველოს მიერ თავდაცვის სფეროში განხორციელებულ რეფორმებს. როგორც იცით, ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა ანუ IPAP-ი ოთხი ნაწილისგან შედგება. თავდაცვის სფეროს მხოლოდ მეორე ნაწილი ეხება. აქ ასევე არის ზოგადი ნაწილები, რომლებიც ქვეყანაში მთლიანად დემოკრატიის ხარისხს ეხება და დემოკრატიული ფასეულობების ისეთ ფართო სპექტრს მოიცავს, როგორიცაა თავისუფალი მედია, ადამიანის უფლებები, გამართული საარჩევნო სისტემა და ა.შ. ძირითადად მაინც თავდაცვის სფეროში განხორციელებული რეფორმების შესახებ იყო საუბარი და ამ კუთხით ძალიან პოზიტიური განწყობა დაფიქსირდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# IREX-თანხების მითვისებისთვის დაკავებული ცოლ-ქმარი

*საერთაშორისო ორგანიზაცია IREX-ის საქართველოს ბიუროს ყოფილი დირექტორი ორგანიზაციისვე კუთვნილი თანხების მითვისების ბრალდებით, მისი მეუღლე კი ამ ქმედების წაქეზებისათვის დააპატიმრეს.*

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ-ის) თანამშრომლებმა გუშინწინ, გამთენიისას საერთაშორისო ორგანიზაცია IREX-ის საქართველოს ბიუროს ყოფილი დირექტორი, სალომე მუჯირი და მისი მეუღლე, დავით როგავა დააკავეს.

სოდ-ის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსის ლევან გურგენიძის განცხადებით, სალომე მუჯირს, რომელიც IREX-ის საქართველოს ბიუროს 2003-2005 წლებში ხელმძღვანელობდა, თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ამავე ორგანიზაციის კუთვნილი თანხის, დაახლოებით მილიონი ლარის მითვისება ბრალდება, მის მეუღლეს, სადაზღვევო კომპანია "ალდაგის" ყოფილ იურისტს, დავით როგავას კი მისი ამ ქმედებისკენ წაქეზებას ედავებიან.

საერთაშორისო ორგანიზაცია IREX-ი საქართველოში წლების მანძილზე სამოქალაქო განათლების და მედიაპროექტებს აფინანსებდა. საქართველოს ბიურომ ფუნქციონირება წელს, თებერვალში შეწყვიტა. რაც შეეხება სალომე მუჯირს, ქართველ სამართალდამცველთა განცხადებით, მის მიმართ გამოძიება მას შემდეგ დაიწყო, რაც ამ თხოვნით მათ თვით IREX-ის სათავო ოფისმა მიმართა.

როგორც გურგენიძე ამბობს: **"სალომე მუჯირს თანხების განკარგვის სრული უფლება გააჩნდა, ხოლო მისი მეუღლე, რომელიც იმ პერიოდში სადაზღვევო კომპანია "ალდაგის" იურისტი იყო, მასთან ერთად, დანაშაულებრივ საქმიანობას ეწეოდა, კერძოდ, ცოლს დანაშაულის ჩადენისკენ აქეზებდა და ხშირ შემთხვევაში, მუჯირის მაგივრადაც გამოჰქონდა თანხები ბანკიდან".**

გამოძიების ინფორმაციით, როცა პირთა ჯგუფი პროექტის დასაფინანსებლად მუჯირთან მიდიოდა, იგი ამერიკაში, სათავო ოფისში, დასახელებულ თანხაზე მეტის შეკვეთას აკეთებდა. მაგალითად, 15 000 დოლარის ნაცვლად, 40 000-ს ითხოვდა - ნაშთს კი ითვისებდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# პოლიტიკური თუ ტექნიკური ბრძოლა?

*რუსი დიპლომატი, გრიგოლ კარასინი, წინასწარ დაგეგმილი, გაცნობითი ხასიათის ვიზიტით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრსა და მის მოადგილეს შეხვდა. მხარეებმა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ფართო სპექტრი, მათ შორის, კონფლიქტების დარეგულირების პრობლემატიკა და საქართველოდან ღვინის, ღვინომასალისა და მცენარეული პროდუქციის შეტანაზე დაწესებული აკრძალვის საკითხები განიხილეს.*

ნათია მსხილაძე

რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობების ფონზე, თბილისში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, გრიგოლ კარასინი ჩამოდის და საგარეო უწყების ხემძღვანელობასთან ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე გაცნობითი ხასიათის შეხვედრას მართავს.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის განმარტებით, რუსეთში ქართული ღვინის იმპორტის აკრძალვა ხარისხთან დაკავშირებული პრობლემებია, რომლის გადასაჭრელად რიგი ტექნიკური საკითხებია მოსაგვარებელი.

როგორც რუსი დიპლომატი ირწმუნება, რუსეთში ქართული ღვინის იმპორტის აკრძალვას პოლიტიკურ მოტივებთან საერთო არ აქვს, უბრალოდ რუსეთი საკუთარ მომხმარებლებს იცავს. **"გასულ კვირას მხარეებს შორის გამართულმა შეხვედრებმა გვაჩვენა, რომ თანამშრომლობის გზები ნაპოვნია, რაც პრობლემის მარტივად გადაჭრაში დაგვეხმარება"**, -აღნიშნა კარასინმა.

რუსეთი ღვინოსთან დაკავშირებულ პრობლემების პოლიტიკურ მოტივებს კატეგორიულად უარყოფს, თუმცა ქართული მხარე დაჟინებით აცხადებს, რომ რუსეთში ქართული ღვინის იმპორტის აკრძალვა არა ტექნიკური, არამედ სუფთა პოლიტიკური პრობლემაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბეჟუაშვილისა და კარასინის გუშინდელი შეხვედრა მარტო ღვინის პრობლემაზე საუბრით არ შემოიფარგლებოდა. მხარეებმა, სავიზო რეჟიმისა და კონფლიქტების მოგვარების საკითხები განიხილეს. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით შეხვედრა მხოლოდ "გაცნობითი" ხასიათის იყო და მასზე რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილებები არ მიუღიათ.

საქართველოში რუსი დიპლომატის ვიზიტს კი, პარლამენტის თავმჯდომარე , ნინო ბურჯანაძე უმნიშვნელოვანესს უწოდებს. მისი თქმით, დიდი ხანია რუსეთიდან საქართველოში ასეთი მაღალი რანგის სტუმარი აღარ ჩამოსულა.

პარლამენტის თავმჯდომარემ, ბიუროს სხდომაზე იმედი გამოთქვა, რომ რუსეთში ქართული ღვინისა და "ბორჯომისთვის" შექმნილი პრობლემები საბოლოოდ გაირკვევა.

**"ქართულ მხარეს ალკოჰოლური სასმელების იმპორტის შეწყვეტის საკითხის ზედმეტი პოლიტიზების სურვილი არ ჰქონია. თუმცა, ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ საქართველოსა და რუსეთის ოფიციალურ წარმომადგენლებს შორის დიალოგის გამართვა ფაქტობრივად ვერ მოხერხდა. საქართველოს ხელისუფლება მზად არის, რომ გამართოს მოლაპარაკებები და წავიდეს დიალოგზე. თუ საქმე გვაქვს მართლაც ღვინის ფალსიფიცირებასთან, ამ მოვლენას ერთობლივი ძალებით უნდა ვებრძოლოთ"**,- აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

# რუსეთი დნესტრისპირეთს კრედიტს გამოუყოფს

რუსეთი მზად არის დნესტრისპირეთს 150 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტი გამოუყოს, ხოლო 50 მილიონი დოლარი კი უპიროზოდ გადასცეს. კრედიტის სანაცვლოდ რუსეთი გირაოში დნესტრისპირეთის სახელმწიფო ქონებას იტოვებს. თუ ეს უკანასკნელი კრედიტს დათქმულ ვადაში ვერ დაფარავს, მაშინ ადგილობრივი ქარხნები და კომბინატები რუსეთის დაქვემდებარებაში გადავა.

გარიგების დეტალები თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრმა ლენა ჩერნენკომ უკვე შეათანხმა რუსეთის ფედერაციის ფინანსთა სამინისტროსთან. თვითაღიარებული რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ გირაოს ნუსხაში, შესაძლოა, ავტომწარმოებელი და ელექტროტექნიკური საწარმოები მოხვდნენ.

მოლდოვას ცენტრალური ხელისუფლება უარყოფითად აფასებს დნესტრისპირეთის სახელმწიფო საწარმოების რუსეთის იურისდიქციაში გადაცემას და მიიჩნევს, რომ ყოველგვარი საწარმოს გასხვისება პარლამენტთან შეთანხმების შედეგად უნდა განხორციელდეს. "წინააღმდეგ შემთხვევაში, უცხოელი ინვესტორების ქმედება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად შეფასდება," - აცხადებს მოლდოვას პარლამენტის დეპუტატი დმიტრი ბრაგიში.

*ჯი ეიჩ ენი*

# "თავისუფალი სიტყვა"

**გადაცემას მოისმენთ სამუშაო დღეებში 13-დან 14 საათამდე. გადაცემა მიჰყავდა რადიო "თავისუფლების" ჟურნალისტს თამარ ჩიქოვანს. გადაცემის სტუმარი იყო "ტრადიციონალისტთა კავშირის" თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

**თ.ჩ.:** რამდენად წარმეტებული შეიძლება აღმოჩნდეს ოპოზიციის ტაქტიკა, ანუ ბოიკოტირება საპარლამენტო სხდომების?

**ა.ა.:** თავისთავად ეს ნაბიჯი საინტერესოა, რა გამოვა აქედან, ეს სხვა საკითხია. თუ ბოიკოტს ექნება მიზანმიმართული ხასიათი, მაშინ წარმატებული ნაბიჯია.

**თ.ჩ.:**მე მინდა საპარლამენტო ცხოვრებიდან რამდენიმე ფაქტი გავიხსენო და აღვნიშნო, რომ სხდომების ბოიკოტირება ახალი არ არის ოპოზიციის მხრიდან. ასეთი შემთხვევები თითქმის ყოველთვის დასრულდა იმით, რომ ოპოზიცია დაუბრუნდა ძველ რეჟიმს, თუმცა მათი მოთხოვნები არ შესრულებულა. ამჯერად მიაღწევს თუ არა ოპოზცია თავისას?

**ა.ა.:** ორი ვარიანტია, ან საპარლამენტო ოპოზიცია რჩება პარლამენტის ფარგლებში და ის ემსგავსება დახურულ სივრცეს, ან მას აქვს კონტაქტი საზოგადოებასთან.

**თ.ჩ.:** უმრავლესობა ეჭვქვეშ აყენებს საპარლამენტო ოპოზიციის ერთიანობას. რამდენად ერთიანია დღეს ოპოზიცია?

**ა.ა.:** რა მნიშვნელობა აქვს ამას უმრავლესობისთვის, არ მესმის. მათ თავის საქმეს უნდა მიხედონ. უმრავლესობის მოსმენას აზრი არ აქვს. თავად მიხეილ სააკაშვილის მოსმენამაც კი აზრი დაკარგა. სამი წელია რაც ერთი და იგივეს ვისმენთ... ყველამ ჩვენს საქმეს უნდა მივხედოთ. საჭიროა, მოვიფიქროთ ეს ხელისუფლება რომ შეიცვლება, მერე რა ვქნათ. უნდა შევთანხმდეთ ქვეყნის მმართველობის ფორმაზე. 15 წელია ისმის რეალური თვითმმართველობის მოთხოვნა, ამჟამად ჩვენ ვართ ამის ინიციატორები და საპარლამენტო უმრავლესობაც მხარს გვიჭერს ამ საკითხში.

**მსმენელი:** მთავარია ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობა. უკრაინა გადავიდა საპარლამენტო მმართველობაზე. ხომ არ ჯობია, უახლოეს მომავალში პოლიტიკურმა პარტიებმაც მოილაპარაკონ და ჩვენც გადავიდეთ საპარლამენტო მმართველობაზე?

**ა.ა.:** თუ პოლიტიკოსები შეძლებენ გამოხატონ თქვენნაირი ადამიანების ნება, კარგია. პოლიტიკოსების ვალია საზოგადოებრივი აზრის ამოცნობა, კონსოლიდირება და განხორციელება. ჩვენში სხვა ამოცანებს ისახავენ მიზნად. არსად, არც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში არ ვიცით წარმატებული საპრეზიდენტო მმართველობა. წარმატებულია მხოლოდ ამერიკაში. უნდა ვიფიქროთ ამაზე და ჩვენც იგივე პოზიცია გაგვაჩნია. უკრაინაში იუშჩენკომ წააგო არჩევნები, მაგრამ ამის არ შერცხვენია და არ შეშინებია. ჩვენ ერთს გავაგდებთ, მეორეს მოვიყვანთ და ასე გაუთავებლად...

**მსმენელი:** მეც ვუჭერ მხარს საპარლამენტო მმართველობას. თუმცა, ვფიქრობ, რომ 235 დეპუტატი ასეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ბევრია. ეს არის სამჯერ მეტი. ძალიან მაინტერესებს, რით ტვირთავს ნინო ბურჯანაძე ამ დეპუტატებს, რომ მეხუთედ შეიტანეს შესწორება თავიანთი ხელფასების გაზრდასთან დაკავშირებით. მეორეც, პარლამენტში თავპირს ამტვრევენ ერთმანეთს და რა გააკეთა ისეთი გურამ შარაძემ, რომ დააკავეს? ყოფილა შემთხვევა და ეს უნივერსიტეტის ახალმა რექტორმაც დამიდასტურა, რომ უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხნენ ისეთი აბიტურიენტები, რომლებსაც ეროვნული გამოცდები არ ჩაუბარებიათ. რა ხდება ამ საკითხთან დაკავშირებით?

**ა.ა.:** მეც გეთანხმებით, რომ დეპუტატების რაოდენობა მართლაც დიდია. მათ ვერავინ დაასაქმებს, თუ თითონ არ დაისაქმეს თავი. ამის სურვილი კი ჩვენს დეპუტატებს არ აქვთ. მოსახლეობასთან შეფარდებაში დეპუტატების რაოდენობა უნდა იყოს 100. ხელფასებს რაც შეეხება, ეგ მტკივნეული საკითხია. თუკი დეპუტატის ხელფასი ორჯერ, სამჯერ მეტად არ აღემატება ქვეყანაში არსებულ ხელფასებს, მაშინ იძულებული გახდებიან, იზრუნონ მინიმალური ხელფასის გაზრდაზე.

# ბოიკოტის ტაქტიკა და სტრატეგია

გიორგი ასანიშვილი



*პარლამენტისა და უმრავლესობის ხელმძღვანელობა "ამბოხებულთა" ნაწილის შემორიგებას ცდილობს.*

ოპოზიციის ბოიკოტი საპარლამენტო უმრავლესობას ოდნავადაც არ უშლის ხელს გადაწყვეტილებების მიღებაში. სახელისუფლებო და მის სატელიტ ფრაქციებში გაერთიანებულ დეპუტატთა რაოდენობა იმის გარანტიას იძლევა, რომ კენჭისყრების დროს არც ერთი საკითხი არ ჩავარდება. ასე რომ, ოპოზიციის პროტესტის მიუხედავად, უმრავლესობას ორგანიზაციული და პოლიტიკური ხასიათის პრობლემები არ ექმნება. მის მთავარ საზრუნავს იმ უარყოფითი მორალური ეფექტის განეიტრალება წარმოადგენს, რომელიც მას "ოპოზიციაზე მოძალადედ" წარმოაჩენს და სახელისუფლებო გუნდის იმიჯს აზარალებს.

ამიტომაც პარლამენტისა და უმრავლესობის ხელმძღვანელობა ყველანაირად ცდილობს, რომ თუ ბოიკოტის შეწყვეტას არა, იმას მაინც მიაღწიოს, "ამბოხებულთა" ნაწილი შემოირიგოს. ისინი ხვდებიან, რომ ოპოზიციის ბანაკში ყველაზე სუსტ წერტილს "მრეწველები" წარმოადგენენ და შესაბამისად, აქცენტი ზურაბ ტყემალაძის გუნდელების გადაბირებაზე კეთდება. თუ ეს მოხერხდება, მაშინ ოპოზიციის პროტესტს ძველებური დატვირთვა ველარ ექნება: "მრეწველები" კონსტრუქციულ ოპოზიციად გამოცხადდებიან, "დემოკრატიული ფრონტი" და "მემარჯვენეები" კი - დესტრუქციულ ძალად. და რაც მთავარია, ოპოზიციას საკმაოდ სერიოზული კოზირი - ერთსულოვნება და ერთიანობის დემონსტრირება - გამოეცლება ხელიდან.

იმისთვის, რომ ოპოზიცია გათიშოს, სახელისუფლებო გუნდი კარგად იყენებს საგადასახადო სფეროსადმი "მრეწველების" ცხოველ ინტერესს და ტყემალაძის ფრაქციას (და მთლიანად ოპოზიციას) ამ საკითხზე კონსულტაციების გამართვას სთავაზობს. პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ნინო ბურჯანაძემ ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანსა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ზურაბ ბუცხრიკიძეს სთხოვა, შემთანხმებელი ჯგუფის ფარგლებში, ოპონენტებთან მოლაპარაკებებს შეუდგნენ. შემთანხმებელ ჯგუფში "დემოკრატიული ფრონტიდან" ბეჟან გუნავა მიიღებს მონაწილეობას, "რესპუბლიკური პარტიიდან" - ვახტანგ ხმალაძე, "მრეწველებიდან" კი - ზურაბ ტყემალაძე. გაურკვეველი რჩება მხოლოდ აღნიშნულ ჯგუფში "ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენლის მონაწილეობა.

გარდა ამისა, ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ ხელისუფლებისთვის მისაღები იქნება ნებისმიერი კონსტრუქციული წინადადება (საარჩევნო კოდექსის დახვეწიდან დაწყებული და საარჩევნო სიების სრულყოფით დამთავრებული), რომლებიც არჩევნების სამართლიანად ჩატარებას შეუწყობს ხელს. სამაგიეროდ, პარლამენტის თავმჯდომარე კატეგორიულად გამორიცხავს იმას, რომ შემთანხმებელ ჯგუფში მსჯელობა იქნება ოპოზიციის სხვა მოთხოვნებზე, კერძოდ კი, შინაგან საქმეთა მინისტრის გადაყენებაზე.

**"თემები უნდა იყოს ისეთი, რომლებზე შეთანხმებაც შეიძლება,"** - თამაშის წესებს აცნობს ნინო ბურჯანაძე ოპოზიციას.

ოპოზიციასთან მოლაპარაკებებზე წასვლა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უმრავლესობა რაიმე არსებით დათმობებზე მიდის. ამაზე მიანიშნებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის მაია ნადირაძის განცხადება: **"დიალოგზე წასვლა პრობლემის გადაწყვეტას არ გულისხმობს".**

პარალელურად, სახელისუფლება ფრაქცია ცდილობს, ოპოზიციის ესა თუ ის ქმედება მისი დისკრედიტაციისთვის გამოიყენოს. ასე მაგალითად: ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარე დავით ზურაბიშვილი გუშინ, საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად, აშშ-ში გაემგზავრა. ეს ფაქტი სახელისუფლებო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს დავით კირკიტაძეს საბაბს აძლევს, რომ ოპოზიციის მერკანტილურობაზე ილაპარაკოს. **"საზღვარგარეთ მოგზაურობები უნდათ, საპარლამენტო მუშაობა კი - არა,"** - განაწყენებულის პოზას იღებს კირკიტაძე.

მიმდინარე კვირაში პლენარული სხდომები არ ტარდება. ეს დრო უფრო სტრატეგიულ და ტაქტიკურ მომზადებას დაეთმობა: ოპოზიცია შეეცდება, მეტოქე კვლავ დისტანციაზე იყოლიოს და მას შორიდან (სხდომათა დარბაზის გარედან) მიაყენოს დარტყმები, უმრავლესობა კი კლინჩში შესვლითა და ახლო მანძილიდან დარტყმებით შეეცდება ოპონენტის წონასწორობიდან გამოყვანას.

პარლამენტის ხელმძღვანელობა ცდილობს, ოპოზიციასთან ტაიმაუტი მასმედიის მოსაგერიებლად გამოიყენოს: ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ნინო ბურჯანაძემ პრესით მის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციებზეც ისაუბრა. **"მასმედიას თუ დავუჯერებთ, აბასთუმანში აგარაკი მქონია. მას იმას ვჩუქნი, ვინც აღმოაჩენს. ნიცაშიც რომ მქონია სახლი, იმას კი მთლიანად ვერ შეველევი - ნიცა მაინც "საბლაზნიტელნია" და ამიტომ, მხოლოდ ნახევრის დათმობა შემიძლია,"** - "საზღვარგარეთულ ქონებას" ბოლომდე "ვერ ელევა" საქართველოს პარლამენტის სპიკერი.

# აფეთქება თელ-ავივში

*პალესტინელმა თვითმკვლელმა ტერორისტმა მინიმუმ ცხრა ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. კიდევ 68 მეტ-ნაკლებად სერიოზულად დაშავდა გუშინ სამხრეთ თელ-ავივში ყოფილი ცენტრალური ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი აფეთქების შედეგად.*



ორშაბათს, ადგილობრივი დროით 13.30 სწორედ იმ სასაუზმესთან, რომელშიც ა.წ. 19 იანვრის ტერაქტისას 32 ადამიანი დაიჭრა, თვითმკვლელმა ტერორისტმა კიდევ ერთხელ აიფეთქა თავი.

ამჯერად აფეთქება გაცილებით ძლიერი და მსხვერპლიანი აღმოჩნდა. ტერაქტმა 9 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ათეულობით დაჭრილიდან 15 მძიმე მდგომარეობაშია.

აღსანიშნავია, რომ გუშინდელ აფეთქებას დაემთხვა ისრაელის პოლიტიკური ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა. გუშინ ფიცი დადო ისრაელის ახალმა მთავრობამ. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ქნესეთის ყველაზე სტაჟიანმა წევრმა, შიმონ პერესმა თქვა, რომ ისრაელმა ხუთი ომი გადაიტანა არსებობის 58 წლის მანძილზე, მაგრამ არასოდეს გადაუხვევია დემოკრატიის გზიდან. მან პირობა დადო, რომ ეს ტრადიცია გაგრძელდება.

გუშინდელი ტერაქტი პალესტინის ავტონომიის ლიდერმა მაჰმუდ აბასმაც დაგმო. მისმა მაღალი რანგის თანაშემწემ, საებ ერექათმა მომხდართან დაკავშირებით თქვა: "პრეზიდენტ მაჰმუდ აბასის, იმავე აბუ მაზენის სახელით ვგმობთ ამ თავდასხმას, ისევე, როგორც ყოველთვის ვგმობდით მშვიდობიან მოქალაქეებზე თავდასხმებს - განურჩევლად იმისა, პალესტინელები არიან ისინი თუ ებრაელები. ამგვარი მოქმედება ზიანს აყენებს პალესტინელების ინტერესებს და ჩვენ მოვუწოდებთ მთელ პალესტინელ ხალხს, დაიცვან ზავი, როგორც ეს გათვალისწინებულია ქაიროს 1994 წლის შეთანხმებით."

თუმცა საკუთარი პრეზიდენტისგან განსხვავებით, ჰამასის ლიდერებმა გაამართლეს თვითმკვლელის მიერ მოწყობილი აფეთქება და მას ისრაელის "აგრესიაზე" პასუხი უწოდეს. მომხდარისთვის პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღეს როგორც "ალაქსას მარტვილთა ბრიგადებმა", ისე "ისლამურმა ჯიჰადმა".

აშშ-მა და რუსეთმა დღეს, თელ-ავივში განხორციელებული ტერაქტები მკაცრად დაგმეს და დაღუპულთა ნათესავებს სამძიმარი გამოუცხადეს.

ვაშინგტონში თეთრი სახლის პრესმდივანმა სკოტ მაკლელანმა განაცხადა, რომ ტერორის ამ აქტს არ შეიძლება გამართლება ჰქონდეს. ასევე თვლიან მოსკოვშიც. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის მიხეილ კამინინის თქმით, "ამ დანაშაულის ორგანიზატორთა ჩანაფიქრი აშკარაა - უკიდურესობამდე დაძაბონ პალესტინა-ისრაელის ურთიერთობებში არსებული ისედაც რთული სიტუაცია".

რუსეთის საგარეო პოლიტიკურმა უწყებამ პალესტინის ავტონომიის ხელისუფლებას მოუწოდა "შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთოს ანტიისრაელური აქციების, უწინარეს ყოვლისა ტერორისტული შეტევების ალსაკვეთად", ისრაელის მთავრობას კი, ამ მძიმე ვითარების მიუხედავად, - თავშეკავებულობისაკენ.

რუსეთის უკანასკნელ განცხადებას ნამდვილად აქვს საფუძველი. გუშინ მომხდარი ტერაქტის შემდეგ ისრაელის ტანკები და ჯავშანმანქანები მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მდებარე პალესტინის ქალაქ ნაბლუსში შევიდნენ.

როგორც იუწყებიან, ათეულობით სამხედრო მოსამსახურე თელ-ავივში აფეთქების მომწყობი ტერორისტის შესაძლო თანამზრახველებს ეძებს.

*24 საათი*

# საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადება

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს მსმენელთა მიღებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის მოსამზადებელ კურსებზე.**

მოსამზადებელ კურსებზე შეიძლება მიღებულ იქნას არანაკლებ 21 წლის და არა უმეტეს 35 წლის (ასაკობრივი შეზღუდვები არ ვრცელდება, პირებზე, რომლებსაც აქვთ ოპერატიულ ან საგამოძიებო სამსახურებში ან სპეციალობით მუშაობის 10 წლის გამოცდილება) უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც იცის სახელმწიფო ენა და პიროვნული თვისებებით, ფიზიკური მომზადებითა და ჯანმრთელობის მდგომარეობით შეუძლია შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

მოსამზადებელ კურსებზე (ასევე პოლიციაში) მიიღებიან მხოლოდ ის პირები, რომელთაც მოხდილი აქვთ საყოველთაო-სამხედრო ვალდებულება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, გვარდიის ნაწილებში (მათ შორის ყოფილ სსრკ-ს ჯარებში) ან უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდში გავლილი აქვთ სამხედრო კათედრაზე მომზადების სრული კურსი და მინიჭებული აქვთ შესაბამისი სამხედრო წოდება (აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება ქალებზე).

მოსამზადებელ (პოლიციაში) კურსებზე არ მიიღება:

ა) ნასამართლევი პირი;

გ) ნარკოტიკული, ფსიქოტრონული ან ტოქსიკური ნივთიერებების მომხმარებელი;

დ) პირი, რომელიც ერთხელ მაინც არის დათხოვილი საჯარო სამსახურიდან უარყოფითი მოტივით.

კანდიდატი, რომელსაც სურვილი აქვს მოსამზადბელ კურსებზე მიღებისა და აკმაყოფილებს ამ განცხადებაში ჩამოთვლილ პირობებს, ვალდებულია ფინანსური პოლიციის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) წერილობითი განცხადება პოლიციის უფროსის სახელზე;

ბ) ავტობიოგრაფია;

გ) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობის ასლი;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) უკვე გაცემული შრომის წიგნაკი;

ვ) ოთხი ფერადი ფოტოსურათი - ზომით 3/4;

ფინანსური პოლიციის მოსამზადებელ კურსებზე განსაზღვრულია 20 მსმენელის მიღება.

მოსამზადებელ კურსებზე ჩასარიცხად კანდიდატი ვალდებულია ჩააბაროს მისაღები გამოცდები, ტესტირებისა და გასაუბრების სახით. გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ მსმენელები სასწავლო შეკრებას გაივლიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასწავლო ცენტრში (ქ. თბილისი, პაოლო იაშვილის ქ. N4).

ტესტირების პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 12 აპრილის N322 ბრძანებით (საკანონდებლო მაცნე, 2006 წლის 13 აპრილი N51).

საბუთები მიიღება 2006 წლის 17 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით (გარდა არა სამუშაო დღეებისა) 10 საათიდან 18 საათამდე (შესვენება 13 საათიდან 14 საათამდე), საქართველოს ფინანსთა სამინისტოს ფინანსური პოლიციის ადმინისტრაციულ შენობში (უნივერსიტეტის ქ. N2).

**დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონებზე:**
**241453, 241437, 235209.**

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**

## მოკლედ

### დემარკაციის საკითხებს თბილისში იხილავენ

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დემარკაციისა და დელიმიტაციის საკითხებს იხილავენ ორშაბათს თბილისში, ორი ქვეყნის სახელმწიფო კომისიის სხდომაზე. როგორც "ტრენდს" აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროში აცნობეს, ოფიციალური ბაქოს დელეგაციას კონსულტაციებზე დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელის მოადგილე ხალაფ ხალაფოვი წარმოადგენს, რომელიც კომისიის აზერბაიჯანულ მხარეს თავმჯდომარეობს. 18 აპრილს აზერბაიჯანის დელეგაცია სამშობლოში დაბრუნებას გეგმავს. **პრაიმ-ნიუსი**

### ეუთო ქართველ მფრინავებს მოამზდებს

ეუთოს მისიამ თბილისში საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მხარდაჭერით 17 აპრილიდან მფრინავთათვის ტრენინგები დაიწყო. როგორც საზღვრის დაცვის დეპარტამენტში აცხადებენ, სწავლება თეორიულ და პრაქტიკულ კურსს მოიცავს და მისი თემაა "გადამრჩენელი და საძიებო ოპერაციები". ქართველ მფრინავ-მესაზღვრეთა ტრენინგები ორ ეტაპს მოიცავს და აპრილის ბოლომდე გასტანს. მესაზღვრეებისათვის სასწავლო კურსს ეუთო-ს მწვრთნელ-ოფიცრები ჩაატარებენ. **ჯი ეიჩ ენი**

### ბათუმში სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის ჯგუფის სწავლება გრძელდება

ბათუმში შავი ზღვის ქვეყნების სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის ჯგუფის სწავლება ("BLACKSEAFOR") გრძელდება. მეზღვაურები ნაღმსაწინააღმდეგო, ჰაერსაწინააღმდეგო, ძებნისა და გადარჩენის ოპერაციებს სწავლობენ, რომლის პარალელურადაც მონაწილეთათვის დაგეგმილია სპორტული და კულტურული ღონისძიებები. წვრთნები პორტებსა და ღია ზღვაში ერთდროულად მიმდინარეობს. საქართველოდან სამხედრო ხომალდები რუსეთში გაემგზავრებიან. მანამდე კი სწავლების აქტივაციის ფარგლებში ქართული სამხედრო ხომალდი ბორტი-202 "ქუთაისი" ნოვოროზიიორნიში იმყოფებოდა. უკრაინის შემდეგ 6 ხომალდისგან (მათ შორის ბორტი-202) შემდგარმა ტაქტიკურმა ჯგუფმა გეზი ბათუმისკენ აიღო. შავი ზღვის ქვეყნების სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის ჯგუფის ღონისძიება ოფიციალურად 7 აპრილს დაიწყო. "BLACKSEAFOR" ქალაქ ნოვოროსიისკში 27 აპრილს ოფიციალურად დაიხურება. **ინტერპრესნიუსი**

### რუსეთი და ევროსაბჭო

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის კონსტანტინე კოსაჩოვის ინფორმაციით, მრგვალ მაგიდასთან, დღეს რუსეთსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების პერსპექტივებზე იმსჯელებენ. კოსაჩოვის განცხადებით: "ჩვენი კომიტეტის მიერ მოწყობილ მრგვალ მაგიდაზე განსახილველი თემა იქნება: "რუსეთი და ევროსაბჭო: საერთო სივრცე და სავიზო რეჟიმების შეზღუდვებზე მიღწეულ შეთანხმებათა პერსპექტივების რეალიზება". **ჯი ეიჩ ენი**

### ირანი მზადაა, ყველა შეკითხვას უპასუხოს

ირანის უშიშროების საბჭოს მდივანი ალი ლარიჯანი აცხადებს, რომ ირანი მზადაა, ყველა საერთაშორისო სააგენტოს ბირთვულ პროგრამაში გამოყენებულ ატომური ენერგიასთან დაკავშირებულ ყველა შეკითხვას უპასუხოს. ლარიჯანის განცხადებით: "ამჟამად მუშავდება კონსტრუქციული დიალოგისთვის საჭირო ვარიანტები. ახლახანს დასავლეთის სახელმწიფოებმა მოლაპარაკების ახალი ფორმატი შემოგვთავაზეს და იმედი გვაქვს, იგი ირანის ბირთვული პრობლების გადაწყვეტაში ახალი მიმართულება გახდება". უშიშროების საბჭოს მდივანი გამოეხმაურა კონდოლიზა რაისის განცხადებას ირანის წინააღმდეგ საბრძოლო საშუალებების შესაძლო გამოყენების თაობაზე და განაცხადა, რომ მსგავსი განცხადებები ირანის პოზიციებს ვერ შეცვლის. **24 საათი**

### პენტაგონის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია

აშშ-ის სამხედრო უწყება მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიას აქვეყნებს. სტრატეგია სამი ძირითადი მიმართულებით უნდა განხორციელდეს. გარდა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასა და გამოყენებასთან ბრძოლისა, იგი ასეთი იარაღის განადგურებასაც ითვალისწინებს. მიმდინარე წლის 13 თებერვლით დათარიღებული დოკუმენტი პენტაგონის ოფიციალურ ვებგვერდზე გუშინ გამოქვეყნდა. დონალდ რამსფელდის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში ნათქვამია: "მასობრივი განადგურების იარაღი აშშ-სა და საერთაშორისო საზოგადოებას სერიოზული საფრთხის ქვეშ აყენებს. ამ იარაღის ხელში ჩაგდების შემთხვევაში მტერი დიდ დარტყმას მიაყენებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, მის ფარგლებს გარეთ განლაგებულ აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს და მოკავშირე ქვეყნებს". აშშ-ის სამხედრო უწყების ხელმძღვანელობა აღნიშნავს, რომ 11 სექტემბრის განხორციელებული ტერაქტის შემდეგ აშშ-მა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია მასობრივი განადგურების იარაღის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა პენტაგონის წარმომადგენლები იმასაც აღნიშნავენ, რომ მიღწეული ჯერ კიდევ საკმარისს არ ნიშნავს. **24 საათი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# აფხაზური ოცნება

პირველი გვერდიდან

აფხაზური დელეგაცია, "რეპატრიაციის სახელმწიფო კომიტეტის" თავმჯდომარე ანზორ მუკბას, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გარიკ სამანბასა და სოკრატ ჯინჯოლიას შემადგენლობით თურქეთში აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებთან შესახვედრად იმყოფებოდა.

**"ჩვენ ბევრი ვიმოგზაურეთ თურქეთის ცენტრალურ ნაწილში და შევხვდით დიასპორის წარმომადგენლებს. მათთვის მთავარია, რომ აფხაზეთისკენ სავალი გზები გაიხსნას და იცოდნენ, თუ რა ხდება მათ ისტორიულ სამშობლოში"**, - აღნიშნა სოკრატ ჯინჯოლიამ.

ჯინჯოლიას თქმით, შეხვედრაში მონაწილეობა თურქეთის რესპუბლიკის ერთ-ერთმა ვიცე-პრემიერმა, მელიმეჯლისის დეპუტატებმა, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და თურქეთში რუსეთის საელჩოს წარმომადგენლებმა მიიღეს. მისივე განცხადებით, თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკა მხარს უჭერს საქართველოსა და აფხაზეთს შორის არსებული კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიანი გზებით მოგვარებას.

**"თურქეთში მცხოვრები აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებმა იმედი გამოთქვეს, რომ რუსეთის ხელისუფლება რუსეთ-აფხაზეთის საზღვრის გადაკვეთას მნიშვნელოვნად გაამარტივებს, რაც ხელს შეუწყობს აფხაზური დიასპორის ისტორიულ სამშობლოში ჩასვლას"**, - განაცხადა ჯინჯოლიამ.

რუსეთის ხელისუფლება საზღვრის გახსნას ჯინჯოლიას სახვეწარს აღარ გაუხდის - გასული კვირიდანვე გამშვებ პუნქტ "ფსოუზე", რუსეთის სასაზღვრო უწყების გადაწყვეტილებით, უცხო ქვეყნების მოქალაქეებსაც დაუბრკოლებლად გადასვლის ნება დაერთოთ.

## დემოგრაფია, როგორც აფხაზური ეროვნული იდეა

ამ მომენტისათვის ძირითადი აფხაზური ეროვნული იდეა საკუთარი ეთნოსის გადარჩენაა. ხოლო გადარჩენა მათთვის "დემოგრაფიულ უპირატესობასთან" ასოცირდება. აფხაზების უდიდესი უმრავლესობის აზრით, აფხაზური ეთნოსის შემდგომი არსებობა შესაძლებელია მხოლოდ აფხაზეთში მათი დემოგრაფიული უპირატესობის პირობებში. ამ თალსაზრისით კი ქართველების მასობრივ განდევნას აფხაზები გარკვეულ "ისტორიული სამართლიანობის აღდგენად" აღიქვამენ. ანუ, მათ წარმოდგენაში, ქართველები იქ წავიდნენ, საიდანაც მოვიდნენ, და ეს, აფხაზების თვალსაზრისით, სრულიად სამართლიანია.

აფხაზების ნებისმიერი სწრაფვა ეროვნული სუვერენიტეტისაკენ, მისი მიღწევის ნებისმიერი იდეოლოგია იმთავითვე წარმოუდგენელი იყო მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორის - ქართული უმრავლესობის - თავიდან მოცილების გარეშე. ამავე დროს "ეთნიკური წმენდის" ნებისმიერი ხსენება აფხაზებში უკიდურესად უარყოფით რეაქციას და პროტესტს იწვევს. იმის მიუხედავად, რომ სწორედ ეს, მათი აზრით, "უშნო" სიტყვა ზუსტად ასახავს იმას, რაც მათ განახორციელეს აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მიმართ, და რაც დღესდღეობით აფხაზების მიერ გამარჯვების მთავარ მონაპოვრად არის აღიარებული.

აფხაზეთის სტატუსის აღიარების, პოლიტიკური მოწყობისა და სამოქალაქო უფლებების საკითხები აფხაზური საზოგადოებისათვის იმდენად აქტუალური არ არის, როგორც "დემოგრაფიული საკითხი".

თუმცა, ამავე დროს, სიტუაცია დღევანდელ აფხაზეთში სწორედ დემოგრაფიული კუთხით მოწმობს, რომ აფხაზი ეთნოსის უმთავრესი მიზნის ასრულებას ბევრი უკლია. ჯერ კიდევ არძინბას მმართველობის პერიოდში აფხაზეთში "მოსახლეობის აღწერა" ჩატარდა, რომელმაც მოსახლეობის სოხუმის პოლიტიკისათვის ხელსაყრელი რიცხოვნობა "გამოავლინა". ამ "აღწერის" მიხედვით, აფხაზეთში 320 ათასი ადამიანი ცხოვრობდა. ანუ, 1992 წლამდე არსებული მოსახლეობის, რომელიც ნახევარ მილიონს აღემატებოდა, ნახევარზე მეტი. ამას კი აფხაზური ხელისუფლებისათვის საშუალება უნდა მიეცა საკუთარი პოლიტიკა აფხაზეთის მოსახლეობის ნების გამოხატვად გამოეცხადებინა და საკუთარი ლეგიტიმურობა დაედასტურებინა. თუმცა, უკვე 2003 წლის ბოლოს, სკანდალური საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ამ "ფოკუსს" ბოლო თავად აფხაზებმა მოუღეს, რადგან მწვავე და ძალზე მნიშვნელოვანი არჩევნების წინ ამომრჩეველთა რეალური რაოდენობის დათვლა მოუხდათ. აღმოჩნდა, რომ რეალურად აფხაზეთის მოსახლეობა 150-160 ათასს არ აღემატება.

მოსახლეობის ასეთი შემცირების ფონზეც კი აფხაზები კვლავ უმცირესობაში არიან. ამჟამად აფხაზეთის მოსახლეობა სამ, დაახლოებით თანაბარი რაოდენობის, ჯგუფად არის დაყოფილი, არა მხოლოდ ეროვნების, არამედ პოლიტიკური ორიენტაციის მიხედვით. ესენი არიან საკუთრივ აფხაზები, რომელთა ნაწილი აფხაზეთის სუვერენიტეტის, ნაწილი კი - რუსეთთან ინტეგრაციის მომხრეა; ცალსახა პრორუსული ორიენტაციის რუსულენოვანი მოსახლეობა, რომელშიც სომხები დომინირებენ; და გალის რაიონის პროქართულად ორიენტირებული ქართული მოსახლეობა.

დღეისათვის აფხაზეთის ხელისუფლების ორგანოებში და უმაღლეს თანამდებობებზე აფხაზები სჭარბობენ, რაც სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის რეალურ პროპორციას არ ასახავს. როდემდე შაიძლება გაგრძელდეს ეს მდგომარეობა?

აფხაზეთში უკვე სახლდებიან სომხური წარმოშობის მიგრანტები, ძირითადად გაგრის რაიონში. დღევანდელი აფხაზეთი, რომლის მოსახლეობა ბოლო 14 წლის განმავლობაში რამდენჯერმე შემცირდა, დემოგრაფიული თვალსაზრისით სრული "უდაბნოა". თუმცა, ამ უდაბნოს ათვისებას სხვადასხვა ქვეყნებიდან მიგრანტთა მიერ, ჯერჯერობით, რთული სოციალური, ეკონომიკური და კრიმინოგენული სიტუაცია უშლის ხელს.

დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, ამგვარი სიტუაცია აფხაზ ერს კარგს არაფერს უქადის. აფხაზეთის სუვერენული სტატუსის ლეგიტიმაციის და ლეგალური ინვესტიციების შემოსვლის შემთხვევაში, რაც დღევანდელი აფხაზური პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს, რეგიონს რუსეთიდან და დსთ-ს ქვეყნებიდან მიგრანტთა დიდი რაოდენობის მოძალება ემუქრება, იმ ელემენტარული მიზეზით, რომ მზარდ ეკონომიკას დიდი რაოდენობით მუშახელი დასჭირდება.

ეს კი ნებისმიერ შემთხვევაში მოახდენს ზეგავლენას აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. თანდათანობით აფხაზები აღმოჩნდებიან იქ, საიდანაც ასე ცდილობდნენ თავის დაღწევას უდიდესი მსხვერპლის ფასად - აბსოლუტურ უმცირესობაში. ხოლო ხელისუფლებაში აფხაზების დომინირების დასრულება მხოლოდ დროის საკითხი იქნება. აფხაზეთი რუსულენოვან სახელმწიფოდ გადაიქცევა, სადაც თავად აფხაზების გავლენა ძალზე სუსტი იქნება. მათ საკუთარი სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის მიღების გაცილებით ნაკლები შესაძლებლობა ექნებათ, ვიდრე 1992 წლამდე.

ანუ, აფხაზები დაკარგავენ იმ მოჩვენებით უპირატესობებსაც, რასაც ისინი უდიდესი მსხვერპლის ფასად მიღწეული გამარჯვების მთავარ მიღწევად აღიქვამენ.

## რეპატრიაცია - საფრთხე თუ ახალი პოლიტიკური ბერკეტი?

აფხაზები დიდ იმედებს თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში მცხოვრებ მოჰაჯირთა შთამომავლების დაბრუნებაზე ამყარებენ, რომელთა წინაპრები მე-19 საუკუნის ბოლოს რუსეთის იმპერიამ აფხაზეთიდან გაასახლა. მათი რეპატრიაცია სოხუმის მიერ დეკლარირებული ოფიციალური პრიორიტეტია. აფხაზური დიასპორა ერთიანია და ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი თურქეთში, საკმაოდ გავლენიანი ადიღეურ-ჩერქეზული დიასპორის ნაწილია. გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზური დიასპორა რამდენიმე ასეულ ათას ადამიანს აღწევს. ეს კი აფხაზებისთვის უდიდესი დემოგრაფიული რესურსია. თუმცა, ამ ადამიანთა უმრავლესობას ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების პერსპექტივა ჯერჯერობით არ ხიბლავს. ნებისმიერ შემთხვევაში, იმის მიუხედავად, რომ დღევანდელ აფხაზებთან მათ საერთო წინაპრები ჰყავთ, ისინი სულ სხვა მენტალობის ხალხია, ფაქტობრივად, სხვა ეთნოსია. მრავალი მათგანისათვის აფხაზეთი, მართალია, წინაპართა სამშობლოა, მაგრამ მომავალ მუდმივ საცხოვრებელ ადგილთან არ ასოცირდება.

აფხაზური ხელისუფლება საკუთარი დემოგრაფიული ოცნების ასრულებას აქტიურად ცდილობს. სოხუმის დელეგაციის ბოლო ვიზიტიც თურქეთში ამ მიზანს ემსახურებოდა. თუმცა, მოჰაჯირთა დაბრუნების პერსპექტივა მრავალ კითხვას ბადებს, რომლებზეც პასუხის გაცემა თავად სოხუმშიც უჭირთ. რას მოუტანს აფხაზეთს თურქეთისა და არაბული ქვეყნების მოქალაქეთა მასობრივი დამკვიდრება? როგორი იქნება რეპატრიანტთა დამოკიდებულება აფხაზეთის რუსულენოვანი და ქართული მოსახლეობის, თუნდაც თავად დღევანდელი აფხაზების მიმართ? გაძლიერდება თუ არა ისლამის ფაქტორი? იქნება ეს თუ არა აფხაზეთის "გათურქება" და მისი გადაქცევა თურქეთის სატელიტად და მისი ინტერესების აქტიურ გამტარებლად?

თურქული ორიენტაციის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა თავისთავად გააძლიერებს თურქეთის გავლენას შიდააფხაზურ პოლიტიკაზე. და, ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად დაზარალდება რუსეთის ინტერესები. პოტენციურ რეპატრიანტებს, აფხაზეთის დღევანდელი მოსახლეობისგან განსხვავებით, რუსეთთან არაფერი აკავშირებს, ნეგატიური ისტორიული მეხსიერების გარდა. საკმაოდ დიდია იმის შესაძლებლობა, რომ რუსეთმა კავკასიაში საკუთარი ხელით "სამარე გაითხაროს" - მისი მხარდაჭერით შექმნილი "მეგობარი" სეპარატისტული წარმონაქმნის ნაცვლად მის საზღვრებთან მტრულად განწყობილი რეგიონი გაჩნდება, რომელიც ძირითადი ბაზა გახდება ჩრდილოკავკასიური სეპარატიზმისათვის.

რა პერსპექტივებს უქმნის ამ სცენარის განვითარება საქართველოს? აფხაზური ხელისუფლება და აფხაზი მოსახლეობა დღეს ქართველ დევნილთა საკუთარ სახლებში დაბრუნებას რადიკალურად ეწინააღმდეგებიან. მათ ამის მრავალი მიზეზი მოჰყავთ, თუმცა უმთავრესი მიზეზი სწორედ კვლავ აბსოლუტურ უმცირესობაში დარჩენის შიშია. თუმცა, სრულიად შესაძლებელია, წინააღმდეგობა ასეთი რადიკალური აღარ იქნება, თუ დევნილებთან ერთად მოჰაჯირთა შთამომავლების რაღაც ნაწილი დაბრუნდება, რაც აფხაზურ მოსახლეობას "დემოგრაფიული უსაფრთხოების" შეგრძნებას მისცემს.

აფხაზ რეპატრიანტთა საკითხი არაერთ კითხვას ბადებს. რას ნიშნავს საქართველოსთვის მათი დაბრუნება კონფლიქტის დარეგულირების თვალსაზრისით? როგორ შეიცვლება სოხუმის პოლიტიკა როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის მიმართ რეპატრიანტთა ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში? რა რისკებს და რა უპირატესობებს წარმოშობს ეს პერსპექტივა თბილისისათვის? არის თუ არა ეს აფხაზეთიდან რუსეთის განდევნის რეალური შესაძლებლობა? შესაძლებელია, ეს კითხვები ქართული პოლიტიკის წინაშე მომავალში მთელი სიმწვავით დადგეს.

# გზა სახელისუფლებო კარუსელიდან აიწონა-დაიწონამდე

პირველი გვერდიდან

საქმე ისაა, რომ ოპოზიცია, რომელიც ბოლოხანს დაჟინებით ითხოვს ვანო მერაბიშვილის გადადგომას, ყოველთვის ან დელიკატურად უვლის გვერდს ირაკლი ოქრუაშვილს, ან მის მაღალ რეიტინგზე საუბრობს. კიდევ უფრო შორს მიდის ტელეკომპანია "იმედი", რომელიც მხოლოდ დადებით სიუჟეტებს ამზადებს ირაკლი ოქრუაშვილის საქმიანობაზე. ამიტომ, დაკვირვებული თვალისთვის ძნელი არ არის ამ სამი რგოლის ერთმანეთთან დაკავშირება: პრეზიდენტმა თავდაცვის მინისტრს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარება დაავალა, ოპოზიციამ ამ ფაქტში ირაკლი ოქრუაშვილის გაპრემიერების განზრახვა ამოიცნო, ტელეკომპანია "იმედმა" კი ამ მოსაზრებას ფართო გზა მისცა.

თუმცა, რამდენიმე რგოლის აწყობა პოლიტიკაში ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ მოვლენები საერთო კონტექსტს არ ეხამება. მედია კონტექსტს აღარ ჩაღრმავებია და, ამის გამო, ფაქტობრივად, შეუფასებელი დარჩა როგორც პრეზიდენტის, ისე ოპოზიციის განცხადებების რეალური წონა.

იმის შემდეგ, რაც ხელისუფლებაში ორი გუნდი ჩამოყალიბდა, მერაბიშვილის და ოქრუაშვილის ლიდერობით, ყოველგვარი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა მათ შორის ფარულ ბრძოლას ასახავდა. კარგა ხნის განმავლობაში ვანო მერაბიშვილის გუნდი უფრო ძლიერად გამოიყურებოდა და, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ძალთა არსებული ბალანსის შენარჩუნებას ცდილობდა.

თავდაპირველად, დანაკარგი ოქრუაშვილის გუნდმა განიცადა, როდესაც პარლამენტიდან კობა ბექაური წავიდა, თანაც, სკანდალის ფონზე. თუმცა, ამის შემდეგ სერიოზული რყევები დაიწყო ვანო მერაბიშვილის ძლიერ ბანაკშიც. პირველი დამანგრეველი ბიძგი სანდრო გირგვლიანის მკვლელობა და ამ ფაქტის ირგვლივ განვითარებული მოვლენები აღმოჩნდა. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაკარგა უახლოესი თანამებრძოლები და შეიძინა ლოზუნგი: "ხელისუფლებაში მკვლელები არიან". მეორე დამანგრეველი ბიძგი, რომელმაც კიდევ მეტად გაამყარა ლოზუნგის დედააზრი, აღმოჩნდა ციხის ამბოხი და ამ ამბოხის ჩახშობისას პატიმრების გარდაცვალების ფაქტი. იმის მიუხედავად, რომ ციხეები იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, ამბოხის თემამ არსებითი დარტყმა ისევ და ისევ ვანო მერაბიშვილს და მის ბანაკს მიაყენა. მესამე საკითხი, რომელმაც, შესაძლოა, წერტილი დაუსვას ბალანსს და თანასწორობას სახელისუფლებო გუნდებს შორის, გაზეთ "რეზონანსის" რამდენიმე ნომერში გამოქვეყნებული ჟურნალისტური გამოძიებაა. გამოძიების მასალების მიხედვით, საქართველოს პრემიერ-მინისტრი კონსტიტუციას არღვევს, თანაც, საფრთხეს უქმნის ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. ენერგოსექტორი კი - გათვითცნობიერებულმა ადამიანებმა კარგად იციან - ვანო მერაბიშვილის გავლენის სფეროა. ოპოზიციამ საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნა "რეზონანსის" გამოძიებას და უეჭველია, ეს თემა კიდევ არაერთხელ დაუბრუნდება საინფორმაციო სივრცეს.

გამოდის, ბოლო თვეების განმავლობაში ირაკლი ოქრუაშვილმა, როგორც ლიდერმა, ერთი საშუალო სიმძიმის დანაკარგი განიცადა, ვანო მერაბიშვილმა კი სამი უმძიმესი დარტყმა მიიღო. ადვილი მისახვედრია, რომ მერაბიშვილის იმიჯის რყევაში გადამწყვეტი როლი ტელევიზიამ და პრესამ შეასრულა. და თუ ოქრუაშვილის გუნდი ყოველთვის შედარებით მოკრძალებულად გამოიყურებოდა, სამაგიეროდ, მისი გავლენა საინფორმაციო სივრცეზე ყოველთვის უფრო ძლიერი და რაფინირებული იყო, ვიდრე გურამ დონაძის ფსევდოწარმატებული პროექტები.

ასე რომ, პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, ღვნის კრიზისის მოგვარებაში თავდაცვის მინისტრის ჩართვა საკმაოდ ლოგიკური ჩანს. ახლა მნიშვნელოვანია, როგორ შეეცდება და შეძლებს თუ ვერა წონასწორობის აღდგენას ვანო მერაბიშვილის გუნდი. სწორედ ამაზეა დამოკიდებული ირაკლი ოქრუაშვილის გაპრემიერების პერსპექტივა.

***მასალა გამოქვეყნებულია რადიო "თავისუფლების" ეთერით***

# ნატო-სკენ გადადგმული ნაბიჯები

პირველი გვერდიდან

საქართველომ ძალიან მნიშვნელოვანი მესიჯი მიიღო ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე: იმ ძალისხმევის და იმ მიღწეული პროგრესის ფონზე, რომელიც საქართველოშია განხორციელებული, საჭიროა საქართველო-ნატო-ს ურთიერთობის ხარისხობრივად მაღალ საფეხურზე აყვანა. ეს იყო არაპირდაპირი მინიშნება იმისა, რომ ჩვენ ნატო-სთან ახალ საფეხურზე გადასვლა გვეკუთვნის.

**- შენიშვნები საერთოდ არ გამოთქმულა?**

- მართალი გითხრათ, შენიშვნები იყო, მაგრამ ძალიან მინიმალური რაოდენობის და საკმაოდ ზოგადი ხასიათის. სერიოზული პრობლემა არ დასახულა და სერიოზული შენიშვნა არ გამოთქმულა. იყო ტაქტიანი მინიშნებები ისეთ თემაზე, როგორიცაა არჩევნების სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარების აუცილებლობა. ამ მინიშნებაზე მათ ცალსახა პასუხი მიიღეს: საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ნათლად აცნობიერებს არჩევნების მნიშვნელობას და კარგად ესმის, რომ არჩევნები დემოკრატიის სიწმინდეა, რაც აბსოლუტურად ხელშეუხებელია.

ასევე ცალკე საუბრის თემა იყო სასამართლო სისტემაში წამოწყებული რეფორმები. აღნიშნული რეფორმები დადებითად შეფასდა ნატო-ს წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა მიერ. თუმცა მათ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვეს, რომ ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის კიდევ უფრო ასამაღლებლად აღნიშნული რეფორმები აუცილებლად უნდა გაგრძელდეს და წარმატებულად დასრულდეს. ძირითადად ეს არის ის შენიშვნები, თუ შეიძლება მათ ასე ვუწოდოთ, რაც ბრიუსელში ჩვენი მისამართით გამოითქვა.

რაც შეეხება პოზიტივს, პოზიტივი ძალიან ბევრი იყო. ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს.

განსაკუთრებულად აღინიშნა ის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და გენერალურმა შტაბმა რეკორდულად მცირე დროში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება შეძლეს. ქართული ჯარი როგორც დაგეგმარების, ისე ბიუჯეტის თვალსაზრისით ნატო-ს სტანდარტებზე გადავიდა.

ძალიან დიდი გამოხმაურება ჰქონდა რუსეთთან სამხედრო ბაზების თაობაზე დადებულ ხელშეკრულებას. ყველამ ერთხმად აღიარა, რომ საქართველოდან რუსეთის ბაზების გასვლა ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთლიანად ევროპული უსაფრთხოების ხარისხის გაზრდისთვის. ეს შეფასება ძალიან სასიამოვნო მოსასმენი იყო. ამასთან, რამდენიმე ქვეყანამ გამოხატა მადლიერება იმის გამო, რომ საქართველო კოსოვოს ოპერაციაში იღებს მონაწილეობას.

ნატო-ს წევრი ქვეყნების დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დღეს საქართველო უკვე მზადაა ნატო-სთან "ინტენსიური დიალოგისთვის" ანუ შემდეგი ნაბიჯისთვის და ეს ნაბიჯი ნატო-მ საქართველოს მიმართულებით უნდა გადადგას. ასევე ხაზი გაესვა შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მიზნით საქართველოს მიერ წარმოდგენილ ინიციატივას ანუ იმ გეგმას, რომელიც ცხინვალის სამშვიდობო გეგმად არის ცნობილი. ამ გეგმას ჩვენი პარტნიორები იცნობენ, ძალიან მაღალ შეფასებას აძლევენ და მხარს უჭერენ მას.

და კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც საგანგებოდ იყო ხაზგასმული - ნატო-ს წევრი ქვეყნების უმრავლესობა ერთხმად აცხადებს, რომ არ არსებობს მესამე ქვეყანა ნატო-ს გარეთ, რომელსაც ნატო-ს გაფართოებაზე არაპირდაპირი ვეტოს დადება შეუძლია. ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ რაც უნდა მოხდეს, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას ვერც ერთი მესამე ძალა ვერ შეაჩერებს. ანუ რეალურად ვერანაირი პროვოკაცია, ემბარგოები თუ პოლიტიკურად გამოგონილი პრობლემები საქართველოს ნატო-სკენ სწრაფვას ხელს ვერ შეუშლის. ეს იყო ღიად ნათქვამი. პოზიტიური შეფასება მოჰყვა იმ ფაქტს, რომ იხურება, ლიკვიდაციის ფაზაშია თავდაცვის ფონდი.



*ნიკოლოზ რურუა.*

რამდენიმე მოკავშირემ აღნიშნა, რომ საქართველო უკვე მაღალი სტანდარტებით განკარგავს თავის საქციელს და იქცევა ისე, როგორც ნატო-ს წევრი ქვეყანა მოიქცეოდა. ეს შეფასება უმნიშვნელოვანესი იყო ჩვენთვის. ჩვენც დავადასტურეთ, რომ საქართველო სწორედ ნატო-ს წევრი ქვეყნის სტანდარტების შესაბამისად მოქმედებს და ამით ხაზი გავუსვით, რომ არსებითი ხარისხობრივი განსხვავება მათსა და ჩვენს შორის ძალიან მცირეა.

ასე რომ, გულწრფელად გეტყვით, გასულ წელთან შედარებით ჩვენს მიმართ განწყობა შეცვლილია პოზიტიურისკენ. ერთი წლის წინ საქართველოს აღიქვამდნენ როგორც ნატო-ში გაწევრიანების მსურველ ერთ-ერთ ქვეყნად. სულ რაღაც ერთი წლის მანძილზე ასეთი რადიკალური ფსიქოლოგიური ცვლილება ძალიან სასიამოვნო სიურპრიზია.

ერთადერთი, რაც ჩვენს მეგობრებს სურთ, ეს არის ის, რომ საქართველოში დაწყებული რეფორმების მდგრადობა შეუქცევადი იყოს.

**- მანამდე, "24 საათთან" ინტერვიუში თქვენ აღნიშნეთ, რომ საქართველომ განსაკუთრებული მუშაობა უნდა გასწიოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, რადგან ევროპაში საქართველოს შესაძლოა, არ ჰქონდეს ისეთი მხარდაჭერა, როგორიც, ვთქვათ, აშშ-დან ექნება... ამჯერად როგორი განწყობა გამოხატეს ევროპელებმა?**

- ამ ეტაპზე ჩვენი ევროპელი პარტნიორების მიმართ ჩვენ არანაირი პრეტენზია არა გვაქვს. არც ერთ მათგანს ჯერ არ გამოუთქვამს ისეთი კრიტიკული შენიშვნა ან მოსაზრება, რაც გვაფიქრებინებს, რომ რომელიმე ევროპული ქვეყანა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების წინააღმდეგია. ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს.

თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, საქართველომ ძალიან ინტენსიური დიპლომატიური სამუშაო უნდა გასწიოს როგორც ევროპასთან, ისე აშშ-სთან. აუცილებელია, კარგად ავუხსნათ მსოფლიო თანამეგობრობას, თუ რას მიაღწია საქართველომ.

გარდა იმ ინფორმაციისა, რომლებსაც ისინი საკუთარი ელჩების და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისგან იღებენ, საჭიროა საქართველოს ხელისუფლებამ განუწყვეტელი დიალოგი აწარმოოს თავის პარტნიორებთან. ჩვენ ამას ვაკეთებთ კიდეც. რამდენადაც ვიცი, სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტრო, მთლიანად აღმასრულებელი ხელისუფლება, ისევე როგორც პარლამენტის წევრები, ფართომასშტაბიან ვიზიტებს გეგმავენ ევროპის ქვეყნებში, აშშ-ში. ასევე იგეგმება კულტურულ ღონისძიებათა დროში გაწერილი გეგმა, რომელიც სწორედ ამ ქვეყნებს მოიცავს. მიზანი არის იმ ფაქტის საბოლოოდ დემონსტრირება, რომ საქართველო არის და ყოველთვის იყო ევროპული ცივილიზაციის ნაწილი, საიდანაც იგი იძულებით იყო ჩამოცილებული და იზოლაციაში დროებით მოქცეული, და რომ საქართველო საკუთარ ბუნებრივ პოლიტიკურ-კულტურულ გარემოს მტკიცე ნაბიჯებით ერთხელ და სამუდამოდ უბრუნდება.

**- ამგვარ ოპტიმიზმს საქართველოში ყველა როდი იზიარებს. მაგალითად, ექსპერტების ერთი ნაწილი და ასევე ოპოზიცია აღნიშნავს, რომ "ინტენსიური დიალოგის" კანდიდატი საქართველო მხოლოდ იმიტომ გახდა, რომ ბრიუსელში IPAP-ის განხილვის დროს საქართველოს მიერ დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი შენიშვნები გამოითქვა და ამდენად საქართველო ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის MAP-ისთვის მზად არ აღმოჩნდა... რას ნიშნავს "ინტენსიური დიალოგი" ნატო-სთან და რას უპასუხებდით ამ ბრალდებებს?**

- პირდაპირ გეტყვით, რომ ეს არის აბსოლუტურად უვიცი განცხადება. ეს არის განცხადება იმ ადამიანისა, ვინც, ეტყობა, საერთოდ არ არის ჩახედული ამ საკითხებში და არ იცის, უბრალოდ, ის თანმიმდევრობა, რომლის მიხედვითაც ნატო-ში გაწევრიანება ხდება. ტყუილია, რასაც ოპოზიცია ამბობს, საზოგადოებამ სიმართლე უნდა იცოდეს.

"ინტენსიური დიალოგი" არის წინა ნაბიჯი იქამდე, სანამ ქვეყანა მიიღებს ე.წ. MAP-ს. თუმცა, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ არ შეიძლება ნატო-ს წევრად გახდომის პროცესი ისეთ პრიმიტიულ ავტომატიზმამდე დავიყვანოთ, რომ ჯერ იქნება "ინტენსიური დიალოგი", მერე MAP-ი და მერე აუცილებლად წევრობა. ეს ყველაფერი ცოცხალი პროცესია. რა თქმა უნდა, ეს ნაბიჯები აუცილებლად გადასადგმელია. ეს არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი საფეხურები.

როგორც ვიცით, ბოლოს ნატო პოლიტიკურ გადაწყვეტილებას იღებს. სასურველი რეზულტატის მისაღწევად ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი - უნდა გაგრძელდეს რეფორმები, დიპლომატიური მუშაობა... აუცილებელია დავარწმუნოთ ჩვენი პარტნიორები, რომ ჩვენ ნატო-სათვის ისევე საჭირო ვართ, როგორც ნატო ჩვენთვის.

"ინტენსიურ დიალოგზე" გადასვლა არ ნიშნავს არაფერს ახალს, რასაც ჩვენ აქამდე არ ვაკეთებდით. რა თქმა უნდა, დასახული იქნება კონკრეტული მიზნები და ამოცანები, მაგრამ რაიმე განსხვავებული ტიპის სამუშაო შესასრულებელი არ გვექნება. "ინტენსიური დიალოგი" უფრო სიმბოლური აქტია, ვიდრე შინაარსობრივი და არის ნიშანი იმისა, რომ ნატო-საქართველოს ურთიერთობა ახალ ეტაპზე გადავიდა. ეს დიალოგი ითვალისწინებს უკვე არსებული მიმდინარე პროცესების ინტენსიფიკაციას, გააქტიურებას.

რამდენიმე ქვეყანამ გამოთქვა აზრი, რომ "ინტენსიური დიალოგი" იქნება ძალიან კარგი მედიუმი საქართველოს და ნატო-ს ურთიერთობის უკვე ყოველდღიურ დონეზე გადასაყვანად. დღეს ჩვენ გვაქვს IPAP-ი, რაც ნატო-ს შემფასებელთა მისიის მიერ პერიოდულ შემოწმებებს ითვალისწინებს. "ინტენსიური დიალოგი" კი, მარტივად რომ ვთქვათ, რაღაც ყოველდღიური საშინაო დავალების მსგავსია. დავალებები იქნება ერთკვირიანი, ორკვირიანი, ერთთვიანი და ა.შ. წამოჭრილი იქნება სხვადასხვა საკითხები და საქართველომ განსაზღვრულ მოკლე ვადებში მათი შესრულება უნდა უზრუნველყოს.

**- გავრცელდა ინფორმაცია, საქართველოს "ინტენსიურ დიალოგზე" გადასვლას მიეძღვნება სხდომა, რომელიც ბრიუსელში 28 აპრილს გაიმართება...**

- ეს არის არაკომპეტენტური ინფორმაცია. მსგავსი ინფორმაციები ჩვენი მტრების და არაკეთილმოსურნეების მიერ დაყრილი ჭორებია. ვადებზე საუბარი საერთოდ არ არის მართებული და ჩვენს ინტერესებში არ შედის. საქართველომ არ შეიძლება წინასწარ იცოდეს, რას გააკეთებს ნატო და უმჯობესია, ამაზე ჩვენ არ ვილაპარაკოთ. ვადებზე საუბარი მხოლოდ გამაღიზიანებელი ფაქტორია.

**- ბრიუსელში ქართულ ღვინოზე ხომ არ გისაუბრიათ?**

- სხვათა შორის, ქართული ღვინო ბრიუსელში ბევრმა ელჩმა ახსენა. მოკავშირეების ბევრმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი ქვეყნები სიამოვნებით მიიღებენ ქართულ ღვინოს, რადგან გასინჯული აქვთ და იციან, რომ საქართველო უნიკალური ვაზის ჯიშების და ღვინის უძველესი კულტურის ქვეყანაა. ეს ძალიან სერიოზულ გამხნევებასავით გაისმა. და რაც მნიშვნელოვანია, ბრიუსელში ხაზი გაესვა იმას, რომ რუსეთის მიერ ქართულ ღვინოზე უარის თქმა პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებაა და კომერციასთან კავშირი არა აქვს.

# განცხადება

ქ.ქუთაისის ადგილობრივმა თვითმმართველობამ მ/ წელს გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვებულად გამოავლინა შემდეგი ფირმები:

**I. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა**

**- ს.ს."ხურო"** - გზის საფარისა და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების კაპიტალური შეკეთების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა;

**- ფიზიკური პირი გივი თოდაძე** - მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების კაპიტალური შეკეთების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა;

**- შპს "კომუნპროექტი"**- მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობა-შეკეთების და გარე განათების ქსელისა და სანათი წერტილების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

**II. ქალაქში ღვარსადენების ქსელების ექსპლოატაციისა და მომსახურების შესყიდვა**

**- შპს "არმაზი";**

**- შპს "ნიაღვარი 2005".**

**III. გარე განათების ქსელების მომსახურების და კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოების შესყიდვა**

**-ინდ.მეწარმე პეტრე გადელია** (გარე განათების ქსელების ექსპლოატაცია და მომსახურება);

-გარე განათების ქსელების კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოების შესყიდვა დასრულდა უარყოფითი შედეგით. ტენდერი გამოცხადდება თავიდან.

**IV. მწვანე საფარის მოვლა პატრონობისა და ექსპლოატაციის მომსახურების შესყიდვა**

**- შპს "ფლორა"**

**- შპს "არმაზი"**

**V. შუქნიშნების მოწყობა-ექსპლოატაციისა და ქუჩებისა და მოედნების მონიშვნით სამუშაოების შესყიდვა**

**- ინდ.მეწარმე დავით ჯანხოთელი**

**VI. გზის საფარისა და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების სარეაბილიტაციო, მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესყიდვა**

**- შპს "არადანი"** - გზებისა და ნაგებობების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები არსებული და მოსალოდნელი დაზიანებების შესაბამისად - ქალაქის მთელ ტერიტორიაზე;

**- შპს "გზამშენი XXI"** - ბუხაიძის, ჯავახიშვილის, ცხინვალის, 9 აპრილის ქუჩების და გამსახურდიას II შესახვევის ასფალტ ბეტონის საფარის კაპ. შეკეთება;

**- ს.ს. "ტრანსვესტინჟინერინგი"**- ზ. საკანდელიძის ქუჩის, წერეთლის ქუჩის II შესახვევის, თამარ მეფისა და სოლომონ I -ის ქუჩებს შორის მონაკვეთი, გრიშაშვილის ქუჩის, ცენტრალური და საფიჩხიის მოედნების ასფალტ ბეტონის საფარის კაპ. შეკეთება;

**- შპს "არადანი"**- ჯიბლაძის, წმ. ნინოს, ჭაბუკიანის, ვაჟა ფშაველას ქუჩების, ცისფერ ყანწელთა და გრიშაშვილის ქუჩების მონაკვეთის კაპ. შეკეთება ფილებით;

**- შპს "სამშენებლო ტრესტი N2"**- ლესელიძის, დავით და კონსტანტინეს და ყაზბეგის ქუჩების, გუგუნავას და სინაურის ქუჩების ასფალტ ბეტონის საფარის კაპ. შეკეთება;

**- ს.ს. "იბერია 21"** თეთრი ხიდის კაპიტალური შეკეთება.

**გამარჯვებულ პირებთან დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები 2006 წლის 11 აპრილს.**

**სატენდერო კომისია**

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

**ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამა აცხადებს**

## საგრანტო კონკურსს

**საუკეთესო დოკუმენტური ფილმების პროექტების გამოსავლენად**

**კონკურსის მიზანია**

გამოვლინდეს ორი საუკეთესო პუბლიცისტური, დოკუმენტური ფილმის პროექტი, რომლის განხორციელებაც დაფინანსდება ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამის მიერ.

**კონკურსში მონაწილეობა**

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში მოქმედ დამოუკიდებელ სატელევიზიო სტუდიებს.

**კონკურსის პირობები**

- პროექტი შედგენილი უნდა იყოს ფონდის მიერ დამტკიცებული გრანტის მოსაპოვებელი განაცხადის ფორმის მიხედვით (ფორმა იხ. ვებ გვერდზე - http://osgf.ge/?show=manual);
- პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი ფილმი უნდა იყოს პუბლიცისტურ-დოკუმენტური ჟანრის;
- დოკუმენტური ფილმის პროექტის შინაარსობრივი თემატიკა უნდა იყოს აქტუალური და თანამედროვე ქართული სინამდვილის ამსახველი;
- ამავე დროს ფილმების თემატიკა უნდა ემსახურებოდეს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და ტოლერანტობის კულტურის დანერგვის მიზანს.
- პროექტის ფარგლებში განმცხადებელმა ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს დოკუმენტური ფილმის შინაარსი და სტრუქტურა (სცენარის მონახაზი), ასევე ფილმის მომზადების მეთოდოლოგია;
- პროექტით გათვალისწინებული დოკუმენტური ფილმის მომზადების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 8 კვირას.
- კონკურსში მონაწილეობის მსურველმა სატელევიზიო სტუდიებმა უნდა წარმოადგინონ საკუთარი ორგანიზაციის ან/და პროექტის ძირითადი თანამშრომლების მიერ წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტების ნუსხა (სასურველია თან ერთვოდეს ვიდეო მასალა DVD ფორმატში)
- დოკუმენტური ფილმის მომზადებისათვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 8 000 აშშ დოლარს.

კონკურსის პრიორიტეტული თემატური სფეროებია: სოციალური პრობლემები, ინტეგრაცია, მულტიკულტურალიზმი, გენდერული საკითხები, პოლიტიკური პლურალიზმი, ძალადობის პრობლემა.

*ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" იზრუნებს გამარჯვებული პროექტების დაფინანსების შედეგად მომზადებული ფილმების სატელევიზიო ეთერით გადაცემაზე.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები მიიღება 2006 წლის 4 აპრილიდან 4 მაისის 17:00 საათამდე. მისამართი ჭოველიძის ქ. N10. ტელ: 25-04-63, 25-05-92 ფაქსი: 29-10-52, ელ. ფოსტა - irakli@osgf.ge.**

**საკონტაქტო პირი: ირაკლი ცერცვაძე, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორი.**

კონსულტაციები კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის ჩატარდება კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში ყოველ ხუთშაბათ დღეს 11:00 საათზე ფონდის ოფისში.

# "ძნელია პროგნოზირება, როდის მიაღწევს სასამართლო სრულ დამოუკიდებლობას"

პირველი გვერდიდან

**- ბატონო კოტე, სასამართლო რეფორმა 1998 წელს დაიწყო და ჩავარდა. წლების შემდეგ ახალი სარეფორმო ტალღა წამოვიდა, მაგრამ...**

- სასამართლო რეფორმა 1997-98 წლებში ორგანული კანონის მიღებით დაიწყო და ვისაც ამ სისტემასთან შეხება ჰქონდა და ვინც მაშინდელ პოლიტიკურ სიტუაციას ადევნებდა თვალს, ანუ საქმეში ჩახედულებმა, იციან, რომ მაშინდელი სასამართლო რეფორმა განწირული იყო. შეგახსენებთ: როცა სასამართლო რეფორმა იწყებოდა, პარალელურად დაგეგმილი იყო ყველა იმ სისტემის რეფორმირება, რომელსაც ირიბი თუ პირდაპირი შეხება ჰქონდა სასამართლოსთან. საუბარია პროკურატურაზე, შსს-ზე, ადვოკატურაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასურველ შედეგს ვერ მივიღებდით და ასეც მოხდა. რეფორმა სასამართლო სისტემაში ჩატარდა, მაგრამ არც ერთ სხვა სტრუქტურას ცვლილებები არ განუცდია, დარჩნენ ძველებურ ყაიდაზე. მეტიც, კიდევ უფრო გაუარესდა იქ არსებული მდგომარეობა, რამაც სერიოზული გავლენა იქონია სასამართლო სისტემაზე. გარდა ამისა, უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობის გამო მოსამართლეები ხელფასს თვეობით ვერ იღებდნენ, რის გამოც, კეთილსინდისიერმა მოსამართლეებმა გაფიცვაც კი მოაწყვეს. ყოველივე ამის გამო სასამართლო სისტემაში კორუფციის მასშტაბები საგრძნობლად გაიზარდა. მართალია, რეფორმის პირველ ეტაპზე ახალმა კადრებმა კარგად იმუშავეს, მაგრამ არსებულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ, ხელისუფლების დამოკიდებულებამ და კორუფციის მასშტაბებმა ახალი სასამართლო სისტემაც ჩაითრია თავის მორევში და რეფორმაც ჩავარდა. 2004 წელს ძალზე აქტუალური გახდა ახალი რეფორმის განხორციელება და დავიწყეთ კიდეც თავიდან.

**- მაგრამ შედეგი ამჯერადაც რომ ძალზე ბუნდოვანია?**

- ჩვენ მიერ დაწყებული რეფორმა ძალზე მასშტაბურია. დავიწყეთ, ფაქტობრივად, თავიდან - სასამართლო სისტემის ნებისმიერი დეტალი ჯერ კიდევ რეფორმირების პროცესშია და ჯერ არ ვართ იმ ეტაპზე, რომელიმე მიმართულებით შედეგი რომ დავინახოთ. თუმცა, ნათლად გამოიკვეთა, რომ აქტიურად მიმდინარეობს სისტემური ცვლილება. შეიცვალა უზენაესი სასამართლოს ფუნქცია, მას ჩამოშორდა პირველი ინსტანციის ფუნქცია და გახდა მხოლოდ საკასაციო სასამართლო; სააპელაციოსაც ჩამოშორდა პირველი ინსტანცია და ისიც მხოლოდ სააპელაციო სასამართლოდ ჩამოყალიბდა; გარკვეულწილად ფუნქციები შეეცვალათ პირველი ინსტანციის სასამართლოებსაც. იქმნება ახალი ინსტიტუტი - მაგისტრატი მოსამართლის და საქართველოს მასშტაბით 17 ახალი, რაიონული, გამსხვილებული სასამართლო შეიქმნება. ეს პროცესები თითქმის დასრულებულია, მაგრამ, ჯერჯერობით მაინც ვერ ვიტყვით, რომ რეფორმის შედეგი სრულყოფილია, რადგან გვაქვს კადრების სერიოზული პრობლემა. ახალი სისტემით შექმნილი სასამართლო უნდა დაკომპლექტდეს შესაფერისი კადრებით. არადა, დღეისთვის 100-მდე ვაკანსია გვაქვს. იმის მიზეზი, რომ სასამართლო სისტემა ჯერ სრულფასოვნად ვერ მუშაობს, კადრების პრობლემაცაა.

**- კადრების დეფიციტი გამო ძალზე გადატვირთული არიან მოქმედი მოსამართლეები, რომლებიც ასეულობით საქმეს განიხილავენ. ეს გადატვირთვა საქმეების განხილვის უხარისხობას იწვევს. არადა, მოხდა ისე, რომ ძველი, ზოგ შემთხვევაში მართლაც კვალიფიციური მოსამართლეები, მასიურად დაითხოვეთ სამსახურიდან. რატომ არ ჩაატარეთ პარალელური პროცესი - მიგეღოთ ახალი კადრები და ძველები შემდეგ გაგეშვათ. თუ, როგორც ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი აცხადებდა, სასამართლოში მართლაც პოლიტიკური წმენდა ჩატარდა?**

- შეიძლება პოლიტიკოსებმა პოლიტიკური კუთხით ბევრი რამ თქვან და გარკვეულწილად მათ აქვთ ამის უფლება, მაგრამ სასამართლოში პოლიტიკური კუთხით წმენდა ნამდვილად არ ჩატარებულა. არც ისაა მართალი, თითქოს ყველა ძველი მოსამართლე გავათავისუფლეთ. სხვათა შორის, ბევრი თავის სურვილით წავიდა, რადგანაც, როცა ნახეს, რომ მისი კოლეგა ქრთამის აღებისთვის დააკავეს, იფიქრეს, ჩვენც მსგავს სიტუაციაში არ აღმოვჩნდეთო. ამიტომაც, დაწერეს განცხადება და წავიდნენ. ანუ, იყვნენ მოსამართლეები, რომლებიც, თუ თავის ნებით არ წავიოდნენ, კანონით დადგენილი წესით, რაღაც მექანიზმებით, ჩვენ აუცილებლად გავათავისუფლებდით. ისინი უნდა წასულიყვნენ, რადგან რეფორმის სრულყოფილ შედეგს ამ კადრებით ვერ მივიღებდით.

თუმცა, ყველა მოსამართლე არ იყო არაკეთილსინდისიერი, ასე რომ ყოფილიყო, სულ მთლად ნულიდან გვექნებოდა დასაწყები. სასამართლოში ბევრი კეთილსინდისიერი მოსამართლე იყო და ისინი დღესაც აგრძელებენ საქმიანობას. მეტიც, პროფესიონალიზმის კუთხით, ისინი ახალი მოსამართლეებისთვის მისაბაძი არიან.

რაც შეეხება ახალ კადრებს. გეთანხმებით, რომ ბევრი ძველი წავიდა და მათ ადგილს ჯერჯერობით ვერ ვავსებთ. ამას თავის მიზეზი აქვს. პირველ რიგში, ის, რომ ძალიან მაღალი სტანდარტი გვაქვს დაწესებული და მოსამართლეობის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სტანდარტს, სამწუხაროდ, ასეთი კადრი ბევრი არ არის.

**- საინტერესოა, რა სტანდარტებით არჩევთ მოსამართლეებს?**

- მხოლოდ კარგი იურისტობა არ არის საკმარისი. მას უნდა ჰქონდეს ძალზე ბევრი ისეთი თვისება, რომელიც გადაგვაწყვეტინებს მის მოსამართლედ დანიშვნას.

ანალიტიკური აზროვნების უნარი, რათა კვალიფიციურად იმსჯელოს პრობლემებზე და ფორმალურად არ გაიგოს კანონის ნორმა. ვარჩევთ ადამიანებს, რომლებსაც ღირებულებები აქვთ და არა მხოლოდ მოსამართლეობის სურვილი. ვითვალისწინებთ რეპუტაციას, გამოცდილებას და ა.შ. ამ კრიტერიუმების საფუძველზე ვიღებთ მოსამართლის დანიშვნის გადაწყვეტილებას. უნდა გითხრათ, რომ, სამწუხაროდ, ჩვენს კრიტერიუმებს ძალზე ბევრი ვერ აკმაყოფილებს. მეტიც, ახლახანს დამთავრდა მოსამართლეთა გამოცდები და 600 კანდიდატიდან, მხოლოდ 70-მა შესძლო გამოცდის ჩაბარება. მანამდე ჩატარებულ გამოცდაზე 1100 კანდიდატიდან 200-მა მოახერხა ჩაბარება. იმის თქმა მინდა, რომ გამოცდასაც კი ძალზე ბევრი ვერ აბარებს და, აი, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გვაქვს კადრების დეფიციტი. გარკვეულწილად ამ დეფიციტის ბრალიც იყო, როცა მოსამართლის ასაკის ზღვარმა დაიწია. თუმცა, არავინ ამბობს უარს ასაკიანი ადამიანის მოსამართლედ დანიშვნაზე, თუ ის აკმაყოფილებს სტანდარტებს და ჩააბარებს გამოცდასაც. თუმცა, როგორც გითხარით, სამწუხაროდ, ასეთი ხალხი ბევრი არ არის. სხვათა შორის, აშშ-ს ელჩთან შეხვედრისას, მან განაცხადა, გამიკვირდა, როცა ვნახე ასეთი ახალგაზრდა ხელისუფლება და ახალგაზრდა მოსამართლეები, ჩვენთან მოსამართლე თეთრთმიანი, ბრძენი ადამიანიაო. ჩვენ ამას მივაღწევთ მაშინ, როცა ისეთივე ტრადიციული დემოკრატიის ქვეყანა გავხდებით, როგორიცა ამერიკაა, ამას მივაღწევთ 10, 20, 30 წლის შემდეგ.

**- ბატონო კოტე, სამწუხაროდ, ძალზე ხშირად გამოითქმის პრეტენზია მოსამართლეთა არაპროფესიონალიზმის თაობაზე, ანუ ახალი კადრების არაკვალიფიციურობა სერიოზული პრობლემაა.**

- სამწუხაროდ, კვალიფიკაციის ნაკლებობა მართლაც შეიმჩნევა. ხშირად გვხვდება ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ნათლად მიუთითებს კვალიფიკაციის ნაკლებობაზე. თუმცა, მიმდინარე სისტემური ცვლილებით ამ პრობლემასაც მოვაგვარებთ. აღსანიშნავია, რომ შეიქმნა იუსტიციის უმაღლესი სკოლა, რომელიც უახლოეს მომავალში სრული დატვირთვით ამოქმედდება. მას ექნება ორი ძირითადი ფუნქცია: მოამზადებს ახალ, კანდიდატ მოსამართლეებს. ისინი 14 თვის განმავლობაში ისწავლიან სკოლაში, რის შემდეგაც შედგება სარეიტინგო გამოცდა და ყველაზე წარმატებულები პრეზიდენტს წარედგინება დასანიშნად. კანდიდატები შეისწავლიან მოსამართლის საქმიანობისთვის დამახასიათებელ მთლიან სპეციფიკას, რის საფუძველზეც მივიღებთ სრულყოფილ მოსამართლეთა კორპუსს, რომელსაც აღარ ექნება კვალიფიკაციის პრობლემა.



"პრობლემები არსებობს, მაგრამ არც ისეა საქმე, როგორც გარედან ჩანს."

რაც შეეხება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მეორე ფუნქციას. გითხარით, არიან მოსამართლეები, რომლებიც მუშაობენ კეთილსინდისიერად, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით, მათი კვალიფიკაცია დასახვეწია. სკოლას ექნება ეს ძირითადი ფუნქციაც - მოქმედი მოსამართლეების გადამზადების. ანუ, იქნება სპეციალურად შედგენილი გრაფიკი, ყოველწლიურად ჩატარდება სემინარები, რომელიც ყველა მოსამართლისთვის სავალდებულო იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ ამ სკოლის სრულყოფილი ამუშავებით კადრების კვალიფიკაციის პრობლემა მოიხსნება.

კადრებს კი ყველგან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და მით უმეტეს, სასამართლო სისტემაში.

**- ბატონო კოტე, ბოლო პერიოდში სასამართლო სისტემაში კორუფციამ მართლაც საგრძნობლად იკლო, თუმცა სასამართლო ხელისუფლება სერიოზული კრიტიკის ობიექტად მაინც რჩება. არსებობს არცთუ უსაფუძვლო მოსაზრება, რომ დღევანდელი სასამართლო სისტემა სერიოზული პოლიტიკური წნეხის ქვეშაა, რომ მოსამართლეები პროკურატურის ზეწოლას ვერ უმკლავდებიან.**

- არ გეთანხმებით, ასე არ არის და ამაზე სტატისტიკაც მეტყველებს. საერთო ჯამში დაკმაყოფილებულია პროკურატურის შუამდგომლობების 79 პროცენტი, რომლითაც წინასწარი პატიმრობის შეფარდებას ითხოვენ. დღევანდელი სტატისტიკა წინა წლების, იმ პერიოდის მსგავსია, როცა სასამართლოში რეფორმა დაიწყო. მაშინ კმაყოფილდებოდა პროკურატურის შუამდგომლობების 80 პროცენტი. თანაც, უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ პერიოდში, გარდა პატიმრობისა, არსებობდა რამდენიმე ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიება, ახლა კი, მხოლოდ გირაოა. მიუხედავად ამისა, წელს, ორი თვის მანძილზე, იანვარსა და თებერვალში წინასწარი პატიმრობა შეეფარდა 70 პროცენტს, გირაო კი 30 პროცენტს.

სასამართლო პროკურატურის ნება-სურვილის უტყვი შემსრულებელი რომ არ არის, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ განაჩენის გამოტანისას კმაყოფილდება პროკურატურის მოთხოვნათა მხოლოდ 40 პროცენტი. 2004 წელს პირობითი მსჯავრი შეეფარდა 45 პროცენტს, პატიმრობა კი - 35 პროცენტს. 2005 წელს თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა 39 პროცენტს, 42 პროცენტს - პირობითი მსჯავრი.

აქედან გამომდინარე, ვერ დაგეთანხმებით, დიდი პრობლემები არის, მაგრამ არა ისეთი, რომ პროკურორები წყვეტდნენ ყველაფერს. სტატისტიკა, რომელზეც გესაუბრეთ, მთლიანად საქართველოს მოიცავს.

**- სერიოზული კრიტიკის ობიექტია იუსტიციის უმაღლესი საბჭოც. არსებობს ინფორმაცია, რომ საბჭოს თავმჯდომარე პროკურატურის კადრია და სპეციალურად დაინიშნა სასამართლო სისტემის სამართავად, ურჩი მოსამართლეების დასამორჩილებლად...**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე არ არის პროკურატურიდან დანიშნული, საბჭო პრეზიდენტის სათათბირო ორგანოა და მათ მიერ შემუშავებულ საკითხებზე პრეზიდენტი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

2004 წლის ივნისიდან 2005 წლის ოქტომბრის ჩათვლით, მოსამართლეების წინააღმდეგ 1500 საჩივარი შემოვიდა, რეალურად მსვლელობა მიეცა 13 პროცენტს, 87 პროცენტის განხილვაზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უარი განაცხადა, რადგან საჩივარში მოყვანილი ფაქტები არ ექვემდებარებოდა განხილვას. საბჭოში შესულ საჩივართა განხილვის შემდეგ დასჯილი მოსამართლეების რიცხვი 5-6 პროცენტია. ანუ, ისე არ არის, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ჩასაფრებულია, რათა გააგდოს მოსამართლეები.

რეალობა ასეთია: იქედან გამომდინარე, რომ მოსამართლეები არაკვალიფიციურები არიან და ბევრი არაკეთისლინდისიერია, დარღვევებიც ბევრია, იუსტიციის საბჭოც და სადისციპლინო საბჭოც, რომელიც უფრო ეფექტურად ამოქმედდა, თვალს არ ხუჭავენ დარღვევებზე. ამიტომაც მოხდა, რომ 40-მდე მოსამართლე გათავისუფლებულია, უფრო მეტს საყვედური, სასტიკი საყვედური და სხვა სასჯელები გამოუცხადეს.

დამოუკიდებელი სასამართლო, საითაც მივდივართ, მოსამართლეებს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს საზოგადოების, სახელმწიფოს წინაშე. მათ უნდა მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც სახელმწიფოსა და პიროვნების ინტერესით იქნება გაჯერებული. ამიტომაც, მოსამართლეებმა უნდა შეცვალონ სისხლის სამართლის პოლიტიკა და უნდა იგრძნონ პასუხისმგებლობა.

**- ცოტა ხნის წინათ სამმა მოსამართლემ - ნინო გვენეტაძემ, მერაბ ტურავამ და დავით სულაქველიძემ თქვენ მიმართ სერიოზული პრეტენზიები გამოთქვეს. განაცხადეს, რომ ხელისუფლება მოსამართლეებზე პოლიტიკურ ზეწოლას თქვენი - უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მეშვეობით ახორციელებდა. ამის დამადასტურებლად კონკრეტული ფაქტებიც დაასახელეს...**

- მათ ძალზე უცნაური ფაქტი დაასახელეს. თითქოს ჩემი პირადი მდივნის მეშვეობით მათზე ზეწოლას ვახორციელებდი. ეს სასაცილოა. მინდა გითხრათ, რომ მათთვის არავის არაფერი მოუგონებია. იყო დარღვევები, რაც იუსტიციის საბჭომ შეაფასა, მიიღეს გადაწყვეტილება და საქმე გადასცეს სადისციპლინო კოლეგიას. ზოგს საყვედური გამოეცხადა, ზოგი კი გაათავისუფლეს. ახლა ამ საკითხზე დეტალურად ვერ ვისაუბრებ, რადგან საქმის განხილვა უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში გრძელდება და საბოლოო გადაწყვეტილებას ის მიიღებს.

**- მოსამართლეებზე განხორციელებული ზეწოლის ერთ-ერთი ფაქტის თაობაზე პრესაშიც დაიბეჭდა. საუბარია, მოსამართლე პარუნიანის შემთხვევაზე, როცა შსს-ს მაღალჩინოსნები მას იარაღით დაემუქრნენ, რათა მათთვის სასურველი გადაწყვეტილება მიეღო.**

- ასეთ ფაქტებს ბევრს ნამდვილად ვერ მოისმენთ. ეს იყო ერთი შემთხვევა, თანაც ფაქტი დამახინჯდა, რადგან მოსამართლეზე არანაირი ზეწოლა არ მომხდარა. პირადად დავინტერესდი ამ შემთხვევით, პარლამენტშიც იყო ამ საკითხზე მსჯელობა და თავად მოსამართლემ განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია, ვერც ვერავინ გამიბედავდა ასეთ რამესო. რეალურად ასე იყო: სასამართლოს შენობის შესასვლელში თანამშრომლებსა და გარედან მოსულ პირებს შორის ინციდენტი მოხდა, რა დროსაც იარაღიც იყო გამოყენებული. მომხდარი ფაქტი ძალზე ალმაშფოთებელია, მაგრამ ეს მოხდა მაშინ, როცა რეფორმაც კი არ იყო დაწყებული, სასამართლო სისტემაში საოცარი ქაოსი იყო. როცა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ დავინიშნე, ორი დღე შუქი არ იყო, რადგან დავალიანება ვერ გადავიხადეთ, იმიტომ, რომ ბიუჯეტში ფული არ იყო. ვერ ჩავრთეთ გენერატორი, რადგან ნაწილი ჰქონდა დაზიანებული და შესაკეთებელი ფული არ იყო. ორი დღის დანიშნული ვიყავი, როცა დამირეკეს და მითხრეს, საოლქო სასამართლოში ქსეროქსი არ არის, ასლებს ვერ ვიღებთო. აი, ასეთი სიტუაცია იყო. მას შემდეგ სასამართლო სისტემაში ბევრი რამ შეიცვალა, ახლა ასეთ რამეს ვერავინ გაბედავს. კიდევ ერთხელ გიმეორებთ, ეს შემთხვევა იმის მანიშნებელი იყო, რომ საქართველოში სასამართლო სისტემა არ არსებობდა.

**- ბატონო კოტე, ფაქტია, სასამართლო სისტემა საქართველოში ჯერ არ არის დამოუკიდებელი და ამას ძალზე ბევრი ფაქტორი განაპირობებს. სახელმწიფოებრიობის ბაზისის - სასამართლო ხელისუფლების "გასამართად", პირველ რიგში, ხელისუფლების პოლიტიკური ნებაა საჭირო...**

- სასამართლო სისტემას ჰქონდა სამი ძირითადი პრობლემა - დამოუკიდებლობის დეფიციტი, კორუფციის მასშტაბურობა და კვალიფიკაციის ნაკლებობა.

კორუფცია, ფაქტობრივად, აღმოფხვრილია, კვალიფიკაციის პრობლემები მოგვარდება და რჩება დამოუკიდებლობა, კრიტერიუმი, რომლის გარშეც სასამართლო სისტემის ფუნქციონირება წარმოუდგენელია. დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობის ტრადიცია საქართველოში არ არსებობდა, ახლანდელ ხელისუფლებას ამის სურვილი აქვს და აქეთკენ მივდივართ.

ევროკავშირის ექსპერტთა ჯგუფთან ერთად შევქმენით სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც პრეზიდენტმა დაამტკიცა. გარდა ამისა, ჩვენ მიერ შექმნილია სარეფორმო დოკუმენტი, სადაც ყველა ის შენიშვნაა გათვალისწინებული, რომელიც უცხოელმა ექსპერტებმა მოგვცეს. მათი შენიშვნები, რაც სტრატეგიულ დოკუმენტშია ასახული, ძირითადად შევასრულეთ, დარჩა უმნიშვნელო დეტალები, რომელსაც ასევე განვახორციელებთ. საერთაშორისო ექსპერტებმა ვადაც დაგვითქვეს, მათი რეკომენდაციები 3-5 წლის პერიოდში უნდა შესრულდეს. ერთი ხელის მოსმით ვერ მოგვარდება ის პრობლემები, რაც ამ სისტემაში წლების მანძილზე დაგროვდა.

მართალია, პრობლემები არსებობს, მაგრამ არც ისეა საქმე, როგორც გარედან ჩანს. თუ ადამიანმა ტელევიზიებისა და გაზეთების მეშვეობით იმსჯელა სასამართლო სისტემაში არსებულ მდგომარეობაზე, მათ სრული წარმოდგენა ვერ შეექმნებათ არსებულ რეალურ სიტუაციაზე.

**- საინტერესოა თქვენი პროგნოზი, როდის მივაღწევთ სრულყოფილი, დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნას?**

- როდის მივაღწევთ, ვერ გეტყვით, მაგრამ აქეთკენ მივდივართ. ძალზე ბევრი რამ მოსამართლეებზეა დამოკიდებული, მათ უნდა შექმნან სრულყოფილი სასამართლო სისტემა. შემიძლია ვთქვა, რეფორმის რომელი კუთხე როდის დასრულდება, მაგრამ ძალზე ძნელია პროგნოზირება იმისა, როდის მიაღწევს სასამართლო ხელისუფლება სრულ დამოუკიდებლობას, ამას, ალბათ, წლები დასჭირდება.

# IREX-თანხების მითვისებისთვის დაკავებული ცოლ-ქმარი

პირველი გვერდიდან

ლევან გურგენიძის თქმით, რამდენიმე ხნის წინ ცოლ-ქმარი სოდ-ში მოწმეებად დასაკითხად დაიბარეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც შეიტყვეს, რომ სამართალდამცველები მათი საქმიანობით იყვნენ დაინტერესებული, მუჯირი და როგავა მიიმალნენ.

მას შემდეგ, რაც ისინი მოწმის სახით არ გამოცხადდნენ, ცოლ-ქმარზე ძებნა გამოცხადდა და დაუსწრებლად შეეფარდათ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა.

როგორც სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში განმარტავენ, ექვმიტანილები, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში ქუთაისში იმალებოდნენ, გუშინწინ 03.30 საათზე თბილისში ამბროლაურის ქუჩაზე დააკავეს.

ამ დროისთვის ამოღებულია და დაყადაღებულია ავტომანქანები, რომლებიც, გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულებმა მითვისებული თანხებით შეიძინეს. გარდა ამისა, დაყადაღებულია აგარაკი დაბა წავკისში და სახლი თბილისში, ტაშკენტის ქუჩაზე.

ბრალდებული ცოლ-ქმრის ადვოკატი ლევან იოსელიანი გამოძიების რიგ ქმედებებს კანონის უხეშ დარღვევად მიიჩნევს და საქალაქო სასამართლოს იმ გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს, რომლითაც მუჯირსა და როგავას წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ.

იოსელიანის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფთ დაუსწრებლად იმისთვის შეეფარდათ წინასწარი პატიმრობა, რომ ისინი, თითქოს, რამდენჯერმე არ გამოცხადდნენ დაკითხვაზე. **"14 აპრილს, როგავა და მუჯირი ე.წ. მოდულის შენობაში დაკითხვაზე დაიბარეს. მათ მეც ვახლდი. როდესაც შენობასთან მივედით, სოდ-ის თანამშრომელს, შეხვედრის მიზნით, ტელეფონით დავუკავშირდით და მეორე დღისთვის დაგვიბარეს. იქიდან წამოსული მუჯირი და როგავა კი დააკავეს, რაც, ფაქტობრივად, საგამოძიებო ორგანოების მიერ წინასწარ დადგმულ სპექტაკლს ჰგავს"**, - აცხადებს იოსელიანი.

მისივე თქმით, გარდა იმისა, რომ სალომე მუჯირის ბრალი უსაფუძვლოა და ამის დამამტკიცებელი საბუთები არსებობს, სადავო თანხების მითვისება-გაფლანგვაში ექვმიტანილის ოჯახის წევრის დაკავება საერთოდ "ნონსენსია".

**"გამოძიებას მოეპოვება ფარული სატელეფონო ჩანაწერი, სადაც დავით როგავა დაზარალებულად ცნობილი ამერიკული მხარის წარმომადგენელს ესაუბრება. ჩანაწერის თანახმად, როგავა ამერიკულ მხარეს სთხოვს, არ მიმართოს საგამოძიებო ორგანოებს და იგი თავად აანაზღაურებს იმ თანხას, რასაც მოდავე მხარე ზარალად მიიჩნევს. ამის გამო, როგავას წაქეზების ბრალდება აქვს წაყენებული, რაც აბსურდია. დავით როგავას უბრალოდ არ სურდა, რომ მის მეუღლეს უსაფუძვლო პრობლემები შექმნოდა და გადახდის ამგვარ პირობაზე თანახმა იყო"**, - განმარტავს ადვოკატი.

*24 საათი*

# ერთადერთი გზა დიალოგია

## რეალობაში ტრანსფორმირებული იდეა და ოცნება

სოფო კილასონია

გაცვლითი პროექტები სახელოვნებო სფეროში ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და ეფექტურ მოვლენად ითვლება კულტურის პოლიტიკის მართვაში. კონტაქტები და გახსნილობა არსებული ტენდენციების მიმართ საუკეთესო შემთხვევებში მრავალმხრივი დატვირთვისაა. ისინი, ერთი მხრივ, საკუთარი სახელოვნებო მოვლენებისა და ტენდენციების ზოგად პლანში პარალელების დანახვის საშუალებას გვაძლევს, მეორე მხრივ კი საღი თვითკრიტიკის პროვოცირებას ახდენს, რასაც რიგ შემთხვევებში საინტერესო დასკვნები მოსდევს ხოლმე. მაგალითად, ის, რომ თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება არცთუ ისე წარმატებულ წიაღსვლებს ასრულებს, რომ კრიზისი ძალიან მწვავედ დგას ხელოვანთა წინაშე და რომ ჩვენი სახვითი ხელოვნების ტრადიციებზე დაყრდნობითა და მათი შენარჩუნებით შეიძლება ორიგინალური არტის შექმნა და არა ცივი, ზეპირი ასლებისა. ხშირად უთქვამთ, რომ ქართული სახვითი ხელოვნება სხვა სახელოვნებო მედიებს შორის ყველაზე რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა და რომ მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში და ერთეული ადამიანები აღწევენ წარმატებას საქართველოში თუ მის საზღვრებს მიღმა. ქართულ და დასავლურ კულტურას შორის საერთოდ და კონკრეტულად სახვით-ვიზუალურ ხელოვნებაში საგრძნობი აცდენაა, გარკვეული გაუცხოება საერთო მსოფლხედვაში, ინტერესთა სფეროებში და ა.შ. რამ გამოიწვია ეს? ამაზე პასუხი ისედაც ცხადია და თანაც იგი ფართოდ გაშლას მოითხოვს... ერთი ფაქტის აღნიშვნა კი ახლავე საჭიროდ მიგვაჩნია: ცნება "უცხოეთი" ქართველ მხატვრებს შორის გარკვეულ მორიდებას იწვევს, ერთგვარ დაუღაშქრავ მწვერვალად ეჩვენებათ და ეს ლოგიკური კომპლექსია, რომელსაც ყველა სხვადასხვაგვარად ებრძვის.

ერთხელ, დიდი ხნის წინ, საუბარში ლევან ჭოღოშვილმა აღნიშნა, რომ თუ საერთაშორისო არ ხარ, მაშინ შენს სუფთა შემოქმედებით მიღწევებს ფასი არა აქვსო. გამოდის, რომ არსებობს გარკვეული ნორმები თუ სტანდარტები, რომელსაც თანამედროვე მხატვარი უნდა აკმაყოფილებდეს. ის, რომ ქართველი მხატვრებისთვის სამშობლოში გამოფენის მოწყობა სრულიად უინტერესო მოვლენაა, ესეც ნიშანდობლივია და ამ თვალსაზრისით მრავალი საკითხის წამოწევაა აუცილებელი. ამ ფონზე გაცვლითი საერთაშორისო პროექტები დიდ როლს ასრულებს. თუ ასეთი მოვლენების სიხშირეს გავითვალისწინებთ (ისინი ძალიან იშვიათად ხდება), მაშინ გასაგები ხდება, რატომ უნდა დაეთმოს ასეთ წამოწყებებს დროც და ყურადღებაც.

ცოტა ხნის წინ ქართულ-ჰოლანდიურ ახალგაზრდულ პროექტზე ვწერდით, სადაც პირდაპირ თუ ვერა, ირიბად მაინც აღვნიშნეთ, რომ ამ ღონისძიებით ყველაზე მეტი მაინც თბილისში ჩამოსულმა სტუმრებმა შეიძინეს. რაც შეეხება ქართველ ახალგაზრდა ARTისტებს, მათ სულ ცოტა თავდაჯერება შეემატათ. მაგრამ ესეც საქმეა... ამჯერად აღსანიშნავი პროექტი სხვა აქცენტებისა და სხვა მასშტაბებისაა. საქმე ეხება ანკარაში არსებულ ცნობილი ბილკენტის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და თბილისის სამხატვრო აკადემიის თანამშრომლობას, მათ პირველ ერთობლივ პროექტს. თურქეთის ელჩის მეუღლის, ბილკენტის უნივერსიტეტის დოცენტის დომენიკ კასაბ თეზგორის ინიციატივითა და მონდომებით დაიწყო ორი სასწავლებლის ხელმძღვანელობათა ურთიერთობა, რომელიც სამომავლოდ არაერთ საინტერესო სვლას გეგმავს. საინტერესო გეგმების მიუხედავად, პირველ რიგში უკვე განხორციელებულ სტუმრიანობას უნდა შევეხოთ.

რამდენიმე დღის წინ სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ბილკენტის უნივერსიტეტის ცხრა პროფესორი მხატვრის ნამუშევრების ექსპოზიცია. მათ შორის არიან სხვადასხვა ეროვნების არტისტები, რომლებიც მუშაობენ როგორც ტრადიციული მიმართულებებით, ისე თანამედროვე მედიებში.

გამოფენას ახლავს ანკარაში დაბეჭდილი ბუკლეტი, რომელიც წარმოდგენილი მხატვრების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის. ამავე დროს ჩამოყალიბებულია თბილისის სამხატვრო აკადემიის წარსულისა და აწმყოს მოკლე რეზიუმე და კონკრეტული პროექტის მიზანი და მნიშვნელობა.

სამხატვრო აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის (რომელსაც ხელოვნებათმცოდნე კურატორი ნინო ჭოღოშვილი ხელმძღვანელობს) წარმომადგენლის განცხადებით: "დღეს სამხატვრო აკადემია მნიშვნელოვანი ამოცანების წინაშე დგას. მან ერთდროულად თანამედროვეობისთვის თვალსაჩინო უნდა გახადოს ის ტრადიცია, რომელიც სახვით და პლასტიკურ ხელოვნებაში საქართველომ საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნა და უნიკალური კულტურის სახით მოიტანა. ამავდროულად, სამხატვრო აკადემიამ ფეხი უნდა აუწყოს ზოგად კულტურულ პროცესებს და ძლიერი მხატვრული პოტენციალი დღევანდელობას დააწიოს. ამისთვის იგი სხვადასხვა მიმართულებითა და სხვადასხვა მეთოდებით მუშაობს..."



*გამოფენის ფოტოსერიიდან "აგონიაში დაკარგული სახლები"*

ბილკენტის უნივერსიტეტის დეკანი, პროფესორი და დოქტორი ბულენტ ოზგუზი განაზოგადებს კულტურათა შორის არსებულ განსხვავებებსა და სიახლოვეს: "ხელოვნება არსებობდა კაცობრიობის ისტორიის ყველა ფაზაში. ამ ფაზების ევოლუციის დროს მუდმივ ცვალებადობას განიცდიდა ხელოვნების პერსპექტივები, ხელოვნებით აღფრთოვანების ხარისხი და გამოცდილება ხელოვნებაში, ისევე როგორც ის, თუ როგორ იყო დანახული ხელოვნება. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა საზოგადოებაში ხელოვნება სხვადასხვა ფორმით არსებობს, ხელოვნების ზეგავლენა ინტელექტუალურ და ემოციურ ბაზისზე ნამდვილად დომინირებს, კულტურული ან გეოგრაფიული სხვაობის დამოუკიდებლად."

არც თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი გია ბუღაძე არის შორს თემის განზოგადებისგან, თუმცა ამ გაცვლით პროექტში იგი ქართული მხარისთვის საინტერესო აქცენტებს სვამს: "ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია უცხოელ ხელოვანთა შემოქმედების გაცნობა და ამით მხატვრული პროცესების მუდამ ავანგარდში ყოფნა. სამხატვრო აკადემია, რომელიც მკვეთრი რეფორმების გზას ადგას, მოხარულია, რომ ეძლევა უცხოელ მეცნიერთა და შემოქმედთა გამოცდილების გაზიარების საშუალება.

თბილისის სამხატვრო აკადემიისა და ბილკენტის უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობა ორივე მხარისთვის განსაკუთრებულად საინტერესოდ მიმაჩნია, რადგან კულტურათა ურთიერთობა ის ერთ-ერთი უმთავრესი გზაა, რომლითაც ნებისმიერი ადამიანისა თუ ერის ზოგადკულტურული პროცესები განსაკუთრებულად მდიდრდება, ვითარდება, თავისუფლდება და მრავალმხრივი გამოვლენის საშუალებებს იძლევა. დღეს, როცა გლობალიზაციის იდეამ ნებისმიერ სფეროში დაიმკვიდრა ადგილი, ხელოვნებამ, ერთი მხრივ, დაკარგა საზღვრები, მეორე მხრივ კი ოპოზიციური, მკვეთრი ლოკალიზების, ჩაკეტილობის თვისება დასჩემდა. ამ დროს ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი და ამოსავალი საკუთარი და სხვათა კულტურების, მათი მენტალობის შეცნობაა. ამისთვის კი ერთადერთი გზა დიალოგია."

ამჟამად ექსპოზიცია უკვე ბათუმის ხელოვნების მუზეუმშია გამოფენილი. თურქეთის (და არა მხოლოდ მისი) ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის პროფესურის ნამუშევრები (ფოტო, ფერწერა, გრაფიკა, პლაკატი) საქართველოს ტერიტორიას სულ მალე დატოვებენ. ამის შემდეგ გაცვლითი პროექტის მეორე ნაწილისთვის დაიწყება მზადება. როგორც შევიტყვეთ, სამხატვრო აკადემია თურქეთში ჯერ მხატვარ პედაგოგებს მიავლენს, შემდეგ კი ახალგაზრდა მხატვრების ექსპოზიციას წარადგენს დამეგობრებულ სასწავლებელში, რომელსაც, როგორც ვიცით, მეტად მნიშვნელოვანი როლი ეკისრება კულტურული ცხოვრებისა და პროცესების განვითარებაში. კატალოგში, რომელიც გამოფენაზე წარმოადგინეს, მოკლედ და ლაკონიურად პროექტის შემდგომი ნაბიჯების შესახებაც არის მოთხრობილი.

# "Fitch"-ის შეფასება "საქართველოს ბანკი"-ს პოზიციებს ამყარებს

*უცხოური და ადგილობრივი ვალუტის ემიტენტის დეფოლტის "B-" (ბი მინუსი) რეიტინგი, უცხოური და ეროვნული ვალუტის მოკლევადიანი რეიტინგი "B" (ემიტენტის დეფოლტის ორივე რეიტინგის პერსპექტივა სტაბილურია), ინდივიდუალური რეიტინგი "D" და მხარდაჭერის რეიტინგი "5" - ყველა ეს "ტიტული" საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია "ფიტჩ რეიტინგი"-ს (Fitch Rating) გადაწყვეტილებით "საქართველოს ბანკს" მიენიჭა.*

ნინო ნარჩემაშვილი

აღსანიშნავია, რომ ასეთ სტატუსს საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია "ფიტჩ რეიტინგი" (Fitch Rating) საბანკო სექტორში დასაქმებულ ორგანიზაციებს მათი სანდოობის, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი, მზარდი საქმიანობისა და სხვა მონაცემის მიხედვით განუსაზღვრავს, რაც მათ ავტომატურად საიმედო ბანკის იმიჯს უქმნის. გარდა ამისა, ქვეყანაში უცხოელი ინვესტორებისათვისა თუ უცხოური კაპიტალისათვის საიმედო პარტნიორის არსებობას აფიქსირებს.

"საქართველოს ბანკში" აღნიშნავენ, რომ **"ბანკის საკრედიტო რეიტინგი ასახავს საკრედიტო რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია დაკრედიტების დონის სწრაფ ზრდასთან საქართველოს შედარებით მაღალი რისკის მქონე ეკონომიკის ფონზე. რეიტინგი ასევე პოტენციურად სარისკო ლიკვიდობას ასახავს, რაც გამოწვეულია არსებული თარიღისთვის მოკლევადიანი კლიენტების თანხების სიჭარბით. თუმცა, ბანკს გააჩნია ძლიერი ფრანჩიზა ქვეყნის მასშტაბით, სტაბილური შემოსავლიანობა ძირითადი საქმიანობიდან და კაპიტალიზაციის ადეკვატური დონე. ამასთანავე, აღსანიშნავია ბანკის კარგად განსაზღვრული, აგრესიული განვითარების სტრატეგია, რომელიც 2004 წელს იქნა მიღებული და საერთაშორისო გამოცდილების მქონე ახალი მენეჯმენტის მიერ ხორციელდება".**

ინფორმაციისათვის - "საქართველოს ბანკი" საქართველოში აქტივების მიხედვით სიდიდით მეორე ბანკია (2006 წლის პირველ კვარტალში აქტივების მოცულობა 606.3 მილიონ ლარს გაუტოლდა), რომელიც კორპორატიულ კლიენტებსა და ფიზიკურ პირებს ემსახურება. სტრატეგიული მიზნების ფარგლებში ბანკი სპეციალიზირდება სამომხმარებლო და მიკრო დაკრედიტებაზე. ამ ბაზარზე "საქართველოს ბანკი" ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს. გასული ორი წლის განმავლობაში "საქართველოს ბანკის" განვითარებას ხელი შეუწყო ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების შესყიდვამ. 2006 წლის მარტში "საქართველოს ბანკმა" შეისყიდა "ინტელექტბანკი", რის შედეგადაც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა "საქართველოს ბანკს" ერთი წლის ვადით გაუუქმა ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები. მიმდინარე წელს "საქართველოს ბანკმა" "ინტელექტბანკის" აქტივები და პასივები შეისყიდა, რამაც ბანკის კლიენტურა კიდევ უფრო გაზარდა. ბანკი დსთ-ის სხვა ქვეყნებში, მათ შორის უკრაინაში, ბანკების შესყიდვის პერსპექტივას განიხილავს. თუმცა, როგორც "საქართველოს ბანკში" აღნიშნავენ, "Fitch"-ს გაცნობიერებული აქვს, რომ ამგვარი ბანკების მფლობელი იქნება ჰოლდინგური კომპანია და შენაძენი "საქართველოს ბანკის" უწყისში არ იქნება ასახული. "საქართველოს ბანკის" საბაზრო წილი სამომხმარებლო საბანკო სესხებსა და ფიზიკური პირების დეპოზიტებში, 2005 წლის ბოლოს, შესაბამისად, 23% და 19% იყო. მიმდინარე ეტაპზე ბანკს მრავალი აქციონერი ჰყავს და 2005 წლიდან მოყოლებული უცხოელი პორტფელური ინვესტორები ბანკის უმეტეს წილს ფლობენ. 2004 წლის მეორე ნახევრიდან კი ბანკი ახორციელებს აგრესიულ სტრატეგიულ გეგმას, რომლის მიზანიც საშუალო ვადაში პოტენციური სტრატეგიული აქციონერის მოზიდვა გახლავთ. "საქართველოს ბანკში" აღნიშნავენ, რომ დაკრედიტებასთან დაკავშირებული რისკები საკრედიტო საქმიანობის ზრდასა და არასტაბილურ მაკროეკონიმიკურ გარემოსთან არის დაკავშირებული. ახალი მენეჯმენტის მიერ გაცემული სესხების ხარისხი მაღალია, თუმცა გრძელვადიანი პროგნოზის გაკეთება ჯერ ნაადრევია. ახალი მენეჯმენტის მიერ განხორციელებული პორტფელის გაწმენდა 2004 წლის მეოთხე კვარტალში შედგა, რამაც მნიშვნელოვანი ჩამოწერები და რეზერვების გაზრდა გამოიწვია. დაფინანსების ბაზა პოტენციურად არასტაბილურია, ვალდებულებათა 65% პროცენტი ფაქტობრივად მოთხოვნამდე დეპოზიტებს წარმოადგენს (საქართველოში ფიზიკური პირების ვადიან დეპოზიტებზე ვადაზე ადრე გატანის საშუალება არსებობს). თუმცა, ბანკი ცდილობს საკუთარი ვალდებულებების დივერსიფიცირებას გრძელვადიანი უცხოური ბანკთაშორისი სესხების და სახსრების მოზიდვის მეშვეობით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2006 წლისთვის განსაზღვრული 100 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სახსრების მოზიდვის გეგმა ნაწილობრივ განხორციელდა 2006 პირველივე კვარტალში. მოსალოდნელია შიდა კაპიტალის გენერირების შემცირება, რაც დაკავშირებულია ბანკის განვითარებისთვის საჭირო დაბანდებებთან. "Fitch"-ში აღნიშნავენ, რომ **"საქართველოს ბანკის" კაპიტალიზაციას 2006 წელს ხელს შეუწყობს არსებული და პოტენციური ინვესტორების მხრიდან დიდი მოთხოვნა ახალი აქციების ემისიაზე და 2006 წელს დაგეგმილი პირველადი საჯარო შეთავაზება".**

მნიშვნელოვანია, რომ აქტივების კარგი ხარისხისა და დაფინანსების დივერსიფიკაციის შედეგად გაუმჯობესებული ლიკვიდურობა, აგრეთვე საოპერაციო გარემოს გაუმჯობესება შესაბამისად "საქართველოს ბანკის" რეიტინგის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. "Fitch"-ის შეფასებით, **"საქართველოს მთავრობა განწყობილია იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში მხარი დაუჭიროს ქვეყნისათვის მნიშვნელოვან საბანკო დაწესებულებებს. "საქართველოს ბანკის" ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი "B-" მტკიცე და დამსახურებული შეფასება გახლავთ. აქედან გამომდინარე, ემიტენტის დეფოლტის რეიტინგის გაუარესება მოსალოდნელი არ არის იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბანკის ფინანსური პოზიცია გაუარესდება".**

დაკიდევ, ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, საერთაშორისო რეიტინგი არის ერთ-ერთი გზა, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ ქვეყანაში კლიენტები ბანკის მდგრადობას, ფინანსურ საიმედოობას და ნდობის ფაქტორს განსაზღვრავენ. "საქართველოს ბანკის" შემთხვევაში კი, რომელსაც ერთბაშად რეიტინგის ოთხი მაჩვენებელი მიენიჭა, შეიძლება ითქვას, ყველა ეს ფაქტორი მნიშვნელოვნად იზრდება.






დავით კოპზირიძის სვეტი

# CARLITO'S WAY

ამაყად გაოცებული გახლავართ იმ სპორტული ფორმით, რომელშიც აგერ უკვე მეორე თვეა კახა კალაძე იმყოფება. როგორც ყველამ ვიცით, სწორედ ამ ორიოდ თვის წინ "მილანს" მაგრად გაუჭირდა დაცვაში - ერთმანეთის მიყოლებით მიიღეს ტრავმები კაფუმ და პაოლო მალდინიმ. კი, "მილანია", ზღვა გამოცდილებისა და დიდი ისტორიის მქონე კლუბი, რომელსაც ორი მცველის არყოფნა არ უნდა დაეტყოს, მაგრამ საუბარია ადამიანებზე, რომელთაგან ერთმა მსოფლიოს სამი ჩემპიონატის ფინალში ითამაშა და ორჯერ მოიგო, ხოლო მეორე, რაც თავი მახსოვს, ტყვიაგაუმტარი შუშასავით დგას კლუბისა და იტალიის ნაკრების მეკარეთა სიახლოვეს.

ამ დანაკლისის თუ უბრალოდ, სტრატეგიული მოსაზრების შედეგად, ანჩელოტიმ საქართველოს ნაკრების კაპიტანი მარცხნიდან შუაში შესწია და შეიქმნა წყვილი ნესტა-კალაძე, რომელშიც ლიდერად ჩვენიანი მოგვევლინა. არა მარტო ამ დუეტში, კახა მთლიანად გუნდში გახდა ცენტრალური ფიგურა. ამაში მარტო იმას არ ვგულისხმობ, რომ ერთხელ კაპიტნის სამკლაური ეკეთა და ბოლო ტურში მილანის ისტორიული დერბი მოიგო პირადად, რაც, არც "მილანის" და არც "ინტერის" გულშემატკივრებს დაავიწყდებათ კარგა ხანს. არა, მთავარი აქ ისაა, რომ ეს ბიჭი, მიუხედავად ყველაფერი ცუდისა რაც სამშობლოში მოუწყვეს, მსოფლიო დონის ფეხბურთს უკვე სტაბილურად თამაშობს.

**მინდა ქართული მატრაკვეცობის და ყოველგვარი ემოციების გარეშე ვთქვა - ალექსანდრე ჩივაძის შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცეში კალაძისნაირი ძლიერი მცველი არ გამოჩენილა.**

დღეს კალაძეს სეზონის სადიპლომო გამოცდა ელის - რონალდინიოსა და სამუელ ეტოოს მიერ მოფიქრებული საოცრებები უნდა მოიგერიოს. საბოლოოდ რა მოხდება ლიგის ნახევარფინალში, კაცმა არ იცის, მაგრამ ძალიან კარგია ის, რომ ნაკრებს ჰყავს სამაგალითო ფეხბურთელი, მისაბაძი კაცი ახალგაზრდებისთვის.

■ ■ ■

დაახლოებით იგივე თემა უნდა გავაგრძელო. არსებობს ბანალური აქსიომა, რომ ქართველები ვართ ნიჭიერები, ოღონდ ზარმაცები. ეს ასეა, თუმცა ოდნავ შევასწორებდი - ქართველები ვართ გაცილებით ზარმაცები, ვიდრე ნიჭიერები. შეიძლება ასეთი რედაქტირებაც - საქართველოში ბევრად მეტი ზარმაცია, ვიდრე ნიჭიერი.

გამონაკლისი არც ქართული ფეხბურთია. ჩვენს ეზოებში ჯერ კიდევ დარბიან ტალანტები. მართალია ადრინდელთან შედარებით ნაკლები რაოდენობით და სიხშირით, მაგრამ მაინც დარბიან. გადის წლები და რატომღაც ისე ხდება, რომ თაობიდან, რომელშიც ამდენი ნიჭიერი ბიჭია, მხოლოდ ერთი, ჰა-ჰა ორი გამოდის კარგი ფეხბურთელი. ამ კარგი ფეხბურთელებიდან ოთხ-ხუთ წელიწადში ერთხელ ვიღებთ მოთამაშეს, რომელსაც მთელი ევროპა კარგად იცნობს.

რაშია საქმე? უფრო სწორად, სადაა პრობლემა ჩამალული? მიზეზები ძალიან ბევრია და ზოგიერთ მათგანზე მე და თქვენ უკვე ვიმსჯელეთ ამ სვეტის საშუალებით.

ახლაც ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას უნდა მივაქციოთ ყურადღება. ეს არის ზოგადი ფსიქოლოგია, გამეფებული მთელს ერში. პრობლემა ძველია, ამიტომაც აქვს ფესვები ღრმად გამდგარი და ამიტომაც სჭირდება მათ ამოძირკვას დიდი დრო და მუშაობა.

ამ ფსიქოლოგიურ პრობლემაში სწორედ იმას ვგულისხმობ, რომ დამწყები ფეხბურთელები დარწმუნებულნი არიან ქართველთა, ანუ თავიანთ უსაზღვრო ნიჭიერებაში და არც იმის წინააღმდეგნი არიან, რომ აქედან გამომდინარე ხანდახან წაზარმაცება სულაც არაა დანაშაული. ეს დინებები მათ გონებაში სხვადასხვა წყაროებიდან აღწევს, იქნება ეს მშობელი, მეზობელი, მწვრთნელი, მასმედია თუ არასწორი ინფორმაციის მუსირება.

დამწყებ ფეხბურთელთა მინიმალური მიზანი ძალიან მინიმალურია. ანუ ეს ბიჭები ნაადრევად კმაყოფილდებიან იმით, რაც წესით, მათი კარიერის ერთ-ერთი რიგითი ეტაპი უნდა იყოს. დავაკვირდეთ რას ამბობენ ხშირად დიდი ფეხბურთელები: "ესა და ეს აუცილებლად გამოსასწორებელი მაქვს", "მიღწეულით ვერ დავკმაყოფილდები" და ასე შემდეგ. რონალდინიო რომ რონალდინიოა, ისიც სულ იმეორებს, დღედაღამ იმაზე ვფიქრობ, როგორ დავიხვეწო და კიდევ უფრო როგორ გაგახაროთო. ამას კი დამწყებ ქართველ ფეხბურთელს ვერ გაუბედავ, იმაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, რომ თავად მოუვიდეს მსგავსი აზრი თავში.

არადა, სულ თავში უნდა უტრიალებდეს, რადგან ადამიანი, რომელსაც პროფესიონალი ჰქვია, გონებით მუდამ საკუთარ პროფესიას დასტრიალებს, ეძებს ნაკლს, ხვდება რატომ მიაღწია წარმატებას კონკრეტულ შემთხვევაში, ფიქრობს მომავალ ნაბიჯებზე და ეს მარადიული პროცესია, რომელიც პრაქტიკაშიც უნდა გადაიზარდოს. და თუ ეს პროცესი გაწყდა, პროფესიონალიზმსა და განვითარებას წერტილი ესმება.

რადგან ჩვენ, ზარმაც ქართველებს, არათუ პრაქტიკული განვითარება, ამაზე ფიქრიც კი გვეზარება, შევეცდები აქ აღნიშნული პრობლემის გამოსავალზე უახლოეს სვეტში ვილაპარაკო. მე ვიფიქრებ და დავწერ. იქნებ ვინმემ წაიკითხოს და ამ ბიჭებს აუხსნას, რომ სიზარმაცე ნიჭს მომენტალურად აქრობს. რომ ზარმაც კალაძეზე სილვიო ბერლუსკონი კი არ ილაპარაკებდა აღტაცებით, უბრალოდ, არავის გვეცოდინებოდა მისი არსებობა.

*მომავალ სამშაბათამდე*

ჩოგბურთი

# კონჩიტა მარტინესი ჩოგბურთს დაემშვიდობა



*ერთადერთი ესპანელი, ვინც უიმბლდონის ტურნირი მოიგო, კონჩიტა მარტინესია.*

ერთადერთი ესპანელი, ვინც უიმბლდონის ტურნირი მოიგო, კონჩიტა მარტინესი საჩოგბურთო კარიერას დაემშვიდობა. ყველაზე თვალსაჩინო მიღწევა ესპანელის კარიერაში სწორედ უიმბლდონის ტურნირზე გამარჯვება იყო 1994 წელს. მაშინ კონჩიტა მარტინესმა თვით ლეგენდარული მარტინა ნავრატილოვას შეჩერება შეძლო და არ მისცა მას საშუალება კარიერაში მე-10 უიმბლდონური ტიტული მოეგო.

ამას გარდა ესპანელი, რომელიც ვირტუოზულად თამაშობდა უკანა ხაზზე, "დიდი სლემის" ტურნირების ფინალში კიდევ ორჯერ გავიდა. 1998 წელს ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალში მან მარტინა ჰინგისს დაუთმო ტიტული, ხოლო 2000 წლის "როლან გაროსის" ფინალურ შეხვედრაში ვერაფერი გააწყო ფრანგი მარი პირსის წინააღმდეგ.

"ეს გადაწყვეტილება ძალიან მძიმე იყო ჩემთვის, - ვალენსიაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა მარტინესმა, - მაგრამ ახლა ყველაფერი გარკვეულია. მთელი საჩოგბურთო კარიერის განმავლობაში არაერთი მძიმე მომენტის გადატანა მომიხდა. თუმცა არ შეიძლება არ მახარებდეს, რომ ჩემი გამარჯვებები დიდხანს დარჩება გულშემატკივართა მეხსიერებაში".

კონჩიტა მარტინესი პროფესიონალ ჩოგბურთში 1988 წლიდან ჩაება. მას შემდეგ ესპანელმა 33 ტურნირი მოიგო. ბოლოს მარტინესმა შარშან თებერვალში გაიმარჯვა ტაილანდში პატაიეს ტურნირზე.

1995 წლის ოქტომბერში კონჩიტა პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგში მეორე საფეხურზე დამკვიდრდა. ჩოგბურთელისთვის იმ შთამბეჭდავ სეზონში მარტინესი "დიდი სლემის" ოთხივე ტურნირის ნახევარფინალში გავიდა. სეზონის ბოლოს კი მის აქტივში ყველა სხვა ჩოგბურთელზე მეტი გამარჯვება იყო.

ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში მარტინესმა 5-ჯერ გაიმარჯვა ფედერაციის თასზე (1991, 1993, 1994, 1995 და 1998). ოთხ ოლიმპიურ თამაშებში მიიღო მონაწილეობა და წყვილთა თანრიგში ორჯერ იმარჯვა (1992 - ბარსელონა და 2004 - ათენი). ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე კი 1996 წელს ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

სათხილამურო სპორტი

# რეკორდი "უსინათლოდ და უშიშრად"



*უსინათლომ 162 კმ/საათი სიჩქარე განავითარა.*

*გული გულობდესო, ამ კაცზეა ნათქვამი. 34 წლის უსინათლო სამთომოთხილამურემ კევინ ოლდერტონმა რეკორდი დაამყარა. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, თხილამურები მოირგო და ერთ-ერთ ტრასაზე დაეშვა. გზაში კი 160 კმ/საათი სიჩქარე განავითარა! მართალია, ეს ყველაფერი ძალზე უჩვეულოდ ჟღერს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ოლდერტონი მარტო არ ყოფილა. უსინათლო სამთომოთხილამურეს ერთგვარ მეგზურობას უწევდა მწვრთნელი ნორმან კლარკი, რომელიც ჩაფხუტში მოთავსებული ყურსასმენით შეგირდს ტრასის მარშრუტს რადიოსიგნალით კარნახობდა.*

კევინ ოლდერტონი - გადამდგარი ბრიტანელი ჯარისკაცი ცხოვრობს ლოზუნგით: "უსინათლოდ და უშიშრად". მისი ცხოვრების ფილოსოფია კი ერთგვარი მოწოდებაა მათთვის, ვისაც საკუთრი მწვერვალების დაპყრობა განუზრახავს. კევინმა რვა წლის წინათ ქუჩის ხულიგნების მოგერიებისას დაკარგა მხედველობა. სამთოთხილამურებისადმი მისწრაფებამ კი ცხოვრების ინტერესი დაუბრუნა. ეს ახლა, თავდაპირველად კი გაცილებით რთულად იყო ყველაფერი. "დამოუკიდებლობა დავკარგე. დავკარგე საკუთარი თავის რწმენა და საკუთარი ცხოვრება. თავიდან ყველაფერთან გამკლავება უბრალოდ შეუძლებელი იყო", - ამბობს ოლდერტონი.

გავიდა რვა წელიწადი და ოლდერტონი საფრანგეთის ალპებში ლეზ არკის სამთოსათხილამურო ფერდობიდან დაეშვა.

მწვრთნელის თქმით, "ის ახალ ცხოვრებას იწყებს - ნულიდან ვარსკვლავებისკენ. მისი მოვალეობაა სტიმული მისცეს სხვა ინვალიდებსაც".

ოლდერტონის ახლობლები ფინიშის ნიშნულთან სუნთქვაშეკრულნი შესცქეროდნენ პატარა ფიგურას, რომელიც ზემოდან მოექანებოდა. კევინი კი გზადაგზა სიჩქარეს უმატებდა. ზედ ფინიშის ნიშნულთან კი კინაღამ კატასტროფა მოხდა - ოლდერტონი წაიქცა და ზურგზე დაახლოებით ასი მეტრი ისრიალა.

ასეთი არასპორტული მდგომარეობის მიუხედავად, რეკორდი მაინც დამყარდა.

"ორივე თხილამური გამძვრა, მაგრამ წამმზომმა აჩვენა, რომ 162 კმ/საათი განვავითარე. ასე რომ, მნიშვნელობა არა აქვს, უკანალით ვისრიალე თუ არა, 162 კილომეტრი საათში მაინც გადავლახე. საოცარი განცდაა. ყველას გირჩევთ, იგივე თქვენც განიცადოთ", - რეკორდის დამყარების შემდეგ ამბობდა ოლდერტონი.

კევინი თხილამურებით დაშვებას თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმოხტომას ადარებს. ახლა კი იმედი აქვს, რომ ლეზ არკის ფერდობებს გაისადაც ეწვევა, რათა საკუთარი რეკორდი გააუმჯობესოს.

ოლიმპიზმი

# სპილბერგი პეკინზე მუშაობს

*ჩინელი რეჟისორი ჩჟან იმოუ უახლოესი ორი წლის განმავლობაში გადასაღებ მოედანზე გაუსვლელობის პირობას დებს, სანაცვლოდ კი საკუთარ შემოქმედებით გონებას პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნა-დახურვის ცერემონიალების დადგმისკენ მიმართავს. და კიდევ, ის, რასაც ოლიმპიური თამაშებისთვის ვაპირებ, მარტო ჩემი შემოქმედებით არ იქნება გაჯერებული. მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით ყოველივე ჩემს გემოვნებას არ უნდა ეყრდნობოდესო. ერთი სიტყვით, გახსნა-დახურვის ცერემონიალების დადგმაში მონაწილეობას მიიღებს ჰოლივუდის რეჟისორი სტივენ სპილბერგიც.*



*სტივენ სპილბერგი ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალს დადგამს.*

ბიბა ბურასაშვილი

ორიოდე დღის წინათ პეკინის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მიერ მოწყობილ პრესკონფერენციაზე გაცხადდა, რომ ამერიკელი რეჟისორი (რომელიც ასევე ესწრებოდა პრესკონფერენციას) ცერემონიათა სამხატვრო ხელმძღვანელად მოგვევლინება, რომელიც თავის მხრივ მთავარი რეჟისორს ჩჟან იმოუს გაუწევს კონსულტანტობას. ჩინელი რეჟისორი კი ასეულობით მილიონ თანამემამულეს ლამაზ სანახაობას ჰპირდება.

საგულისხმოა, რომ საორგანიზაციო კომიტეტმა მსოფლიოს მასშტაბით გახსნა-დახურვის ცერემონიალებისთვის 400-ზე მეტი სცენარი მიიღო. ამჟამად მათგან ხუთი საუკეთესო სცენარია შერჩეული, რომელთა საფუძველზეც დაიდგმება წარმოდგენა.

სტივენ სპილბერგი ვინცაა, ყველას კარგად მოეხსენება. ასე რომ, მასზე აღარ შევჩერდებით და იმას ვიტყვით, რომ იმოუ ჩჟანის შემოქმედებას ეკუთვნის ფილმები: "მფრინავი ხანჯლების სახლი" და "აღმართე წითელი ფანარი", რომლებიც, სხვათა შორის, ამერიკის კინოაკადემიის ჯილდოზე "ოსკარზე" გახლდათ წარდგენილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩინელი რეჟისორი ოლიმპიადის საყოველთაო მზადებას მას შემდეგ შეუდგება, როდესაც ფილმის "ქალაქში ოქროს აბჯრით" გადაღებას დაასრულებს.

პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნა-დახურვის ცერემონიალამდე საკმაო დროა, მანამდე კი ისაა ცნობილი, რომ თამაშები გაიხსნება 08.08.2008 ადგილობრივი დროით რვა საათზე. თარიღი და საათი შემთხვევით არაა შერჩეული. ჩინეთში ციფრი რვა ყველაზე ბედნიერ ციფრადაა მიჩნეული.

ფეხბურთი

# "მშვიდობა შენს დივანზე"

## მუნდიალის ახალი პრობლემა: ინგლისელი სტუმრები და პროსტიტუცია

მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორები გუშინ სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ, რამაც შეიძლება საერთაშორისო სკანდალის სახე მიიღოს. კერძოდ, გერმანელი ბინათმფლობელები ბრიტანელი ფანატებისთვის ბოიკოტის გამოცხადებას და მათთვის ბინების მიქირავებაზე უარის თქმას აპირებენ, რის გამოც ბრიტანელების მხრიდან მძაფრი რეაქციაა მოსალოდნელი.

ინგლისური ტაბლოიდის, "სანის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გერმანიის ბინათმფლობელთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ულრიხ როპერცმა კიოლნის, ფრანკფურტის და ნიურნბერგის ბინათმფლობელებს ინგლისელი გულშემატკივრებისთვის ბინის მიქირავებაზე უარის თქმისკენ მოუწოდა. სწორედ ამ ქალაქებში უწევთ ჯგუფური შეხვედრების ჩატარება ინგლისელებს და როპერცის თქმით, "შფოთისთავი და ლოთი ინგლისელები როგორც დაქირავებულ ბინებს, ისე ქალაქებს ძალზე ცუდ დღეს დააყრიან". ამ პატივცემული გერმანელის აზრით, იდეალური სტუმრები იქნებიან "აკურატული და ნეიტრალური" შვეიცარიელები, ხოლო "ბრაზილიელებს გულღიად უნდა დავხვდეთ, რადგან ისინი მხიარულები, სიცოცხლისმოყვარულები და ეგზოტიკურები არიან", - აღნიშნა ბინათმფლობელების შეფმა.

გერმანულმა გაზეთებმა ეს ბრალდება შორს დაიჭირეს. გერმანულ პრესაში გამოვიდა ნიურნბერგის მერის თანაშემწე, პეტერ მურმანი და "სანში" გამოქვეყნებულ სტატიას აღმაშფოთებელი უწოდა. "ნიურნბერგის მერიამ უკვე დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატის სტუმრების დახვედრისთვის მზადება და ამ თვალსაზრისით რამდენიმე საინტერესო ინიციატივითაც გამოვიდა, მათ შორის, პროექტით, რომლის სახელწოდებაა "მშვიდობა შენს დივანზე". ეს ინიციატივა გულისხმობს ნიურნბერგის ასობით ოჯახის მზადყოფნას - მიიღოს და უცხოელ გულშემატკივრებს საკუთარი საძინებლები დაუთმოს მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობის დღეებში. საუბარი იმაზეა, რომ მუნდიალის დროს გერმანია თავისთან მთელ მსოფლიოს ეპატიჟება", - განაცხადა მურმანმა.

ორგანიზატორებს ნაკლებად ადარდებს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჩემპიონატის დღეებში მკვეთრად გაიზრდება მოთხოვნილება პროსტიტუციაზე. სექს-ვაჭრობის ბუმის მოლოდინში დორტმუნდი და კიოლნი "სექს-ქოხებს" ამზადებს, რომლებიც აღჭურვილი იქნება პრეზერვატივებით, სიგნალიზაციით და ავარიული გასასვლელებით. ბერლინში უკვე გაიხსნა ერთი სუპერბორდელი, რომელსაც დღეში 800 კლიენტის მომსახურება შეუძლია. ოლიმპიური სტადიონის სიახლოვეს შედარებით მომცრო ასეთი "დაწესებულებების" მშენებლობა მიმდინარეობს.

ამის მიუხედავად, ფემინისტური ორგანიზაციები შიშობენ, რომ უცხოეთიდან გერმანიაში ჩასვლის სურვილის მქონე 40-დან 100 ათასამდე მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონს, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის სტუმართა სექსუალურ მომსახურებას აპირებენ, პროსტიტუციით დაკავება საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდაც მოუწევს.

"პროსტიტუცია დიდ წილად "შავი ბაზრის" კუთვნილებაა და გერმანიამ ზომები უნდა მიიღოს იძულებითი პროსტიტუციის წინააღმდეგ", - განაცხადა გერმანიიდან ევროპარლამენტის წევრმა, ჰილტრუდ ბეიერმა. ევროპარლამენტს არ გააჩნია ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ გერმანიის 12 მასპინძელ ქალაქში რამდენ მანდილოსანს აიძულებენ პროსტიტუციით დაკავებას, თუმცა, აღიარებს, რომ ბოლო 5 თვეში ევროკავშირის ქვეყნებში ასი ათასამდე ქალბატონი გახდა სექსუალური ტრეფიკინგის მსხვერპლი.

# ქალაქ თბილისის მერი

**ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ**




"საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების მე-3 მუხლის "ზ" ქვეპუნქტისა და მე-12 მუხლის "ნ" ქვეპუნქტის საფუძვლებზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის დებულება, დანართი 1-ის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს "ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის დებულების, სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის N38 ბრძანება.
3. ბრძანება ძალაშია "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მერი გიორგი უგულავა

*დანართი N1*

## ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

### თავი I. ზოგადი დებულებები

**მუხლი 1.**

1. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური (შემდგომში-სამსახური) შექმნილია "საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის, "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების შესახებ" საქართველოს კანონისა და "საქართველოს დედაქალაქის-ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულების საფუძველზე, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს ქ.თბილისის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი განვითარებისათვის საჭირო ღინისძიებების რეალიზებას და აღნიშნულ სფეროში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელებას.
2. სამსახური, თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით, "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების შესახებ" საქართველოს კანონით, "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, "საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით, "საქართევლოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით, საქართველოში მოქმედი სხვა საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ქ.თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების (თანამდებობის პირების) სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით. მათი შესრულების უზრუნველსაყოფად სამსახური წყვეტს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს.
3. სამსახური წარმოადგენს Qქ. თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულს.
4. სამსახურის კომპეტენცია, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით, რომელსაც დადგენილი წესით, ქალაქ თბილისის პრემიერის წარდგინებით ამტკიცებს ქალაქ თბილისის მერი.
5. სამსახურს აქვს დებულება, შტამპი, ბლანკი, ბეჭედი სახელწოდების აღნიშვნით, დასრულებული ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა და სათანადო ანგარიში ქ.თბილისის ხაზინაში, აგრეთვე ამ სტატუსის მქონე სამსახურისათვის ნებადართული სხვა ოფიციალური რეკვიზიტები.
6. სამსახურის დაფინანსება ხორციელდება ქ.თბილისის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე.
7. სამსახურის იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24, საფოსტო ინდექსი 0102.

### თავი II. სამსახურის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

**მუხლი 2.**

1. სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით ქ.თბილისის ტერიტორიაზე ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება.
2. საქმიანობის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე, სამსახურის ფუნქციებს, მოქმედი კანონმდებლობისა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში განეკუთვნება:

ა) არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი პროცესების მართვა ქ.თბილისის საზღვრებით დადგენილ ტერიტორიაზე;

ბ) ქ.თბილისის მერიის სხვა სამსახურებთან ერთად მონაწილეობის მიღება ქ.თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის შემუშავებაში;

გ) ქ.თბილისის ტერიტორიულ სივრცითი პოლიტიკის რეალიზაციისათვის აუცილებელი, კანონით გათვალისწინებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამუშავება და დადგენილი წესით დამტკიცება;

დ) ქ.თბილისის განვითარებისა და რეაბილიტაციის პროგრამების განსახორციელებლად კერძო ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;

ე) ქ.თბილისის განვითარებისა და რეაბილიტაციის პროგრამების განსახორციელებლად ქ.თბილისის მერიასთან ერთად კონკურსებისა და აუქციონების მოწყობა;

ვ) დადგენილი წესით ნებართვის გაცემა მშენებლობაზე, პროექტის შეთანხმება ან დამტკიცება არქიტექტურული ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობისა და იერსახის შეცვლაზე (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებისა);

ზ) ქალაქის მიწის გამოყენების გეგმით დასახული პოზიციების კოორდინაცია, ქალაქის რაიონებში მშენებლობისა და კეთილმოწყობის რეგულირება;

თ) ნებისმიერი დანიშნულების ობიექტის მშენებლობისათვის ქალაქთმშენებლობითი პირობების მომზადება;

ი) შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოებით განხილვის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემა და დადგენილი წესის შესაბამისად მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება;

კ) შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოებით განხილვის საფუძვალზე მშენებლობის ნებრთვის გაცემა და დადგენილი წესის შესაბამისად მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება;

ლ) მონაწილეობის მიღება ქალაქის ტერიტორიაზე ყველა სახის მშენებლობის გათვალისწინებით მორიგი მიწის გამოყენების გეგმის შედგენაში ახლად ასაშენებელ და სარეკონსტრუქციო ობიექტების დაპროექტების სტადიურობის, ესკიზური, ვარიანტული და საკონკურსო დამუშავების განსაზღვრაში, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული არქიტექტურული და ქალაქთმშენებლობითი მნიშვნელობა;

მ) სამშენებლო საქმიანობაზე მონიტორინგის განხორციელება;

ნ) თავისი საქმიანობის სფეროში შემავალი დაგეგმვის განვითარებისათვის ბიუჯეტგარეშე კაპიტალის (ინვესტიციების, კრედიტების და ა.შ.) მოზიდვა, ეფექტური საინვესტიციო გარემოს ფორმირების ხელშეწყობა;

ო) დაქვემდებარებულ სფეროებში დამკვეთის დავალების განხორციელება;

პ) დადგენილი წესით, სამსახურში მომუშავე კადრების კვალიფიკაციისათვის ზრუნვა;

ჟ) დარგში თანამედროვე საინფორმაციო ბანკისა და საინფორმაციო სისტემების დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება;

რ) მონაწილეობის მიღება უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებულ (გამოცემულ) იმ სამართლებრივი აქტების პროექტთა მომზადებაში ან წარმოებულ სამუშაოებში, რომელიც შეეხაება სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს;

ს) საბუთების მომზადება და საკითხის გატანა მიწის მართვისა და განკარგვის კომისიაზე;

ტ) ურთიერთთანამშრომლობა როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის შესაბამის სტრუქტურებთან, საჭიროების შემთხვევაში მათთან მოლაპარაკებების წარმოება დადება;

უ) საზოგადოების ინფორმირება დარგში არსებული მდგომარეობის, სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და სამომავლო გეგმების თაობაზე;

ფ) თავისი საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით გრანტების მოზიდვა;

ქ) საამშენებლო საქმიანობის კოორდინაციისა და რეგულირების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, ამ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება;

ღ) მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დონის, წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის მასალებისა და კონსტრუქციების ახალი სახეობების დანერგვის ორგანიზება;

ყ) ქ.თბილისის მიწის გამოყენების გეგმაზე მომუშავე ჯგუფებთან აქტიური ურთიერთობა სატრანსპორტო ქსელის დაგეგმარებაში;

შ) ქ.თბილისის მიწის გამოყენების გეგმაზე მომუშავე ჯგუფებთან აქტიური ურთიერთობა სატრანსპორტო ქსელის დაგეგმარებაში;

ჩ) ქალაქის ცალკეული უბნების რეკრეაციული სივრცეების, გამწვანებული ტერიტორიების, გზების მონაკვეთების, მოედნების, გზაჯვარედინების, ავტოსადგომებისა და ა.შ. დაგეგმარების ორგანიზება;

ც) არსებული მდგომარეობის კონტროლი და ამისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებების ათვისება;

ძ) ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესების მოდელირება, ურბანული გარემოს ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტებისა და მიღებული გადაწყვეტილების შეფასების მოდელირება;

წ) ქალაქის ისტორიული ნაწილის დაცვის ზონების საზღვრებში ცალკეული შენობების (გარდა უძრავი ძეგლებისა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტებისა) რესტავრაციის, რეკონსტრუქციის, რეაბილიტაციის, ადაპტაციის და ახალი შენობა-ნაგებობების საპროექტო წინადადებებისა და პროექტების განხილვა.

ასევე მდგრადი განვითარების პრინციპებიდან გამომდინარე, ქ. თბილისში ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა და შენარჩუნება, ქ. თბილისში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, გარემოცდაცვითი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელებისათვის ხელშეწყობა. დედაქალაქის ფასეული ლანდშაფტების გამოვლენა და მათი დაცვისათვის ხელშეწყობა;

ჭ) მდგრადი განვითარების პრინციპებიდან გამომდინარე, ქ. თბილისში ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა და შენარჩუნება, ქ. თბილისში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, გარემოცდაცვითი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელებისათვის ხელშეწყობა. დედაქალაქის ფასეული ლანდშაფტების გამოვლენა და მათი დაცვისათვის ხელშეწყობა;

ხ) მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე დებულებით სხვა ფუნქციების განხორციელება.

**მუხლი 3**

1. სამსახურს თავისი ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს:

ა) მონაწილეობის მიღება უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებულ (გამოცემული) იმ სამართლებრივი აქტების პროექტთა მომზადებაში ან წარმოებულ სამუშაოებში, რომელიც შეეხება სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) თავის კომპეტენციაში შემავალი სფეროებისა და განვითარების სრულყოფისათვის საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული ეფექტიანი სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული მექანიზმების შესახებ წინადადებების შემუშავება;

გ) ქ.თბილისის განვითარებისა და რეაბილიტაციის პროგრამების განსახორციელებლად ბიუჯეტგარეშე კაპიტალის (ინვესტიციების, კრედიტების დ.ა.შ.) მოზიდვა, ეფექტური საინვესტიციო გარემოს ფორმირების ხელშეწყობა;

დ) ქალაქის ცალკეულ ტერიტორიათა კეთილმოწყობის, გარე რეფორმების ელემენტების (მათ შორის მონუმენტურ-დეკორატიული), მცირე არქიტექტურული ფორმების, ძეგლების, ქანდაკებების, ტრანსპორტზე განთავსებული (გარეთ და შიგნით), რეკლამის, გარე რეკლამების მხატვრული იერსახის და განთავსების განხილვა-შეთანხმება, მათი განხორციელების უზრუნველყოფა;

ე) შენობა-ნაგებობების ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტების განხილვა, კოლორის შეთანხმება;

ვ) ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი Gგაუმჯობესებისათვის საპროექტო-საინვესტიციო წინადადებების მომზადება;

ზ) ინტერესების დაცვა როგორც ზემდგომ ინსტანციაში, ისე სასამართლოს მეშვეობით;

თ) საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული, ეფექტიანი, სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული მექანიზმების შესახებ შეიმუშაოს წინადადებები მის კომპეტენციაში შემავალი სფეროების განვითარებისა და სრულყოფისათვის;

ი) საჭიროების შემთხვევაში მოიზიდოს უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციები;

ლ) თავისი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით მიიღოს გრანტები;

კ) ჰქონდეს საკუთარი პერიოდული და სხვა გამოცემები ქართულ და უცხოურ ენებზე;

ლ) მოამზადოს სარეკლამო და შემეცნებითი მნიშვნელობის სხვა მასალა, მოახდინოს მათი ტირაჟირება და გავრცელება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

მ) კანონით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მთავრობასთან ერთად, მოაწყოს აუქციონები, კონკურსები, ტენდერები;

ნ) თავის გამგებლობასა და ფუნქციებს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, დადგენილი წესით, მიიღოს საჭირო ინფორმაცია სხვადასხვა დაწესებულებებიდან, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირებიდან;

ო) დაქვემდებარებულ სფეროებში გამოვლენილი ან შესაძლო დარღვევების თაობაზე დაუყოვნებლივ მოამზადოს სათანადო წინადადებები და დასკვნები, წარადგინოს ისინი შესაბამისი კომპეტენციის მქონე ინსტანციაში;

პ) დადგენილი წესით დადოს გარიგებები და მესამე პირებთან ურთოერთობაში გამოვიდეს საკუთარი სახელით;

ჟ) კანონმდებლობის შესაბამისად, მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა საკითხებზე გასცეს ნებართვები;

რ) საზღვარგარეთ მიავლინოს სპეციალისტები კვალიფიკაციის ასამაღლებლად, გამოცდილების შესაძენად, კონფერენციებსა და სხვა შეკრებებში მონაწილეობის მისაღებად;

ს) გამართოს თათბირები, სემინარები, კონფერენციები სიმპოზიუმები, მის კომპეტენციებში შემავალ საკითხებში;

ტ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოითხოვოს მონაცემები დედაქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული შესაბამისი სტატისტიკური ორგანიზაციებიდან და საწარმოებიდან.

უ) ითანამშრომლოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან (პრეს-ცენტრის მეშვეობით) და უზრუნველყოს საზოგადოების სისტემური ინფორმირება დარგში არსებული მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ;

ღ) თავის კომპეტენციის შემავალ საკითხებზე ითანამშრომლოს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ფ) კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს სხვა უფლებამოსილებები;

2. სამსახურის უფლებების დაცვა გარანტირებულია მოქმედი კანონმდებლობით, რომელთა დაუცველობისა და/ან დარღვევის შემთხვევაში, იგი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს.

2. სამსახური ვალდებულია:

a) პასუხი აგოს მასზე გაცემული სახელმწიფო ქონების შენახვასა და დაცვაზე;

ბ) მიიღოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებები და შუამდგომლობები, განიხილოს იგი დადგენილ ვადებში და პასუხი გასცეს იმ კანონმდებლობისა და სამართლებრივი აქტების ფარგლებში, რომელთა აღსრულებაც შედის მის კომპეტენციაში;

გ) თავისი ფუნქციების განხორციელებისას კეთილსინდისიერად შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობით, შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები.

### თავი III. სამსახურის მართვა

**მუხლი 4.**

1. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელიც თანამდებობაზე ინიშნება "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.
2. სამსახურის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმოადგენს სამსახურს მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში;

ბ) იღებს გადაწყვეტილებებს სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

გ) დადგენილი წესით მართავს სამსახურს უშუალოდ, მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების ( ქვეგანყოფილების) უფროსების მეშვეობით წყვეტს სამსახურის საქმიანობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებს;

დ) განსაზღვრავს თავის მოადგილეებისა და სტრუქტურული ერთეულების (ქვედანაყოფების) ხელმძღვანელთა ფუნქციებს და კომპეტენციებს;

ე) უფლებამოსილია მოახდინოს თავის უფლებამოსილებათა დელეგირება მოადგილეებსა და სტრუქტურული ერთეულების (ქვედანაყოფების) ხელმძღვანელებზე;

ვ) განსაზღვრავს სამსახურის საშტატო განრიგს, ხელფასის ფონდს, სტრუქტურას და წარუდგენს ქ.თბილისის მერს დასამტკიცებლად;

ზ) ანაწილებს ფუნქციებს მოადგილეებს შორის;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს-ბრძანებას, ამასთან პასუხისმგებელია მის კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე;

ი) ზედამხედველობას უწევს მოადგილეების, სამსახურის სტრუქტურული ერთეულების (ქვედანაყოფების) უფროსებისა და სამსახურის მოსამსახურეთა მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებას;

კ) უზრუნველყოფს სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა-განვითარებას;

ლ) საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის მიზნით განახორციელებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას;

მ) უფლებამოსილია სამსახურის სახელით ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს;

ნ) დადგენილი წესით მართავს სამსახურის ქონებას, ხელს აწერს სამსახურის ფინანსურ დოკუმენტებს;

ო) ქ.თბილისის მერს და მთავრობას წარუდგენს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს;

პ) ზრუნავს სამსახურის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ახორციელებს მათ მატერიალურ სტიმულირებას დადგენილი წესით;

ჟ) სამსახურის საქმიანობიდან გამომდინარე ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

3. სამსახურის უფროსს ჰყავს სამი მოადგილე. სამსახურის უფროსის დავალებით, ერთერთი მოადგილე ცვლის სამსახურის უფროსს და ხელმძღვანელობს სამსახურის საქმიანობას უფროსის არყოფნისას.
4. სამსახურის უფროსის თითოეული მოადგილე:

ა) ხელმძღვანელობს მისთვის მინდობილ სფეროს;

ბ) ახორციელებს ცალკეულ უფლებამოსილებას;

გ) დაქვემდებარებულ საკითხებზე ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას.

5. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსს, მის მოადგილეს და სამსახურის სხვა მოსამსახურეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქ.თბილისის მერი.

### თავი IV. სამსახურის ქონება

**მუხლი 5.**

სამსახურის ქონება წარმოადგენს წარმოადგენს ქ.თბილისის ადგილობრივ საკუთრებას. ამასთან მის მფლობელობაში გაცემული საფინანსო რესურსები, ძირითადი და საბრუნავი საშუალებები აისახება სამსახურის დამოუკიდებელ ბალანსზე.

### თავი V. დასკვნითი დებულებანი

**მუხლი 6.**

1. ამ დებულების გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;
2. თუ ამ დებულების რომელიმე ნორმა რაიმე გარემოების ძალით ბათილად იქცევა, ეს არ მოახდენს გავლენას მთლიანად დებულების ნამდვილობაზე. ბათილი ნორმის ნაცვლად გამოიყენება წესი (ნორმა), რომელიც ძალაშია და რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა სამსახურის მიზანი.
3. დებულებაში ხარვეზების არსებობისას ან იმ საკითხების დარეგულირებისას, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დებულებით, გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობითა და სათანადო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ნორმები.
4. სამსახურის რეორგანიზაცია, მისი მისი საქმიანობის შეწყვეტა (გაუქმება) ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

# შ.პ.ს. "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს ბანკებს შორის მიმდინარე ანგარიშებზე რიცხული თანხის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსების მიზნით.

კონკურსში გამარჯვებული გამოვლენის მთავარი კრიტერიუმია ყველაზე მაღალი საპროცენტო სარგებლის შემოთავაზება.

განცხადებების მიღება წარმოებს 2006 წლის 21 აპრილის ჩათვლით. მონაწილეთა წინადადებების გახსნა მოხდება 2006 წლის 25 აპრილს 12 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინონ შემდეგი მონაცემები:

- განცხადება, რომელშიც სავალდებულოა აისახოს მონაწილის თანხმობა საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
- მონაწილის წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში დალუქული სახით;
- სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები.

განაცხადების მიღება წარმოებს შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, ტელ. +995 (222) 7 62 60, 7 69 58, საკონკურსო კომისია DEG

# ცვლილება სატენდერო განცხადებაში

**შპს "მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრის"** მიერ 2006 წლის 6 აპრილს გამოქვეყნებულ განცხადებებში ტენდერის ჩატარების შესახებ: მასალების შეძენაზე და სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებაზე, მოხდეს ცვლილებები მე-4 და მე-6 პუნქტებში და ისინი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

4.სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა სატენდერო მოსაკრებლის, 200 ლარის გადახდის შემდგომ (**რეკვიზიტები: მიმღები: შპს "მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი", ს/კ 204862372, ა/ა N 900467392, მიმღები ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"-ის ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: 220101502, დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი**), 2006 წლის 27 აპრილის 12 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ქავთარაძის ქ.N21, შპს "მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი";

6. განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იყოს ქართულ, ან ინგლისურ, ან რუსულ ენაზე და დახურული პაკეტით წარმოდგენილი უნდა იქნეს სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 28 აპრილის 11 საათიდან 16 საათამდე ზემოთ აღნიშნულ მისამართზე;

# შ.პ.ს. "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურმა" გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგი ხელშეკრულებები:

სპეცტანსაცმლის შესყიდვაზე (ლოტი NN 1,2,4,910,12,14 - ინდ. მეწარმე "კახაბერ ღვალაძე-ლაგი"; 17.03.2006წ.;

სპეცტანსაცმლის შესყიდვაზე (ლოტი NN 3,8,13) - შ.პ.ს. "ტემპი"; 18.0320066.;

ტვირთდამჭრების შესყიდვაზე - შ.პ.ს. "კოდი ბათუმი"; 17.03.2006;

საკანცელარიო საქონლის შესყიდვაზე - შ.პ.ს. "ექსბი"; 12.03.2006წ.;

ბაგირების შესყიდვაზე - შ.პ.ს. "სოლარ ჯორჯია"; 20.03.2006;

ფოლადის შესყიდვაზე - შ.პ.ს. "ტემპი"; 19.03.2006წ.

საზეთ-საპოხი მასალები - შ.პ.ს. "ჯი-თი-გრუპი", 11.04.2006წ.

დიზელის საწვავი - შ.პ.ს. "მობილი", 11.04.2006წ.

# დაბრუნება სტარტთან



"დიურან დიურანი".

I'LL BE BACK - ეს შვარცნეგერის სიტყვებია, "ტერმინატორიდან" და ნიშნავს "მე დავბრუნდები". თუმცა, ბოლო დროს, ამ ცნობილ ფრაზას ტერმინატორის ნაცვლად მივიწყებული მუსიკალური ჯგუფები იმეორებენ. როგორც ამბობენ, სულ ბოლოს ერთ დროს ძალიან პოპულარული ბოი-ბენდი East 17 დაბრუნდა. ცოტა ხნით ადრე - "ქულა შეიქერისა" და "სფაიზ გერლზის" შესახებ დაირხა მსგავსი ხმები. კიდევ ცოტა ხნის წინ Duran Duran, Take That, Pixies, Happy Mondays და Suede შეიკრიბნენ თავიდან და ისევ ის სიტყვები გაიმეორეს: "ჩვენ დავბრუნდით".

როგორც Duran Duran-ისა და Take That-ის გასტროლებზე ფანების გამოხმაურება ცხადყოფს, დაბრუნება შეიძლება, კიდევ უფრო წარმატებული გამოდგეს, ვიდრე დასაწყისი იყო. როცა 2003-ში Duran Duran ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ საგასტროლოდ შეიკრიბა, სტადიონების გავსება და ყველა ბილეთის გაყიდვა შეძლო. ახლაც, რამდენიმე საათში გაიყიდა Take That-ის ხუთ საზაფხულო კონცერტზე დასასწრები 350 ათასზე მეტი ბილეთიც. თვით "ქულა შეიქერიც" კი, რომელიც გრანდიოზულ კონცერტებს აწყობს, ძველებურად პოპულარული რჩება, ამაზე გუშინ საღამოს ლონდონში ანშლაგით ჩატარებული კონცერტიც მეტყველებს.

როცა უკან დაბრუნება ასეთი წარმატებულია ხოლმე, ჯგუფებს შემდეგ ალბომის ჩაწერის იდეაც უჩნდებათ. და, პრინციპში, ლოგიკურად - თუ 200 ათასი ადამიანი დაიხარჯა და Duran Duran-ის კონცერტზე დასასწრებად ბილეთი შეიძინა, გამოდის, რომ იმავე 200 ათასს სურვილი აქვს, ჯგუფის ახალი ჩანაწერები მოისმინოს.

თუმცა, რიგ შემთხვევებში ლოგიკა არ ამართლებს ხოლმე. ამ აზრს იცავენ "სტოუნზები". მიუხედავად იმისა, რომ მიკ ჯაგერის ჯგუფი მსოფლიოში ყველაზე გრანდიოზულ და ხალხმრავალ ცოცხალ შოუებს აწყობს ხოლმე, მათი ალბომები 80-იანი წლებიდან მოყოლებული მხოლოდ მეტნაკლები წარმატებით იყიდება. ჩარტებშიც წარმატება გარანტირებული უმეტეს შემთხვევაში არ აქვთ. რაც არ უნდა ალოგიკური იყოს, ხალხი მზადაა "სტოუნზების" კონცერტზე წასასვლელად გადაიხადოს 100 გირვანქა სტერლინგი, მაგრამ დაენანოს 10.99 გირვანქა მათი ახალი ალბომის შესაძენად. რატომ? "გარდიანის" მიმომხილველის აზრით იმიტომ, რომ ახალ ალბომს არ მოაქვს ის სასიამოვნო ნოსტალგიის შეგრძნება, რასაც 62 წლის სერ მიკისგან ელიან ხოლმე.

ასე რომ, გულდასაწყვეტი იყო, მაგრამ მაინც მოსალოდნელი, რომ Duran Duran-ის დაბრუნების შემდეგ გამოსული ახალი ალბომი "ასტრონავტი" ჩარტებში მესამე ადგილზე გავიდა, მაგრამ პოზიცია დიდხანს ვერ შეინარჩუნა. კიდევ უფრო სავალალო შედეგი ჰქონდა წინა გაერთიანებისას ბოი-ბენდ East 17-ს. როცა 1998 წელს დაშლილი ჯგუფი ცოტა ხნით შეერთდა და ახალი ალბომი ჩაწერა, დისკი 43-ე ადგილს გასცდა.

ბოლო დროის ერთადერთ გამონაკლისად რჩება Pixies. როცა შარშან - გაერთიანების აღსანიშნად მათ სინგლი გამოუშვეს, სიმღერამ iTunes-ის ჩარტში პირველი ადგილი დაიკავა. თუმცა, ჯერაც სანახავია, რამდენად მყარია Pixies-ის ფანების ერთგულება მთელი ალბომის გამოშვების შემთხვევაში.

# მიმოდრამის თეატრი თბილისში

8 მაისს ქართველი მაყურებლის წინაშე წარდგება ქართული მიმოდრამის თეატრი ("კომპანია მიმოდრამა"), რომელიც 10 წელია დიდი წარმატებით მოღვაწეობს გერმანიაში.

"კომპანია მიმოდრამა" თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე ევროპაში უკვე პოპულარული თავისი ხუთი სეპაქტაკლიდან - "კარმენი", "დონ ჟუანი", "ჰამლეტი", ლაბირინთი", "ფაუსტი" - ერთ-ერთს წარმოადგენს.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორია - ლაშა ონიანი, რომლის სპექტაკლებში ყველა ჟანრის მუსიკაა გამოყენებული - კლასიკიდან, მძიმე როკამდე.

შეგახსენებთ, რომ ლაშა ონიანმა 3 წლის წინ სტამბულში, ჩემპიონთა ლიგის დახურვის ცერემონიალი დადგა. დასავლური პრესის შეფასებით, ქართული "მიმოდრამის" თეატრმა - "ახალი კარი გახსნა პანტომიმის სამყაროში". კომპანია 1993 წელს ჩამოყალიბდა. დასში სულ 7 წევრია, ძირითადად, ქართველები.

"მიმოდრამის" თეატრი უკვე წელიწადნახევრია ახალ სპექტაკლზე მუშაობს, რომელიც ქართულ მოტივებზე იდგმება და რომელსაც პირობითად "სამშობლო" ჰქვია. ათწლიანი აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე, "მიმოდრამის" თეატრი საქართველოს მესამედ ესტუმრება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ირანული პოეზია

18 აპრილს ჟურნალ "ჩვენი მწერლობის" რედაქციის დარბაზში გიორგი ლობჟანიძის მიერ თარგმნილი თანამედროვე ირანელი პოეტი ქალის ფორუყ ფაროხზადის ლექსების კრებულის "მეორედ დაბადება" წარდგინება გაიმართება. "მე-20 საუკუნის სპარსული პოეზია წარმოუდგენელია ფორუყ ფაროხზადის დიდი და მრვალფეროვანი შემოქმედების გარეშე. ფაროხზადმა მისივე თაობის სხვა რამდენიმე პოეტთან, უპირველესად კი, სოჰრაბ სეფეჰრისთან ერთად მოახერხა დიდი წარმატებით მიეყვანა ბოლომდე სპარსული ლექსის თვისობრივი განახლების რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესი. იგი სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა, რადგან სწორედ მის სახელს დაუკავშირდა იდეა, თუ როგორ შეიძლება პოეზიის მეშვეობით ადამიანი არა მხოლოდ ამაღლდეს, არამედ ამ სინამდვილის შემოქმედებით გარდაქმნასაც შეუწყოს ხელი," - უთხრა "მედიანიუსს" გიორგი ლობჟანიძემ. ფორუყ ფაროხზადის ლექსების კრებულის - "მეორედ დაბადება" ქართული თარგმანის რედაქტორია მწერალი როსტომ ჩხეიძე.

*მედიანიუსი*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს სანათი წერტილების რაოდენობის მიხედვით ქ. თბილისის ქუჩებისა და შიდაკვარტალური გზების გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად საპროექტო ორგანიზაციებს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 5 პოზიციად (ლოტად):

1. გლდანი-ნაძალადევის რაიონი - 3000 სანათი წერტილი. 2. ისანი-სამგორის რაიონი - 2500 სანათი წერტილი. 3. მთაწმინდა-კრწანისის რაიონი - 500 სანათი წერტილი. 4. ვაკე-საბურთალოს რაიონი - 3000 სანათი წერტილი. 5. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი - 1700 სანათი წერტილი.

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა ითვალისწინებდეს:

გარე განათების სანათების კაბელების, გარე განათების კარადების შეცვლა, დაზიანებული Bბოძების აღდგენა და ახალი ბოძების დაყენება.

პროექტში უნდა აისახოს თეორიული და პრაქტიკული მხარე: საველე სამუშაოები, მოთხოვნები სანათებზე, კაბელებზე, აქსესუარებზე, მათი დაკავშირება ქვესადგურთან ბოძებისა და კრონშტეინებზე მოთხოვნები, ქსელის გაანგარიშება სქემის შედგენით, ქვესადგურის, კარადის, კაბელის, სანათის მიერთების სქემა. მოთხოვნები კარადის მიმართ. ქსელის დისტანციური მართვა, კაბელის ჩადება მიწაში, გაჭიმვა ჰაერში,მიერთება ქვესადგურში და კარადაში, დამიწების მოწყობა ბოძებზე და კარადაში. გათვლების ბაზაზე მოცულობების განსაზღვრა:სამშენებლო, სამონტაჟო, სადემონტაჟო სამუშაოებზე, მასალებზე, კრებსითი უწყისი (სამუშაოთა მოცულობა), ქსელის სქემა ბოძების დამიწების კარადის მითითებით.

**2** საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, საბოლოო მიწოდების ვადა არაუგვიანეს 2006 წლის 1 აგვისტო.

3. დაფინანსების წყარო: ქ. თბილისის ბიუჯეტი.

**4.** პრეტენდენტმა პირველად სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) და ეს უკანასკნელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ დამკვეთის მიერ ბეჭდით დადასტურებულს;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე;

**ინსტრუქცია პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის წესის შესახებ:**

პირველადი სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე;

პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით;

პირველადი სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ უნდა იქნას ზოგადი მონაცემები საპროექტო სამუშაოების შესახებ (თუ როგორ განახორციელებენ აღნიშნულ საპროექტო სამუშაოებს), რომლის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის და ტექნიკური პირობების დაზუსტება.

7. განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 11 მაისის 12 საათიდან 2006 წლის 11 მაისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

8.სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

9. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს დადებითი დასკვნა.

10. სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 18 აპრილიდან 2006 წლის 10 მაისის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

11.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

12.ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

13.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

TV5MONDE

18 აპრილი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 16.00(ბელგია) **16.00, 17.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** პირველი კინო. დოკ. ფილმი. **07.20** ქრონიკები მთიდან. **08.30** ტელედილა. **10.30** ეკატერინე. სერიალი. **11.05** ბალი და დასვენება. **12.15** უწონადობის წამალი. დოკ. ფილმი. **14.05** TV5-ის სამყარო. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** პრინცესა მალაბარი. მხ ფილმი. რეჟისორი ჟილ ლეგრანი. 2004. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.30** აგატა და დიდი მალაზია. ტელესერიალი. **23.00** გადაცემა: თალასა. **01.20** გადაცემა: კროსვორდი.

**ცენტრ პოინტ ჯგუფი**

**იწყებს თბილისის ელიტარულ უბნებში პატარა სახლების მშენებლობას მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი, ხარფუხი და სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე. სხვა მიმდინარე მშენებლობებს თბილისის ყველა უბანში, ასევე ბათუმში, გუდაურში და ბაკურიანში. განვადება უპროცენტოა. მსურველები დაგვიკავშირდნენ: რუსთაველის პროსპექტი 48. ტელ.: 92-20-80, 99-67-69, 899 46-92-22, 899 46 51 21, 893 34 20 02, 899 96 96 57.**

გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B

# ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## ჩაენაცვლება თუ არა რუსულ ბაზარზე ქართულს ბრაზილიური ღვინო?

## მამუკა ხაზარაძე რუსეთის ბაზარზე "ბორჯომის" ხარისხის შემოწმების დაწყებას მიესალმება

B2



## "Sony - Ericsson" ევროპას მობილურ მაუწყებლობას სთავაზობს



## "გაზპრომს" ინგლისური კომპანია Centrica"-ს შესყიდვის უფლებას არ მისცემენ

B3

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | |
|---|---|---|
| 1 ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3248 |
| 1 აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0093 |
| 1 არაბული დირჰამი | AED | 0,4955 |
| 1 აშშ დოლარი | USD | 1,8200 |
| 1000 ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8467 |
| 1 ბულგარული ლეი | BGL | 1,1260 |
| 1 დანიური კრონი | DKK | 0,2952 |
| 1 ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3171 |
| 1 ევრო | EUR | 2,2010 |
| 10 ესტონური კრონი | EEK | 1,4077 |
| 1000 თურქმენული მანათი | TMM | 0,3500 |
| 1 თურქული ლირა | TRY | 1,3505 |
| 10 იაპონური იენი | JPY | 0,1534 |
| 1 ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,1885 |
| 1000 ირანული რეალი | IRR | 0,1994 |
| 10 ისლანდიური კრონი | ISK | 0,2388 |
| 1 ისრაელის სექელი | ILS | 0,3961 |
| 1 კანადური დოლარი | CAD | 1,5833 |
| 1 ლატვური ლატი | LVL | 3,1325 |
| 10 ლიტვური ლიტი | LTL | 6,3866 |
| 10 მოლდოვური ლეი | MDL | 1,3978 |
| 1 ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2804 |
| 1 პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5601 |
| 10000 რუმინული ლეი | ROL | 0,6114 |
| 1 რუსული რუბლი | RUB | 0,0657 |
| 1 სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1314 |
| 100 სომხური დრამი | AMD | 0,4033 |
| 1 ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5663 |
| 1000 უზბეკური სუმი | UZS | 1,4977 |
| 10 უკრაინული გრივნა | UAG | 3,5966 |
| 100 უნგრული ფორინტი | HUF | 0,8257 |
| 1 ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2322 |
| 10 ყაზახური ტენგე | KZT | 0,1422 |
| 10 ყირგიზული სომი | KGS | 0,4425 |
| 1 შვედური კრონი | SEK | 0,2366 |
| 1 შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4015 |
| 1 ჩეხური კრონი | CZK | 0,0769 |
| 1 ჩინური იუანი | CNY | 0,2271 |
| 1 ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2346 |




# ფხიზელი ზაფხული 2006

დიანა ჩაჩუა

*როგორც ჩანს, ქართული საზოგადოებისთვის მარტის თვის ყველაზე დიდ მტრად რუსეთის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმი გენადი ონიშენკო გახდა. უკვე რამდენიმე დღეა, რუსეთში ერთსა და იმავე სურათს ხედავენ: მაღაზიების დახლებიდან და რესტორნებიდან ქართული ღვინო უჩინარდება. ქართველების განცხადებით, ეს "ღვინის ბლოკადაა". რუსები კი დამნაშავეებად დუსტს, აკდრინს და გეპტაქლორს ასახელებენ - ასე ხუმრობენ რუსი ჟურნალისტები.*

- **"თუ ეს უწყება ნამდვილად მომხმარებლების ჯანმრთელობაზე ზრუნავს, მაშინ გაყიდვებიდან რუსულ ღვინოებს რატომ არ იღებენ? რატომ არ ატარებენ ისინი მასშტაბურ შემოწმებებს? იქნებ, ვინმეს პოლიტიკურ შეკვეთას ასრულებენ?" - კითხულობენ რუსულ "newizv.ru"-ში.**
- **როგორც რუსული მედია წერს, "როსპოტრებნადზორის" მცდელობების წყალობით, რუსების მოწამვლის შესაძლებლობები, პრაქტიკულად, აღარ დარჩა. ხილ-ბოსტნეულის ექსპორტი უკვე აიკრძალა. თუმცა ქართულ ჩურჩხელაში და ტყემალში მოულოდნელად მომაკვდინებელი საწამლავის აღმოჩენის შანსი რჩება.**

"ჩვენ ქართველი და მოლდოველი მწარმოებლებისგან ვითხოვთ, რომ ღვინის წარმოების პროცესში მხოლოდ დასაშვები ქიმიკატები და ტექნოლოგიები გამოიყენონ... - არ ცხრებოდა გუშინ რუსეთის ფედერაციის ჯანდაცვის და სოციალური განვითარების მინისტრი მიხეილ ზურაბოვი.

- ეს მხოლოდ ადგილობრივ მწარმოებლებს ეხება თუ იმპორტიორებსაც? - ჰკითხა მას რუსეთის პრეზიდენტმა.

- აღნიშნული მოთხოვნები აბსოლუტურად ყველა ქვეყნის პროდუქციას ეხება, - იყო პასუხი..." - ნაწყვეტი რუსეთის მთავრობის გუშინდელი სხდომიდან.

"საქართველოს საერთაშორისო ტერორიზმთან კავშირი საბოლოოდ დადასტურდა. როგორც აღმოჩნდა, წლების მანძილზე მოსკოვის ცენტრში ყოველდღიურად დანაშაულს ჰქონდა ადგილი. "შერატონ პალას ოტელში", სადაც პრეზიდენტები და საერთაშორისო კორპორაციების ხელმძღვანელები ჩერდებიან, მოწამლულ ღვინოს, უფრო კონკრეტულად, მოწამლულ ქართულ ღვინოს ჰყიდდნენ.

შეთქმულება გასულ კვირას მოსკოვის მთავარი სანიტარიული ექიმის ფილატოვის გაბედული ნაბიჯის შედეგად გაიხსნა. ამ უკანასკნელმა, გაიგო რა, რომ აღნიშნულ სასტუმროში ქართული ღვინის დეგუსტაცია იგეგმებოდა, სასტუმროს გენერალურ მენეჯერს მაიკლ შლუტერს მკაცრი წერილი გაუგზავნა. "ცნობის ფურცელში" ფილატოვი ამ ღონისძიების ჩატარების ჩაშლას მოითხოვდა. წერილში "გაბედული" ექიმი იუწყებოდა, რომ ამ ღონისძიების მიზანი მოსკოველების და ქალაქის სტუმრების მოწამვლა იყო. კანონმორჩილმა ჰერ შრუტერმა არა მარტო შეასრულა წერილში მოყვანილი მოთხოვნები, არამედ სასტუმროს ზღურბლზეც კი არ შეუშვა ღვინის "მკვლელი-მწარმოებლები", რომლებიც ამ შემზარავი ტერორისტული აქტის ჩასატარებლად სპეციალურად საქართველოდან ჩამოვიდნენ."

ეს ისტორია რუსულ "ნოვაია გაზეტას" ეკუთვნის. სხვათა შორის, "ღვინის ომის" გაშუქებისას იუმორის ნაკლებობას არც სხვა რუსული გამოცემები განიცდიან.

"ლანა "არას" ამბობს. ის ამ სიტყვას უხალისოდ გამოთქვამს. ამაზე მისი შემცბარი ღიმილი და ამ სიტყვის გამოთქმის მანერა მეტყველებს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს სჯერა, რომ მისი გაგრძელებული "არააა"-დან, ბოლოს და ბოლოს, სიტყვა "დიახ"-ს მიიღებს. ლანა მოსკოვში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ქართულ რესტორანში "დედა ზოიაში" ოფიციანტად მუშაობს. მან თავის კოლეგებთან ერთად კლიენტებისთვის "არას" თქმა უნდა ისწავლოს. საქმე ის არის, რომ მოსკოვში ბევრი ქართული რესტორანი კლიენტებს ჯერ კიდევ სთავაზობს ხბოს მწვადს, ქართული ღვინო კი, რომელიც ასე უხდება მწვადს, რუსეთში აკრძალულია." "საბრალო ლანას" ისტორია გერმანულ გამოცემა "Suddeutsche Zeitung"-ს ეკუთვნის. წერილების სერია მიუძღვნა "ღვინის ომს" რუსულმა გამოცემა "newizv.ru"-მ.

გაგრძელება B2 გვერდზე

# რა შეაჩერებს ნავთობის ფასების ზრდას?

მერაბ ლორთქიფანიძე

*ნავთობზე გაზრდილ მოთხოვნილებათა და სხვადასხვა ნავთობმომპოვებელ ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო მოსალოდნელია, რომ ნედლი ნავთობის ფასი ახალ რეკორდულ ზღვრებს მიაღწევს. ანალიტიკოსთა ვარაუდით, გამორიცხული არ არის, რომ ბარელი ნედლი ნავთობის ფასი 100 დოლარამდეც კი ავიდეს. ნიგერიაში ნავთობის მოპოვების საგრძნობლად შემცირებას და ირანის კრიზისს შედეგად ის მოჰყვა, რომ აშშ-ში ნედლი ნავთობის ფასი წელს 13 პროცენტით გაიზარდა (14 აპრილის მონაცემებით) და 2 დოლარიღა აკლია ყველა დროის რეკორდამდე (ბარელში 70.85 დოლარი), რაც შარშან, აგვისტოში (მაშინ ნავთობის კატასტროფული ზრდა ქარიშხალმა "კატრინამ" გამოიწვია) დაფიქსირდა.*

ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ნავთობზე ფასები კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან სიძვირეს ნავთობზე გლობალური მასშტაბით მოთხოვნილების შემცირება არ გამოუწვევია. ამას ემატება ის გარმოებაც, რომ რაც დრო გადის, სულ უფრო რეალური ხდება ირანთან წარმოქმნილი პრობლემის მოგვარების ძალისმიერი გზით გადაწყვეტის საჭიროება.

გაგრძელება B3 გვერდზე




# თბილისში ბენზინი ძვირდება

ნინო ნატროშვილი

*ნავთობპროდუქტებზე ფასები კვლავ იზრდება. საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასმა დღეისათვის ახალი რეკორდი მოხსნა. ნიუ-იორკის ბირჟაზე ბარელი "ლაითი" ნავთობის ფასმა 70 დოლარი შეადგინა. რაც შეეხება "ბრენტის" მარკის საწვავს, მისი ფასი ლონდონის ბირჟაზე 71,4 დოლარით განისაზღვრა, რაც ადრინდელ ფასზე 83 ცენტით მეტია.*

ნავთობზე ფასის ზრდა სხვადასხვა გარემოებითაა განპირობებული. ექსპერტები ფასის მკვეთრ რყევებს, პირველ რიგში, ნავთობის მოხმარების ზრდას უკავშირებენ. ცნობისათვის, მსოფლიოში ნავთობის ყოველდღიური მოხმარება 1.47 მილიონი ბარელით გაიზარდა, რაც მსოფლიო ეკონომიკის სწრაფი ტემპებით განვითარებას უკავშირდება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, მსოფლიო ეკონომიკის ზრდის დონე 2006 წელს დაახლოებით 4,9 პროცენტი იქნება. ეკონომიკის ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 9,5 პროცენტი, სავალუტო ფონდის პროგნოზით, ექნება ჩინეთს; იაპონიას - 2.8 პროცენტი, სამხრეთ კორეას - 5,5 პროცენტი; დიდი შვიდეულის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა 2,8 პროცენტითაა მოსალოდნელი, ევროპაში - 2 პროცენტით, აშში კი ეკონომიკური ინდექსის ზრდის მაჩვენებელი - 3,4 პროცენტს გაუტოლდება.

ექსპერტების აზრით, ნავთობის ფასზე ირანის გარშემო შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ვითარება მოქმედებს. როგორც ცნობილია, ირანი მსოფლიოში ნავთობის მომპოვებელი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქვეყანაა (ნავთობის მომპოვებელთა ხუთეულში შედის) და შესაძლო სამხედრო ოპერაციების განხორციელება ამ ქვეყნიდან ნავთობის ექსპორტის შეჩერებას გამოიწვევს. ნავთობის მიწოდების მხრივ, ირანის წილი მსოფლიო ბაზარზე 5 პროცენტს შეადგენს.

არ გაუმჯობესებულა ნიგერიიდან ნავთობის მიწოდების სიტუაცია. კომპანია Shell Nigeria-მ, დაპირების მიუხედავად, ნავთობის მოპოვება დღეში 115 ათასი ბარელით ვერ გაზარდა. დღეისათვის ნიგერიიდან ექსპორტი 25 პროცენტითაა შემცირებული.

აღსანიშნავია, რომ ახლოვდება სეზონი, როდესაც საავტომობილო ბენზინის მოხმარება იზრდება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აშშ-ს, იაპონიისა და ჩინეთის მსხვილ ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებში ტექნიკური პრობლემები წარმოიშვა, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ბენზინის დეფიციტის შექმნას.

გაგრძელება B3 გვერდზე

# ფხიზელი ზაფხული 2006

პირველი გვერდიდან

აი, რას წერს გამოცემა სათაურით, "ალკოჰოლური პარადოქსი": გასული კვირა რუსეთის ალკოჰოლური ბაზრის მოთამაშეებისთვის ნამდვილ გამოცდად იქცა. საკანონმდებლო ცვლილებებს მოულოდნელად საქართველოდან და მოლდოვადან იაფი ღვინის აკრძალვა დაერთო. შედეგად, ციმბირის ალკოჰოლური ბაზრის მონაწილეები პრობლემებს ბაზრის ერთდროულად ორ სეგმენტზე გადააწყდნენ - ელიტარულზე და დემოკრატიულზე. ოპერატორების და დისტრიბუტორების უმრავლესობა პროგნოზების გაკეთებისგან თავს იკავებს. თუმცა ისინი ერთ რამეზე თანხმდებიან: ბაზარზე დეფიციტი და ფასების ზრდაა მოსალოდნელი.

თუ რუსულ მედიას ვენდობით, რუსეთში ყველაზე პრინციპულ უწყებად თათრეთის "როსპოტრებნადზორი" ითვლება. ბოლო პერიოდში კი რესპუბლიკაში უხარისხო ღვინოების მოცულობის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა. სიაში 300 ათასი ბოთლი მოხვდა. ფალსიფიცირებული ღვინოებიდან რუსეთს 72 პროცენტი ხვდა წილად, მოლდოვურს - 18 პროცენტი, ქართულს - 8 პროცენტი, უკრაინულსა და ბულგარულ ღვინოებს კი - თითო პროცენტი. "თუ ეს უწყება ნამდვილად მომხმარებლების ჯანმრთელობაზე ზრუნავს, მაშინ გაყიდვებიდან რუსულ ღვინოებს რატომ არ იღებენ? რატომ არ ატარებენ ისინი მასშტაბურ შემოწმებებს? იქნებ, ვინმეს პოლიტიკურ შეკვეთას ასრულებენ?" - კითხულობენ რუსულ "newizv.ru"-ში.

კიდევ რა აგვეკრძალა საქართველოსა და მოლდოვასთვის? მოლდოვაში სანქციებს ნატურალური წვენები, ნექტარები, კომპოტები, სიროფები, ტომატის პასტა, დამარილებული კიტრები და პომიდვრები, პაშტეტები, მურაბები და ჯემები ელიან. საქართველოში კი, როგორც რუსული მედია წერს, "როსპოტრებნადზორის" მცდელობების წყალობით, რუსების მოწამვლის შესაძლებლობები, პრაქტიკულად, აღარ დარჩა. ხილ-ბოსტნეულის ექსპორტი უკვე აიკრძალა. თუმცა ქართულ ჩურჩხელაში და ტყემალში მოულოდნელად მომაკვდინებელი საწამლავის აღმოჩენის შანსი რჩება. იქვე, ბაზრიდან ჩურჩხელის გაძევებაც შეიძლება, რომელიც გულდასმით შემოწმების შემთხვევაში არა სომხური, არამედ ქართული ან მოლდოვური აღმოჩნდება. ეს კი "როსპოტრებნადზორის" ენაზე ლამის მოწამვლის გარანტიაა.

## საქართველოში ქართული ღვინის კვირეული გაიმართება

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით ქართული ღვინის კვირეული დაიწყო. ღვინის პოპულარიზაციისა და რეკლამის მიზნით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მსოფლიო მედიის წარმომადგენლები და ექსპერტები მოიწვია. 30-კაციანი დელეგაცია საქართველოს დღეს ეწვევა. როგორც "ინტერპრესნიუსს" საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში განუცხადეს, თბილისს დღეს, ღვინის ექსპერტებთან ერთად, რუსი ჟურნალისტები და მოსკოვში აკრედიტებული საერთაშორისო მედიის წარმომადგენლები ეწვევიან. ვიზიტის პირველ დღეს დაგეგმილია შეხვედრა სოფლის მეურნეობის მინისტრ მიხეილ სვიმონიშვილთან, მოგვიანებით კი სტუმრები თბილისს დაათვალიერებენ. 18 აპრილს, სტუმრები კახეთში გაემგზავრებიან, ღვინის ქარხნებს დაათვალიერებენ, მოინახულებენ ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს. 19 აპრილს დელეგაციის წევრები ღვინის ლაბორატორიებს დაათვალიერებენ და გაეცნობიან, როგორ გაიცემა ქართულ ღვინოზე ხარისხის სერტიფიკატები. დელეგაცია საქართველოს 20 აპრილს დატოვებს. **ინტერპრესნიუსი**

## მოლდოვის მთავრობა საკუთარი ღვინისთვის გასაღების ბაზრებს ეძებს

მოლდოვის მთავრობა ყველა ზომას მიმართავს საკუთარი ღვინოებისთვის გასაღების ახალი ბაზრების მოსაძებნად. ამის შესახებ ჟურნალისტებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ვასილი ტარლევმა განუცხადა. "2001 წელს რუსეთში ექსპორტირებული მოლდოვური ღვინოების რაოდენობა გასაყიდი პროდუქციის საერთო მოცულობის 75%-ს შეადგენდა. 2005 წელს კი ეს მაჩვენებელი 50%-მდე შემცირდა. მიუხედავად ამისა, რუსულ ბაზარზე ექსპორტირებული მოლდოვური ღვინის წილი საკმაოდ მაღალი რჩება," - განაცხადა პრემიერმა. მისი თქმით, "მოლდოვის ხელისუფლებამ რიგი სასწრაფო ღონისძიებები შეიმუშავა საკუთარი ღვინოებისთვის გასაღების ახალი ბაზრების მოსაძიებლად". რეგიონებში 5 ბიზნეს-საკონსულტაციო ცენტრი დაარსდა. როგორც პრაიმ-ნიუსს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის წარმომადგენლებმა აცნობეს, საკონსულტაციო ცენტრები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული ბიზნეს-ასოციაციების ბაზაზე ჩამოყალიბდა და ისინი ბიზნესის წარმომადგენლებს გაუწევენ საკონსულტაციო მომსახურებას საკანონმდებლო, მარეგულირებელ, მენეჯმენტის, ბიზნეს-დაგეგმვის, სესხის აღების და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში. პროექტის ავტორთა ინფორმაციით, საკონსულტაციო ცენტრები ბიზნესის წარმომადგენლებს დაეხმარება მთავრობასთან დიალოგის წარმართვაში საგადასახადო რეჟიმზე, ადმინისტრაციულ რეფორმაზე და სხვა იმ საკითხებზე, რაშიც აუცილებელია მთავრობისა და ბიზნესის წარმომადგენლების თანამშრომლობა. **პრაიმ-ნიუსი**

## რუსეთში ალკოჰოლური პროდუქციის ხარისხის სტანდარტები გამკაცრდება

რუსეთის ჯანდაცვის მინისტრის მიხაილ ზურაბოვის განცხადებით, მალე რუსეთში ალკოჰოლური პროდუქციის ხარისხის გამკაცრებულ სტანდარტები ამოქმედდება.

მისი თქმით, წესების გამკაცრება ალკოჰოლური პროდუქციის შესახებ ახალი კანონის ფარგლებში მოხდება და ეს წესები, არა მხოლოდ ადგილობრივ წარმოებას, ექსპორტირებულ სასმელსაც შეეხება. ზურაბოვი დღეს მოლდოვის ჯანდაცვის მინისტრს ხვდება. შეხვედრაზე მოლდოვური ღვინის აკრძალვის საკითხზე იმსჯელებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მოსკოვის გარეუბნების საწყობებში "ბორჯომის" დიდი პარტიის რეალიზაცია შეაჩერეს

ამის შესახებ სააგენტო "ინტერფაქსი" იტყობინება. რუსეთის მთავარი სანიტრის გენადი ონიშჩენკოს განცხადებით, რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის სამსახური "სერიოზულადაა დაინტერესებული "ბორჯომის" ხარისხის კონტროლით და ამას მიზანმიმართულად განახორციელებს". ონიშჩენკოს ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ, მოსკოვის რიგ მაღაზიებში პროდუქციის ნიმუშების შემოწმებისას, გამოვლინდა მინერალური წყლის დაფიქსირებული ხარისხის მაჩვენებლების აშკარა შეუსაბამობა რეალურ შემადგენლობასთან. "ვინაიდან არ იქნა წარმოდგენილი პროდუქციის ხარისხისა და წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მოსკოვის გარეუბნების საწყობებიდან "ბორჯომის" რეალიზაცია შეჩერებულია," - თქვა სამსახურის უფროსმა. საცალო ვაჭრობის ქსელიდან "ბორჯომის" ამოღების შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ ვრცელდება. **პრაიმ-ნიუსი**

# ჩაენაცვლება თუ არა რუსულ ბაზარზე ქართულს ბრაზილიური ღვინო?

### ეთნიკური ნიშნით ღვინის განდევნა 42 მილიონ ლარად შეფასდა

თინა შავაძე

*რუსეთი თანამედროვე პოლიტიკასა და სტრატეგიას ცვლის და ეკონომიკური მეთოდებით ცდილობს, თანამედროვე სამყაროში თავისი გავლენა და ადგილი მოიპოვოს. ექსპერტები ამ კონტექსტში განიხილავენ ქართული სოფლის მეურნეობის ნაწარმის (ციტრუსები, მწვანილი და სხვა), ღვინის და, ახლახან, ქართული მინერალური წყლის წინააღმდეგ წამოწყებულ ღია ეკონომიკურ ომს. ექსპერტების ერთი ნაწილი რუსეთის მხრიდან პოლიტიკურ საფუძველზე (საქართველოს ხელისუფლების მიერ ქვეყნიდან სამხედრო ბაზების გაყვნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება) აგორებული შანტაჟის მოხსნის გზებზე და სამომავლო სამოქმედო გეგმაზე საუბრობს. "ფორსმაჟორული" ვითარების არსებობის შემთხვევაში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა საქართველოს სარეაბილიტაციო საფინანსო რესურსი უნდა გამოუყოს, რომელიც საექსპორტო დარგის კრიზისის დაძლევასა და ალტერნატიული ბაზრის მოძიებას შეუწყობს ხელს.*

ასეთი ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობა, ალბათ, დადგება, რადგან ექსპერტებმა უკვე გამოიკვლიეს, თუ რა გავლენას მოახდენს ქართულ საფინანსო ბაზარზე ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქციის - ღვინისა და, სავარაუდოდ, "ბორჯომი"-ს რუსეთის ფედერაციაში რეალიზაციის აკრძალვა. რადგანაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების 70 პროცენტის, ქართული ღვინის 80 პროცენტის და "ბორჯომის" 60 პროცენტის ექსპორტი რუსეთზე მოდის, პროდუქციის რეალიზაციის შეზღუდვა მძიმე დარტყმაა იმ ქართულ ბანკოპერატორებზე, რომლებიც ამ დარგის ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებს აფინანსებდნენ და ღვინის მწარმოებელ მსხვილ კომპანიებს კრედიტებს აძლევდნენ. არსებული ფორსმაჟორული ვითარებით მკვეთრად გაუარესდება რიგი საბანკო სტრუქტურის საკრედიტო პორტფელი, რადგან ქართული საფინანსო სფერო საკმაოდ პატარაა გლობალურ ბაზრებთან მიმართებაში. ამან, შესაძლოა, საბანკო კრიზისი გამოიწვიოს. ამ ეტაპზე დასათვლელია, თუ რა ოდენობის სესხები და გარანტიები აქვთ გაცემული ქართულ ბანკებს ხსენებული ოპერაციებისთვის და რა ახალ მაკროეკონომიკურ ვითარებასთან გვექნება საქმე უახლოეს მომავალში. და რაც მთავარია, გასათვლელია, თუ კიდევ რა ეკონომიკურ შანტაჟს უნდა ველოდოთ ჩვენი მეზობელი ქვეყნისგან.

კომპანია "საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის" ექსპერტების აზრით, არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში რუსეთი საკუთარ ბაზარზე ღვინის მწარმოებელ მხოლოდ იმ ქართულ კომპანიას დაუშვებს, რომელშიც 100-პროცენტიანი რუსული კაპიტალია განთავსებული ("24 საათმა" გაარკვია, რომ ასეთი მხოლოდ ორი კომპანიაა - "თელავის ღვინის მარანი" და "რუსკი ალკოგოლი"). "საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის" ხელთ არსებული (ჯერჯერობით, დაუზუსტებელი) ინფორმაციით, რუსული კაპიტალით შეძენილია ლათინური ამერიკის ღვინის მწარმოებელი მსხვილი კომპანიები და ათასობით ჰექტარი ვენახი. შესაბამისად, დაგეგმილია რუსეთის ბაზრის ამ ღვინით გაჯერება და უცხოური კაპიტალის მქონე ღვინის მწარმოებელთა შევიწროება, ხოლო ზოგიერთის განდევნა ბაზრიდან.

გაზეთ "24 საათთან" საერთაშორისო-სავაჭრო პალატის პრეზიდენტი დიმიტრი ჯაფარიძე ამბობს: **"თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში არ არსებობს იმის პრეცედენტი, რომ ბაზრიდან პროდუქციას ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე დევნიდნენ. ქართულ საბანკო სისტემაში ამ დარგის ექსპორტის საკრედიტო პორტფელი დიდი არ არის, ამიტომაც არსებული მდგომარეობა მკვეთრად არ შეიცვლება და, ჩემი აზრით, საბანკო კრიზისი გამორიცხულია. მაგრამ არსებული ფორსმაჟორული მდგომარეობა მტკივნეული იქნება ღვინისა და მინერალური წყლების მწარმოებელი კომპანიებისთვის. მათი საბანკო რესურსის დასაფარად გარკვეული ღონისძიებები უნდა გატარდეს. ამ შემთხვევაში, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები უნდა დაეხმაროს საქართველოს დაზარალებული დარგის რეაბილიტაციაში. მათ შეუძლიათ კრედიტი გამოყონ სარეაბილიტაციო საფინანსო რესურსის სახით. მიღებულ უცხოურ კრედიტს მთავრობა გასცემს ღვინისა და მინერალური წყლების მწარმოებელ კომპანიებზე ქართული ბანკებისგან გაცემული სესხების დასაფარად, ხოლო გირაოში რუსეთიდან დაბრუნებულ პრუდქციას ჩაიბარებს, და ეს იქამდე გაგრძელდება, სანამ მწარმოებელი კომპანიები ახალი ბაზრის ათვისებას შეძლებენ. ამ გზით საქართველოს საბანკო სისტემა და, რაც მთავარია, საექსპორტო დარგში მოქმედი კომპანიები კრიზისს დაძლევენ."**

ღვინის მწარმოებელთა კომპანიის პრეზიდენტი ლევან კობერიძე ადასტურებს, რომ ბევრი კომპანია სარგებლობს სესხით და რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის აკრძალვის შემდეგ, დაუზუსტებელი ინფორმაციით, კომპანიების ზარალი უკვე 42 მილიონ ლარს აღწევს.

რუსეთ-საქართველოს შორის ბოლო დროს გამწვავებული ბიზნესურთიერთობა სათავეს 27 მარტიდან იღებს. ამ დღეს რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმის გენადი ონიშენკოს ბრძანებით აიკრძალა ქართული და მოლდოვური ღვინის შეტანა რუსეთში და მისი რეალიზაცია ქვეყნის ტერიტორიაზე. ამის მიზეზად პროდუქციის ფალსიფიკაცია, ხარისხის არასათანადო დონე, ღვინოში მძიმე მეტალებისა და პესტიციდების არსებობა დასახელდა. რუსეთის სანიტარიული სამსახურის ინფორმაციით, 2005 წელს რუსეთში ოფიციალური გზებით შეტანილი 400 მლნ ლიტრი ღვინოდან 2/3 - ქართული და მოლდოვური წარმოშობისაა და, როგორც ისინი განმარტავენ, ეს ღვინოები მეორე და მესამე კლასის საშიშროების მატარებელია. ამ ბრძანებას გაგრძელება მოჰყვა 9 აპრილს. გენადი ონიშენკომ გამოსცა ახალ ბრძანება: ყველა იმპორტიორი მოვალეა, ამოიღოს ქსელში არსებული ქართული და მოლდოვური ალკოჰოლური პროდუქცია, რადგან მისი დიდი ნაწილი არ ესადაგება ჰიგიენის ნორმებს, საშიშია ჯანმრთელობისათვის. ამასთანავე, ბრძანების შეუსრულებლობაზე დაწესდა სამართლებრივი დევნა. ამ ბრძანებით მთელი რუსეთის მასშტაბით სავაჭრო ქსელიდან ამოღებული 1 მლრდ. ლიტრი ღვინო ქართული და მოლდოვური წარმოშობისაა. ბრძანების შესრულება რუსული წყაროების მიხედვით ადგილებზე შემდეგი სურათით ხასიათდებოდა: ომსკის მხარეში ამოღებულია 140 ათასი ლიტრი ქართული და მოლდოვური ღვინო, სადაც ეპიდემიოლოგებმა ინსექტიციდები აღმოაჩინეს - ქიმიური ნივთიერება, რომელიც მწერების გასანადგურებლად გამოიყენება, მათ შორის - DDT, რომელიც 70-იან წლებში აიკრძალა. კრასნოდარში ამოიღეს 40 ათასი ლიტრი ღვინო. კემეროვის მხარეში ასზე მეტ სავაჭრო წერტილში 1345 სახელობის ღვინის პარტია შემოწმდა, რამაც 707 ათასი ლიტრი შეადგინა.

საქართველო-რუსეთის პრობლემები სოფლის მეურნეობისა და ღვინის საკითხით არ ამოიწურა. სავარაუდოა, რომ ამ სიაში უახლოეს მომავალში მინერალური წყალი "ბორჯომი" ვიხილოთ. რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმის განცხადებით, მისმა სამსახურმა უკვე შეისწავლა "ბორჯომი" მოსკოვის რამდენიმე მაღაზიაში და, მისი თქმით, ის არ შეესაბამება იმ მაჩვენებლებს, რაც "ბორჯომის" ბოთლზეა მითითებული. **"ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მინერალური წყალი "ბორჯომი"-ს გაცხადებული ხარისხი არ შეესაბამება მის ფაქტიურ მდგომარეობას,"** - აცხადებს ონიშენკო. საინტერესოა, რომ "ბორჯომს", რამდენიმე წელია ზედიზედ, და ბოლოს 2006 წლის დასაწყისში, რუსეთში ანიჭებენ სხვადასხვა ჯილდოს (უკანასკნელი - "ნაროდნაია მარკა" - როგორც ერთ-ერთ საუკეთესო მინერალურ წყალს). უკანასკნელი ჯილდო "ბორჯომს" 2006 წელს მიენიჭა საერთაშორისო რეიტინგის შედეგად, რომელიც დადგინდა რუსეთში და მისი ორგანიზატორი "ბრენდის საერთაშორისო აკადემია" და რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატა იყო.

# ფადი ნაჰასისა და ფადი ასლის შორის დაპირისპირების გამო, შესაძლოა, კომპანიებმა "Dole"-მა და "Sadia"-მ საქართველო დატოვონ

*დღეს სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" შპს "ცელსიუსის" დამფუძნებელმა ფადი ნაჰასმა (კომპანია "ცელსიუსი" საქართველოში კომპანიების "Dole" და "Sadia" პროდუქციის დისტრიბუციას ახორციელებს) პრესკონფერენცია გამართა და მისი კომპანიის ყოფილი წარმომადგენელი საქართველოში, ბიზნესმენი ფადი ასლი არაეთიკური ბიზნესის წარმოებაში დაადანაშაულა.*



"ჩემი ყოფილი, ნდობით აღჭურვილი პირი ფადი ასლი ცდილობდა, საკუთარი კომპანიიდან გამოვეძევებინე და ბრალი დამდო, რომ მის საკუთარ კომპანიაში შევიჭერი. მოგვიანებით, ღამის საათებში კომპანიაში შეიარაღებული პირები შეიჭრნენ, რომლებსაც სპეცტანსაცმელი ეცვათ, დაცვის წევრებს დაზიანება მიაყენეს და დოკუმენტაცია გაიტაცეს," - განაცხადა ფადი ნაჰასმა და აღნიშნა, რომ ფადი ასლი აშანტაჟებდა კომპანიის წარმომადგენელს, რომელიც საქართველოში იმყოფება.

"გუშინ ფადი ასლიმ ბეირუთში დაურეკა საქართველოში ჩვენი კომპანიის ახალი წარმომადგენლის დედას და უთხრა, რომ თუ მისი ვაჟიშვილი საქართველოს 24 საათის განმავლობაში არ დატოვებდა, მას გაიტაცებდნენ და დაატყვევებდნენ. ასეთი შანტაჟი ტრაგიკომიკურია. მე ვფიქრობ, ამის გამკეთებელმა არ იცის, რომ საქართველოში ხალხს აღარ იტაცებენ," - განაცხადა "ცელსიუსის" დამფუძნებელმა.

მისი თქმით, ამჟამად ფადი ასლის გარემოცვა დაკავებულია იმით, რომ ხელში ჩაიგდოს კომპანია "ცელსიუსის" სასაწყობო მეურნეობა.

"მსოფლიო მაქვს მოვლილი, მრავალ ქვეყანაში მაქვს ბიზნესი, მაგრამ ასეთ შემთხვევას არსად მოვსწრებივარ. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ვითარდება, პარალელურად ამ ქვეყანაში უცნაური ინციდენტები ხდება," - განაცხადა ფადი ნაჰასმა.მისივე თქმით, შექმნილი ვითარების გამო მსხვილი კომპანიები "Dole" და "Sadia" საქართველოს დატოვების საკითხს განიხილავენ.

ფადი ნაჰასის განცხადებით, ვითარების გამოსწორების მიზნით იგი ყველა სამართლებრივ მექანიზმს მიმართავს, რის საშუალებას საქართველოს კანონმდებლობა იძლევა.

კონფლიქტი კომპანია "ცელსიუსის" მფლობელს ფადი ნაჰასსა და საქართველოში კომპანიის წარმომადგენელს ფადი ასლის შორის მას შემდეგ დაიწყო, რაც ინვესტორი ფადი ნაჰასი საქართველოში ჩამოვიდა თავისი კუთვნილი კომპანიების "ცელსიუსის" და "აგროტექნიკის ჯგუფის" საქმიანობის შესამოწმებლად და ფინანსური ანალიზის მიზნით. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბატონ ფადი ნაჰასს აღნიშნული კომპანიების დირექტორი და "ცელსიუსის" სავაჭრო წარმომადგენელი ფადი ასლი არ აწვდიდა არანაირ ინფორმაციას კომპანიების საქმიანობის, მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ და ხარჯების გაწევასთან დაკავშირებით მესაკუთრის ნება აბსოლუტურად იგნორირებული იყო.

14 აპრილს დამფუძნებლის წარმომადგენლები ფადი ასლის თანმხლებმა პირებმა უკანონოდ გამოაძევეს იმ ოფისიდან, რომლის ქირასაც ნაჰასი თავად იხდის და სადაც იმყოფება კომპანიის ქონება და მთელი დოკუმენტაცია. როგორც აღმოჩნდა, დოკუმენტები, ისევე როგორც კომპანიების ბეჭდები, უნებართვოდ იქნა გატანილი ოფისიდან უცნობი პირების მიერ.

კომპანია "ცელსიუსის" ადვოკატის ქეთევან ქვარცხავას განცხადებით, ფადი ასლის დაქირავებულმა დაცვამ დაიკავა ქინძმარაულის ქუჩაზე მდებარე საწყობი, სადაც კომპანია "ცელსიუსი"-ს მალფუჭებადი პროდუქტი (ხილი და ხორცი) ინახება. ყოველი დღე და საათი, რომელსაც კარგავს კომპანია აღნიშნული პროდუქციის რეალიზაციამდე, დაკავშირებულია შესაბამის ზარალთან.

ბიზნესმენი ფადი ნაჰასი მოითხოვს, ყოფილმა რწმუნებულმა დააბრუნოს კომპანია "ცელსიუსი"-ს ოფიციალური ბეჭდები და დოკუმენტაცია რომლებიც არაუფლებამოსილი პირების მიერ იქნა გადამალული, ასევე კომპიუტერები, სადაც ინახება შესაბამისი ინფორმაცია, დაუყოვნებლივ მიეცეთ უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს და მათ წარმომადგენლებს შპს "აგროტექნიკის ჯგუფი"-ს და ყველა სხვა კომპანიის ბუღალტერიის, ჩანაწერების და სხვა დოკუმენტების შემოწმების საშუალება, სადაც ფადი ნაჰასს პირადად ან მის მიერ დაფუძნებულ "აგროტექნიკის ჯგუფს" წილობრივი მონაწილეობა გააჩნია.

ფადი ნაჰასმა უკვე აცნობა საქართველოს ხელისუფლებას, საქმიანი წრეების წარმომადგენლებს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომ 2006 წლის 14 აპრილიდან გაუქმებულია ფადი ასლიზე გაცემული პროკურა და მასზე მანამდე გაცემული ყველა შესაბამისი მინდობილობა ჩაითვლება ძალადაკარგულად. ფადი ნაჰასის განცხადებით, მათი აწ უკვე ყოფილი წარმომადგენლის ფადი ასლის ქმედებები არღვევს ინვესტორის და მესაკუთრის უფლებებს და არ შეესაბამება ბიზნესეთიკის და ბიზნესის ცივილური წარმოების არანაირ ნორმებს.

ინფორმაციისათვის: 1998 წელს ფადი ნაჰასის მიერ დაფუძნებული კომპანიების "ცელსიუსისა" და "აგროტექნიკის ჯგუფის" საქმიანობა, ძირითადად, უკავშირდება საქრთველოში "სადიას" ქათმის პროდუქტების, ხორცის სხვა პროდუქტებისა და ამერიკული კომპანიის "Dole" ხილის დისტრიბუციას.

## მამუკა ხაზარაძე რუსეთის ბაზარზე "ბორჯომის" ხარისხის შემოწმების დაწყებას მიესალმება

საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე რუსეთის სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის მიერ რუსეთის ბაზარზე "ბორჯომის" ხარისხის შემოწმებას მიესალმება. როგორც მან პრაიმ-ნიუს ბიზნესს განუცხადა, "ბორჯომის" ობიექტური შემოწმება კიდევ ერთხელ დაადასტურებს ქართული მინერალური წყლის მაღალ ხარისხს და მის შესაბამისობას ევროპულ სტანდარტებთან. "ანალოგიურ შემოწმებებს რუსეთის სანიტარიული სამსახურები ყოველწლიურად ატარებენ და იგი პროდუქციის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლას ემსახურება, რასაც, თავის მხრივ, საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია" მიესალმება," - განაცხადა ხაზარაძემ. იგი იმედოვნებს, რომ რუსეთის სანიტარიული სამსახური მიმდინარე შემოწმებებს ობიექტურად ჩაატარებს და საკითხს პოლიტიკურ ჭრილში არ გადაწყვეტს. ხაზარაძის განმარტებით, "ბორჯომის" ექსპორტი მსოფლიოს 28 ქვეყანაში ხორციელდება, რუსეთზე კი მისი დიდი ნაწილი - 50-60% მოდის. "რუსეთის ბაზრის დაკარგვა კომპანიისთვის დანაკლისი იქნება, თუმცა აქტიურად მიმდინარეობს სხვა ბაზრების მოძიებაც. გასულ წელს, წინასთან შედარებით, "ბორჯომის" ექსპორტი მხოლოდ უკრაინაში 100%-ით გაიზარდა," - აღნიშნა ხაზარაძემ. სააგენტო "ინტერფაქსის" ინფორმაციით, მოსკოვის გარეუბნების სანყობებში "ბორჯომის" დიდი პარტიის რეალიზაცია შეჩერდა. რუსეთის მთავარი სანიტრის გენადი ონიშჩენკოს განცხადებით, რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის სამსახური "სერიოზულადაა დაინტერესებული "ბორჯომის" ხარისხის კონტროლით და ამას მიზანმიმართულად განახორციელებს". ონიშჩენკოს ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ, მოსკოვის რიგ მაღაზიებში პროდუქციის ნიმუშების შემოწმებისას, გამოვლინდა მინერალური წყლის დაფიქსირებული ხარისხის მაჩვენებლების აშკარა შეუსაბამობა რეალურ შემადგენლობასთან. საცალო ვაჭრობის ქსელიდან "ბორჯომის" ამოღების შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ ვრცელდება. **პრაიმ-ნიუსი**

## "წყალი მარგებელი" რუსულ ბაზარზე მისი პროდუქციის შესაძლო აკრძალვას პრობლემად არ მიიჩნევს

კომპანია "წყალი მარგებელის" დირექტორი ირაკლი უშვერიძე რუსეთის ბაზარზე მისი მინერალური წყლების რეალიზაციის შესაძლო აკრძალვას დიდ პრობლემად არ მიიჩნევს. როგორც "პრაიმ-ნიუს ბიზნესს" ირაკლი უშვერიძემ განუცხადა, კომპანია საკუთარი პროდუქციის, მინერალური წყლების "ნაბეღლავისა" და "ზახმაროს" ექსპორტს მსოფლიოს 12 ქვეყანაში ახორციელებს, რუსეთის ბაზარზე კი მხოლოდ 10 პროცენტი გააქვს. უშვერიძის განმარტებით, "ნაბეღლავსა" და "ზახმაროს" საერთაშორისო ხარისხი, მათ შორის, ევროსერტიფიკატი გააჩნია და რუსეთის სანიტარიული სამსახურის მიერ ქართული მინერალური წყლების შემოწმება მას, ხარისხის კონტროლის თვალსაზრისით, საფრთხეს ვერ შეუქმნის. რუსეთის სანიტარიულმა სამსახურებმა ქართული მინერალური წყლების ხარისხის შემოწმება დაიწყეს. **პრაიმ-ნიუსი**

## ბორჯომის რეალიზაციის აკრძალვაზე ოფიციალური წერილი არ არსებობს

სოფლის მეურნეობის მინისტრის მიხო სვიმონიშვილის განცხადებით, "ბორჯომის" რეალიზაციის შესაძლო აკრძალვასთან დაკავშირებით რუსეთის შესაბამისი უწყებების მხრიდან ჯერჯერობით არანაირი ოფიციალური წერილი არ შემოსულა. "ჩვენ ყოველსაათობრივად ვიღებთ ინფორმაციას რუსეთიდან და "ბორჯომი" ადგილობრივ სუპერმარკეტებსა და რესტორნებში უპრობლემოდ იყიდება," - განაცხადა სვიმონიშვილმა. რაც შეეხება ღვინის ექსპორტს. პრობლემა კვლავინდებურად რჩება. როგორც სვიმონიშვილმა აღნიშნა, სამინისტრო დღეს აპირებს, რუსეთს გადაუგზავნოს იმ პირთა სია, რომლებიც ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მიიღებენ მონაწილეობას. ფინანსთა მინისტრი ლექსო ალექსიშვილი კი აცხადებს, რომ მისი უწყება ექსპორტის ხელშეწყობის კუთხით დამატებით ღონისძიებების ჩამოყალიბებას გეგმავს, თუმცა, რა დამატებითი დახმარება შეიძლება გაუწიოს ფინანსთა სამინისტრომ ექსპორტიორებს, ფინანსთა მინისტრმა არ დააკონკრეტა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ევროკავშირი Visa და Mastercard-ის წინააღმდეგ

"ევროკავშირი" გადახდის ბარათული სისტემების - "Viza" და "Mastercard"-ის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებას კატეგორიულად მოითხოვს. ექსპერტები აცხადებენ, რომ ბარათების კონცერნებმა ევროპის ბაზრის სრული მონოპოლიზაცია მოახდინეს და თავიანთ მომსახურებაზე გაუმართლებლად მაღალი ტარიფები დააწესეს. ამერიკის ანტიმონოპოლიურმა ორგანოებმა ელექტრონული მომსახურების ბაზრის ლიდერებს უკვე დააკისრეს გარკვეული სანქციეები.

ევროპული ანტიმონოპოლიური კომისია დიდ გაურკვევლობაში აღმოჩნდა. "საბანკო ბარათების ოპერატორები - "Visa" და "Mastercard"-ი - გასოცარ მოგებაზე მუშაობენ. იმის გამო, რომ ეს ორი გიგანტი სხვა მოთამაშეებს საერთაშორისო ბაზარზე არ უშვებეს, მათი მოგება შეიძლება არაკანონიერად ჩაითვალოს,"- აცხადებს ევროკომისია. გადახდის ანალოგიურ სისტემებს შორის მსოფლიო ბაზარზე პრაქტიკულად არ არსებობს რეალური კონკურენცია. ევროპაში ბარათული გადახდის სისტემების წლიური მოგება დაახლოებით 23 მილიარდ ევროს შეადგენს. საკომისიო გადასახადების, რომელსაც აღნიშნული სისტემები ადგენენ კლიენტებისთვის, საერთო ღირებულებაში შედის, რის გამოც ისინი მილიონობით ევროს ხარჯავენ, მაშინ როცა შეეძლოთ დაეზოგათ მნიშვნელოვანი თანხა, თუკი ბაზარზე რეალური და სამართლიანი კონკურენტული გარემო იქნებოდა. ამ მხრივ, განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია პორტუგალიაში, რომელიც, პლასტიკური ბარათების მოხმარების თვალსაზრისით, ევროპაში პირველია.

კომისიის წარმომადგენლები "Visa"-ს და "Mastercard"-ს სიტუაციაში გარკვევისთვის 10 კვირას აძლევენ.იმ შემთხვევაში, თუ პლასტიკური ბარათების ჰოლდინგი პოლიტიკას არ შეცვლის, ევროკომისია ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის გამო მათ წინააღმდეგოდ ადმინისტრაციულ მოკვლევას დაიწყებს. აღნიშნული ჰოლდინგების საქმიანობის გამოკვლევა ევრკომისიის პირდაპირი მოვალეობაა. ამასთან, ევროკავშირი ფინანსური მომსახურების ახალი ბაზრის შექმნასაც აპირებს, რომელიც მომხმარებლებისა და ბიზნესმენებისთვის მიმზიდველი და სარფიანი იქნება.

### აშშ ეროვნული ვალუტის დაბეჭდვის უფლებას სხვა ქვეყნებსაც მისცემს

ამერიკის შეერთებული შტატები, ფრინველი გრიპის პანდემიის შემთხვევაში, უცხო ქვეყნებს ამერიკული ვალუტის დაბეჭდვის უფლებას მისცემს. "Washington Post"-ი იუწყება, რომ აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, უახლოეს მომავალში ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეულ ზომებს მიიღებს.

გავრცელებულია ინფორმაცია, რომ ამერიკაში ფრინველის გრიპის გავრცელების შემთხვევაში 1,9 მილიონი ამერიკელი დაიღუპება. პანდემია კი ნახევარი წელი გასტანს.

ამერიკელები ასევე, ინტერნეტ ქსელის გაფართოებაზეც იზრუნებენ, რათა მოსახლეობამ შინიდან გაუსვლელად იმუშაოს.

გაზეთი აცხადებს, რომ აშშ- ს ფინანსთა სამინისტრო სულ მალე ხელს მოაწერს თანხმობას იმის შესახებ, რომ უცხო ქვეყნებმა ამერიკული ვალუტის გამოშვების უფლება მიიღონ. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ აშშ-ს ფულის საბეჭდი მანქანები ფუნქციონირებას ველარ შეძლებენ.

# რა შეაჩერებს ნავთობის ფასების ზრდას?

პირველი გვერდიდან

ამას კი აუცილებლად მოჰყვება ფასების კატასტროფული ზრდა. ბუნებრივია, ამ მოლოდინში ბევრი ქვეყანა ნავთობის სტრატეგიული მარაგის გაზრდას ცდილობს, რასაც თავისთავად მოჰყვება საწვავზე მოთხოვნილების და ფასის ზრდა.

ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ მალე ნედლი ნავთობის ფასი ბარელში 80 დოლარს მიაღწევს. ეს კი, თუ ინფლაციის ფაქტორს გავითვალისწინებთ, უტოლდება იმ არნახულად მაღალ ფასებს, რომლებიც ნავთობზე ირანის 1979 წლის რევოლუციის შემდეგ აღინიშნა.

ირანის 1979 წლის კრიზისიდან 27 წლის შემდეგაც მსოფლიოს ყურადღება ახლო აღმოსავლეთზეა მიპყრობილი. ოღონდ, ამის მიზეზი გაცილებით უფრო სერიოზულია - თეირანი ბირთვულ პროგრამაზე მუშაობას ჯიუტად აგრძელებს, რისი მთავარი მიზანიც ბირთვული იარაღის შექმნაა. დასავლეთს და ცივილიზებულ სამყაროს არ სურს, რომ მასობრივი განადგურების იარაღი აგრესიული იდეოლოგიის მქონე ქვეყნის ხელში აღმოჩნდეს.

მეორე მხრივ, "ირანიდან ნავთობის მიწოდება თუნდაც არ შეწყდეს, ნედლ ნავთობზე ფასები 75-80 დოლარს მაინც მიაღწევს," - ამბობს შვეიცარიაში ბაზირებული, ნავთობის ბიზნესის ანალიტიკური ჯგუფის "პეტრომატრიქსის" ექსპერტი ოლივიე ჟაკობი.

ჟაკობის თქმით, თუ ირანი ან ნავთობის რომელიმე მსხვილი მიმწოდებელი ქვეყანა ბაზრისთვის ნავთობის მიწოდებას შეამცირებს, მაშინ ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (IEA) იძულებული გახდება, მოუწოდოს წამყვან ქვეყნებს, გახსნან თავიანთი რეზერვები, რათა შენარჩუნებულ იქნეს ნავთობზე მიმდინარე ფასები.

უფრო პესიმისტურ პროგნოზს აკეთებს "JP მორგან ფლემინგის" საფონდო მენეჯერი იან ჰენდერსონი. მისი თქმით, ფასების ზრდა მანამ გაგრძელდება, სანამ ნავთობზე მოთხოვნილება არ დასტაბილურდება.

"ბაზრისთვის მთავარი განმსაზღვრელი იმისა, თუ როდის შეიძლება შეჩერდეს ფასების ზრდა, არის ფაქტორი - რა შემთხვევაში იქნება მომხმარებელი იძულებული, თავისი ავტომობილის ავზში ნაკლები საწვავი ჩაასხას. ვფიქრობ, განვითარებულ ქვეყნებში ამგვარი რამ მაშინაც კი არაა მოსალოდნელი, როცა ბარელი ნედლი ნავთობის ფასი ას დოლარს ასცდება. ყოველ შემთხვევაში, პირადად მე საკუთარ თავს შეზღუდვებს ნამდვილად არ დავუწესებ," - ამბობს ჰენდერსონი.



### უმწეო კარტელი

ანალიტიკოსების უმეტესობა იმ აზრსაც იზიარებს, რომ OPEC-ი, რომელშიც მსოფლიოს ნავთობმომპოვებელთა მესამედია გაერთიანებული, ნავთობის განუხრელი ზრდის შეჩერებას ვერ შეძლებს. ეს კარტელი ახლაც თავის შესაძლებლობათა მაქსიმუმს აკეთებს იმისათვის, რომ ნედლი ნავთობის ფასი 50-60 დოლარის ფარგლებში შეინარჩუნოს.

"OPEC-მა შეიძლება ბევრი რამ განაცხადოს, მაგრამ მას რეალურად ბევრი არაფერი შეუძლია," - ამბობს ჟაკობი. თუმცა, ყველა ანალიტიკოსი როდია ესოდენ პესიმისტურად განწყობილი.

მაგალითად, "BNP პარიბასის" მიერ გამოქვეყნებულ რელიზში ნათქვამია, რომ ნავთობზე ფასების ახლანდელი ზრდა პირდაპირაა დამოკიდებული ირანთან დაკავშირებულ განცხადებებზე. ამასთან, IEA ირწმუნება, რომ ამჟამად, ნავთობის მიწოდების მხრივ, მსოფლიო საერთოდ არ განიცდის დეფიციტს. უფრო მეტიც, ნიგერიული ნავთობსაქაჩების გაჩერების გამო წარმოქმნილი 500 000-ბარელიანი (დღეში) დეფიციტი მალევე დაფარეს OPEC-ის ქვეყნებმა.

სხვათა შორის, აშშ-ს ბაზარზე თებერვალში ფასების 11 დოლარით შემცირება მოჰყვა აშშ-შივე ფასების მკვეთრ ზრდას და მსოფლიოს გეოპოლიტიკურ ფაქტორთაგან ყურადღების სხვა ფაქტორებზე გადატანას.

### ქვანახშირი ნავთობის ნაცვლად

ნავთობზე ფასების კატასტროფულ ზრდას შედეგად უნდა მოჰყვეს მომხმარებელთაგან აქცენტის სხვა სახის ენერგომატარებლებზე გადატანა. კერძოდ, ელექტროსადგურების აგრეგატებისა და დანადგარების სამი უდიდესი მწარმოებლის - ფრანგული "ალსტომის", გერმანული "სიმენსისა" და ამერიკული "ჯენერალ ელექტრიკის" პროგნოზით, ახლო მომავალში გაიზრდება ისეთი ელექტროსადგურების რაოდენობა, რომლებიც საწვავად ქვანახშირს მოიხმარენ.

"ალსტომის" და "სიმენსის" მიერ "ფაინენშლ ტაიმსისთვის" მიწოდებულ პროგნოზებში ნათქვამია, რომ მომდევნო დეკადის განმავლობაში, ელექტროსადგურების მშენებელთა მიერ შეკვეთილი ტურბინების 40 პროცენტი ქვანახშირზე სამუშაოდ იქნება განკუთვნილი, გაზზე მომუშავე რეაქტორთა წილი კი 25-30 პროცენტამდე შემცირდება.

ამასთან, "სიმენსი" და "ალსტომი" ვარაუდობენ, რომ გაზიდან ქვანახშირზე გადასვლას ინტენსიური ხასიათი ექნება. ამ მხრივ, შედარებით მოკრძალებულია "ჯენერალ ელექტრიკის" პროგნოზი, თუმცა ამერიკელებიც ვარაუდობენ, რომ ახლანდელთან შედარებით, გაზზე მომუშავე ტურბინებზე მოთხოვნილება შემცირდება.

"ფაინენშლ ტაიმსის" შეფასებით, გაზიდან ქვანახშირზე გადასვლის ტენდენცია უფრო იმის შედეგია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით შესაძლებელია ქვანახშირისგან ელექტროენერგიის გამომუშავება გარემოს მნიშვნელოვანი დაბინძურების გარეშე, როგორც ეს გაზზე მუშაობის შემთხვევაში ხდება.

ენერგეტიკოსთა ქვანახშირით დაინტერესების ზრდას სხვა მიზეზებიც გააჩნია. პირველია გაზზე ფასების განუხრელი ზრდა, მეორე კი - გაზის მიწოდების უსაფრთხოების შემცირება. ამის მაგალითი იყო რუსეთის მიერ უკრაინისა და საქართველოს მიმართ გამოყენებული საბოტაჟი. ახლო მომავალში გაზით დასავლეთის მომარაგებას შუა აზიის ქვეყნებიც დაიწყებენ. თუმცა, ევროპელები მაინც ეცდებიან, შეამცირონ მათი დამოკიდებულება გაზზე, რისთვისაც ისინი აქცენტს სწორედ ქვანახშირზე გადაიტანენ.

"ალსტომს", "სიმენსსა" და "ჯენერალ ელექტრიკს" შორის, ქვანახშირზე მოთხოვნილების ზრდით, პირველ რიგში, ფრანგული გიგანტია დაინტერესებული, რომელიც შემოსავლებს, უმეტესად, ორთქლის ტურბინებისა და ნახშირზე მომუშავე რეაქტორების გაყიდვით ღებულობს. ამ მხრივ, უფრო დაბალანსებულია "სიმენსი", ხოლო "ჯენერალ ელექტრიკს" ძალიან გაუჭირდება, თუკი მომხმარებლები აქცენტს გაზის ტურბინებიდან ქვანახშირისაზე მკვეთრად გადაიტანენ.

თუმცა, "ჯენერალ ელექტრიკს" სხვა სფეროებშიც მყარი პოზიციები უკავია. კერძოდ, ეს კორპორაცია ერთ-ერთი ლიდერია ორთქლის ტურბინების, ატომური რეაქტორების და ქარის ელექტროსადგურების წარმოების საქმეში. გაზზე მომუშავე რეაქტორების წარმოება კი მისი ერთ-ერთი მთავარი სპეციალიზაციაა.

რაც შეეხება ნავთობს, აქ დასავლეთს კიდევ ერთი რეალური ალტერნატივა გააჩნია ბიო-ნავთობის სახით - აშშ-ში, კანადასა და გერმანიაში უკვე მოქმედებს რამდენიმე ქარხანა, რომლებიც სინთეზურ ნავთობს ღებულობენ.

ნავთობზე არსებული ახლანდელი ფასების გამო, სინთეზური ნავთობი ჯერაც ვერ იქნება კონკურენტუნარიანი. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ბარელი ნედლი ნავთობის ფასი მართლაც მიაღწევს 100 დოლარს, მაშინ ბიო-საწვავის მწარმოებლებს ხელ-ფეხი გაეხსნებათ და მათი საქმეც რენტაბელური გახდება.

# თბილისში ბენზინი ძვირდება

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება საქართველოს - ჩვენს ქვეყანაში ნავთობპროდუქტების იმპორტი გენუის (იტალია) ბირჟის ფასების მიხედვით ხორციელდება. ბოლო თვენახევრის განმავლობაში დაფიქსირებულია საწვავზე ფასების ზრდა: 1 ტონა ბენზინის ფასი 130 დოლარითაა მომატებული (24 პროცენტი) და დღეს შეადგენს 657 დოლარს; 1 ტონა დიზელის ფასი გაზრდილია 60 დოლარით (10 პროცენტით) და შეადგენს 594 დოლარს, ხოლო 1 ბარელი Brand-ის ტიპის ნედლი ნავთობის ფასი გაზრდილია 11 დოლარით (15 პროცენტით) და შეადგენს 70 დოლარს.

დღეისათვის საქართველოში საცალო ქსელში აზერბაიჯანული ა-91 ტიპის საწვავის ფასი საშუალოდ გაზრდილია 10-15 თეთრით და შეადგენს 1.35-1.40 ლარს, ხოლო ევროპიდან იმპორტირებული საწვავის ფასი 10 თეთრითაა გაძვირებული და შეადგენს 1.45 ლარს. რაც შეეხება დიზელის საწვავს, მისი ფასი გაზრდილია 10 თეთრით და 1.40-1.45 ლარს შეადგენს.

**"ბოლო 20 დღის განმავლობაში, როცა საწვავზე საერთაშორისო ფასებმა მკვეთრად მოიმატა, საქართველოში ბენზინისა და დიზელის იმპორტი შემცირდა. იმპორტის შემცირების მიზეზი შემდეგში მდგომარეობს: მეწარმეებს აქვთ შიში იმისა, რომ არ მოხდეს ფასის დაცემა, რაც მათ სერიოზულ ფინანსურ დაზარალებას გამოიწვევს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში არ არის საწვავის დეფიციტი და არცაა მოსალოდნელი. საწვავის მარაგების ამოწურვის შემდეგ კომპანიები იძულებულნი გახდებიან, მაღალ ფასებში შემოიტანონ საწვავი, რის შედეგადაც საწვავზე ფასი 5-10 თეთრის ფარგლებში გაიზრდება,"** - განუცხადა "24 საათს" "საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის" თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა.

### ნავთობი კვლავ გაძვირდა

**მსოფლიოს ბირჟებზე ნავთობის ფასი კვლავ მატულობს. გუშინ ნიუ იორკში გამართულ ბაზრობაზე 1 ბარელი Light-ის მარკის ნავთობის ფასმა 70 დოლარს მიაღწია და გასული წლის აგვისტოში ქარიშხალ "კატრინას" შემდეგ დაფიქსირებულ აბსოლუტურ რეკოდს - 70,85 დოლარს მიუახლოვდა. ლონდონში კი 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 71,4 დოლარამდე გაძვირდა, რაც სარეკორდო მაჩვენებელი გახლავთ.**

**ანალიტიკოსთა აზრით, ნავთობის ამგვარი გაძვირების მიზეზი ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ შექმნილი კრიზისი, ნიგერიაში არსებული დაძაბულობა და ზაფხულის სეზონის მოახლოებაა. მათი თქმით, ირანიდან და ნიგერიიდან ნავთობის მოწოდების შესაძლო შეფერხება პირველ რიგში ევროპულ ბაზარს დააზარალებს.**

### ძვირფასი ლითონების ფასმა ახალ რეკორდს მიაღწია

კათოლიკური აღდგომის შემდეგ, პირველსავე სავაჭრო დღეს, ოქრო და ვერცხლი კვლავ ბოლო წლების ახალ სარეკორდო მაჩვენებლამდე გაძვირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქროს ფასმა 610,1 დოლარს მიაღწია, რაც 1980 წლის დეკემბრის შემდეგ დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელი გახლავთ. ხოლო 1 უნცია ვერცხლი, 1983 წლის მაისიდან მოყოლებული პირველად, 13,315 დოლარამდე გაძვირდა.

26 წლის წინანდელი რეკორდი გაიმეორა პლატინამ, რომლის ფასმა 1 უნციისათვის 1111 დოლარი შეადგინა. 1 უნცია პალადიუმის გუშინდელი ფასი კი 358 დოლარი გახლავთ, რაც 6,1 დოლარით ნაკლებია ვიდრე მიმდინარე წლის 11 აპრილს და 2002 წლის აგვისტოში დაფიქსირებული სარეკორდო მაჩვენებელი.

### კორპორაციულმა სიახლეებმა ბირჟაზე ზრდა განაპირობა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. მიუხედავად ნავთობისა და ძვირფასი ლითონების სარეკორდო გაძვირებისა, ინვესტორთა განწყობაზე დადებითად იმოქმედა რამდენიმე კორპორაციულმა სიახლემ.

კერძოდ, მსოფლიოს უმსხვილესმა ფინანსურმა ორგანიზაციამ, ამერიკულმა Citigroup Inc-მა განაცხადა, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მისი სუფთა მოგება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3,7 პროცენტით გაიზარდა და 5,64 მილიარდ დოლარს მიაღწია. ამერიკული კომპანიის 1 აქციაზე სუფთა შემოსავალმა 1,12 დოლარს მიაღწია, მაშინ, როცა შარშან ეს მაჩვენებელი 1,04 დოლარი გახლდათ.

აშშ-ს სიდიდით მეოთხე ბანკის Wachovia Corp-ის მოგებამ კი მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 1,728 მილიარდი დოლარი შეადგინა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 1,621 მილიარდი, ანუ, დაახლოებით 7 პროცენტით მცირე იყო.

სამრეწველო საქონლის მწარმოებელი ამერიკული კომპანია Eaton Corp-ის მიმდინარე წლის პირველი კვარტლის მოგებამ 208 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც შარშენდელ მონაცემთან შედარებით 11,2 პროცენტით მეტია. ხოლო ამერიკის 7 უმსხვილეს ბანკში შემავალი SunTust Banks-ის კვარტალური მოგება წინა წელთან შედარებით 8 პროცენტით, 531,5 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. საბოლოოდ, Dow Jones Index-მა 0,02 პროცენტით, 11.137,65 პუნქტამდე მოიმატა, 0,49 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.326,11 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index 0,08 პროცენტით, 1.289,12 პუნქტამდე გაიზარდა.

### Sony - Ericsson ევროპას მობილურ ტელემაუწყებლობას სთავაზობს

მობილური ტელეფონების მწარმოებელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია Sony-Ericsson მობილური ტელემაუწყებლობის შექმნის შესახებ ოფიციალურ განცხადებას აკეთებს. 2007-2008 წლებში მობილური ტელემაუწყებლობა ევროპაში მასობრივ ხასიათს მიიღებს.



კომპანიის ოპერატორები ამ ეტაპზე, მობილური მაუწყებლობის რამდენიმე ტექნოლოგიურ ვარიანტზე მუშაობენ. ერთ-ერთი ასეთი ტექნოლოგიაა DVB-H (Digital Video Brodcast-Handheld) რომლის მიხედვითაც, ტრანსლაცია მიმდინარეობს უშუალოდ სატელევიზიო ანძებიდან ტრადიციული ფიჭური მაუწყებლობის გვერდის ავლით. მეორე კი, - MBMS (Multimedia Brodcast Multical Service), რომელიც სიგნალს ტრადიციული მეთოდების გამოყენებით გადასცემს. ერთის მხრივ, კომპანიის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ახალი ინფრასტრუქტურის შემუშავებისთვის ზედმეტი ხარჯის გაწევა საჭირო არ იქნება, რადგან არსებული ბაზა საკმაოდ ხარისხიანად უზრუნველყოფს პირდაპირ ტრანსლაციას მობილურ ტელეფონში. Sony-Ericsson-ში აცხადებენ, რომ ამ ორი ტექნოლოგიიდან რომელიც არ უნდა გამოიყენონ, შედეგი მაინც ხარისხიანი იქნება. აღსანიშნავია ისიც, რომ სულ ცოტა ხნის წინ მობილური მაუწყებლობის შექმნაზე კომპანია Nokia-ც საუბრობდა.

### "გაზპრომს" ინგლისური კომპანია Centrica -ს შესყიდვის უფლებას არ მისცემენ

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება "კომპანიების გაერთიანების" შესახებ კანონს კიდევ ერთხელ გადახედავს. ამის მიზეზს კი "გაზპრომის" მიერ უმსხვილესი ბრიტანული კომპანიის "Centrica"-ს შესაძლო შესყიდვის დაბლოკვა წარმოადგენს. ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენლები "Financial Times"-სთან საუბრისას აცხადებენ, რომ აღნიშნული კომპანიის ბრიტანულ ბაზარზე შემოსვლა მათთვის არასასურველია. ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების მიზნით, აღნიშნულ კანონში ცვლილებების შეტანა ხელშეკრულების ანულირების ერთ-ერთი საშუალებაა. უნდა აღინიშნოს, რომ "გაზპრომის" წარმომადგენლებს კომპანია "Centrica"-ს შესყიდვის მიზნით ბრიტანეთის მთავრობისთვის ოფიციალურად ჯერ არ მიუმართავს. "გაზპრომის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათი ინტერესები ქვეყნისთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს. რუსული კომპანიის მთავარი მიზანი ბრიტანეთის ბუნებრივი აირის ბაზარზე საკუთარი წილის მხოლოდ 20%-ით გაზრდით შემოიფარგლება.



## ოპოზიცია საგადასახადო კოდექსის განხილვას დაესწრება

საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივით დაგეგმილ კონსულტაციებში საპარლამენტო ოპოზიცია მონაწილეობას მიიღებს. ჯერჯერობით გაურკვეველია, როდის გაიმართება კონსულტაციები, თუმცა, წინასწარი ინფორმაციით, მასში მონაწილეობას მიიღებენ ფრაქცია "მრეწველების" ლიდერი ზურაბ ტყემალაძე, რესპუბლიკური პარტიიდან ვახტანგ ხმალაძე, დემოკრატიული ფრონტი კი აღნიშნულ კონსულტაციებზე პარლამენტარ ბეჟან გუნავას მიავლენს. გაურკვეველია ისიც, შეუერთდება თუ არა ამ პროცესს ფრაქცია ახალი მემარჯვენეების წარმომადგენელი. როგორც ფრაქციაში აცხადებენ, დღეს გაიმართება ფრაქციის სხდომა, რომელზეც გადაწყდება მათი წარმომადგენლის მონაწილეობის საკითხი ამ პროცესში. თუმცა, როგორც ფრაქცია დემოკრატიული ფრონტის წევრი კახა კუკავა აცხადებს, ეკონომიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება ბოიკოტის შეწყვეტის საფუძველი არ გახდება. "თუ კოდექსზე შეთანხმება მოხერხდება, ძალიან კარგი იქნება, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს უკეთესი კოდექსი ექნება. თუმცა ჩვენ გვაქვს მთელი რიგი პოლიტიკური მოთხოვნები, რომელთა ჩანაცვლება ეკონომიკური მოთხოვნებით ვერ მოხდება. ამიტომ ხელისუფლებას არ უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ ეკონომიკური დათმობებით ბოიკოტი შეწყდება," - განაცხადა კუკავამ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## რუსეთი დნესტრისპირეთს 150-მილიონიან კრედიტს გამოუყოფს

რუსეთი მზადაა, დნესტრისპირეთს 50 მილიონი დოლარი უკან დაბრუნების პირობის გარეშე გადასცეს, 150 მილიონი კი კრედიტის სახით გამოუყოს. ამ პროექტის დეტალები თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრმა ელენა ჩერნენკომ რუსეთის ფედერაციის ფინანსთა სამინისტროსთან უკვე შეათანხმა. რუსეთი კრედიტის სანაცვლოდ, გირაოში დნესტრისპირეთის სახელმწიფო ქონებას იტოვებს. შესაბამისად, თუ დნესტრისპირეთი კრედიტს დათქმულ ვადაში ვერ დაფარავს, ადგილობრივი ქარხნები და კომბინატები რუსეთის დაქვემდებარებაში გადავა. როგორც დნესტრისპირეთის ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, გირაოს ნუსხაში შესაძლოა, ავტომწარმოებელი და ელექტროტექნიკური საწარმოებიც მოხვდეს. დნესტრისპირეთის სახელმწიფო საწარმოების რუსეთის იურისდიქციაში გადაცემის პერსპექტივა მოლდოვის უკმაყოფილებას იწვევს. მოლდოვის პარლამენტის დეპუტატის დმიტრი ბრაგიშის განცხადებით, ყოველგვარი საწარმოს გასხვისება პარლამენტთან შეთანხმების შემდეგ უნდა განხორციელდეს. "წინააღმდეგ შემთხვევაში, უცხოელი ინვესტორების ქმედება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად შეფასდება," - აცხადებს ბრაგიში. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ეროვნულმა ბანკმა საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი შეიმუშავა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც 2006-2009 წლებისთვის საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს განსაზღვრავს. დოკუმენტის პრეზენტაცია საქართველოს ეროვნულ ბანკში 18 აპრილს გაიმართება. "საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგია 2006-2009 წლებისათვის" საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭომ ახლახან დაამტკიცა. სტრატეგიის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკისათვის საშუალოვადიანი პერსპექტივის ძირითადი ამოცანა არსებული პრობლემების თანდათანობით აღმოფხვრა და საბაზრო კონკურენციის პირობებში საბანკო სისტემის მდგრადობისა და ეფექტიანობის განმტკიცება, საბანკო სექტორის დინამიკური ზრდა და, შედეგად, ქვეყნის ეკონომიკაში მისი როლის ამაღლებაა. საქართველოს ეროვნული ბანკის სტრატეგიული დოკუმენტით განსაზღვრული ტენდენციებისა და პარამეტრების შესრულება საბანკო სისტემას დაიცავს შიდა და გარე უარყოფითი მაკროეკონომიკური შოკებისგან, საბანკო სექტორის მიმართ გაიზრდება საზოგადოების ნდობა, რაც მოსახლეობის დანაზოგების აკუმულირებას ბანკებში და მათ ინვესტიციებად გარდაქმნას ხელს შეუწყობს. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, რომან გოცირიძის განცხადებით, "საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება და მიღება მიზნად ისახავს საქართველოში ისეთი საბანკო სექტორის ფორმირებას, რომელიც კლიენტებს საბანკო მომსახურების უნივერსალურ კომპლექსს შესთავაზებს." **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი

| | 18/04 | 19/04 | 20/04 |
|---|---|---|---|
| კიევი | 15 | 20 | 17 |
| რიგა | 7 | 6 | 5 |
| ვილნიუსი | 11 | 6 | 7 |
| მოსკოვი | 12 | 13 | 15 |
| მინსკი | 15 | 14 | 16 |
| პარიზი | 14 | 15 | 12 |
| რომი | 21 | 21 | 20 |
| ლონდონი | 10 | 11 | 12 |
| მადრიდი | 23 | 24 | 24 |
| ბონი | 12 | 14 | 15 |
| ვარშავა | 16 | 18 | 16 |
| ათენა | 22 | 22 | 22 |
| ბერნი | 13 | 17 | 20 |
| ამსტერდამი | 7 | 6 | 6 |
| ოსლო | 4 | 10 | 8 |
| ანკარა | 24 | 23 | 26 |
| ვარნა | 16 | 11 | 12 |
| დელი | 38 | 39 | 39 |
| ტოკიო | 21 | 17 | 18 |
| კოპენჰაგენი | 2 | 4 | 5 |
| ბაქო | 16 | 16 | 15 |
| ერევანი | 22 | 24 | 24 |
| ასტანა | 8 | 6 | 8 |
| ჰელსინკი | -3 | -4 | -5 |
| დუბლინი | 7 | 10 | 6 |
| ლისაბონი | 19 | 19 | 21 |
| პრაღა | 12 | 15 | 16 |
| სოფია | 16 | 13 | 16 |
| ბუდაპეშტი | 20 | 18 | 21 |
| ბუხარესტი | 19 | 12 | 16 |

# "გაერთიანებული ქართული ბანკის" ახალი ფილიალი

ნატა ნინიძე



"გაერთიანებული ქართული ბანკის" ფილიალებისა და სერვის-ცენტრების ქსელს დიდუბის განახლებული ფილიალი შეემატა. თამარ მეფის 16/18-ში განთავსებული ფილიალი თანამედროვე საბანკო ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი. საბანკო სერვისის სრული პაკეტი მომხმარებელს ანგარიშების მომსახურებას, დეპოზიტების მრავალფეროვან არჩევანს, ლოკალურ და საერთაშორისო სწრაფ ფულად გზავნილებს, ბიზნეს-სესხებს, სამომხმარებლო, ლომბარდულ კრედიტებს, დისტანციურ საბანკო სერვისს, საერთაშორისო პლასტიკური ბარათებისა და სამგზავრო ჩეკების მომსახურებას სთავაზობს.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ "გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ზაზა სიორიძე, საბჭოს წევრები - ბადრი კაკაბაძე და შოთა ბოთერაშვილი, გენერალური დირექტორი იუზა თავდიდიშვილი. საპატიო სტუმრის რანგში, პრეზენტაციას დაესწრო საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ეკა გალდავა.

"გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის **ზაზა სიორიძის** განცხადებით, ფილიალების ქსელის თანამედროვე სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა და სერვისის დონის ამაღლება ბანკის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელსაც მომავალშიც დიდი ყურადღება დაეთმობა. უახლოეს მომავალში გაიხსნება "გაერთიანებული ქართული ბანკის" კრწანისისა და ახალციხის განახლებული და ვაკის ახალი ფილიალი.

ახალი ფილიალი მცირე ბიზნესის დაკრედიტების პროგრამას მოემსახურება, რაც მოქმედი ბიზნესის 1000-დან 100 000 აშშ დოლარამდე დაკრედიტებას გულისხმობს. ეს პროგრამა, მეოთხე წელია, წარმატებით ხორციელდება "გაერთიანებული ქართული ბანკის" რუსთაველის გამზირის, მარნეულის, ფოთის, გორის, ქუთაისის, ახალციხის, ბათუმისა და რუსთავის ფილიალებში.

ფილიალი ჩაერთვება "გაერთიანებული ქართული ბანკის" სადეპოზიტო გათამაშებაში, რომელიც ბანკის მეანაბრეებს უამრავი პრიზის, მათ შორის, 100 000 ლარის მოგების შანსს აძლევს.

საგულისხმოა, რომ აქციათა ახალი ემისიის შედეგად "გაერთიანებული ქართული ბანკის" საწესდებო კაპიტალი 16 მლნ ლარით გაიზარდა და 37 მლნ ლარი შეადგინა. საწესდებო კაპიტალის შევსებაში მონაწილეობა მიიღეს "ვნეშტორგბანკმა", რომელიც 2005 წლის იანვრიდან "გაერთიანებული ქართული ბანკის" აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელია, და "გაერთიანებული ქართული ბანკის" დამფუძნებელთა ქართული მხარის წარმომადგენლებმა.

"გაერთიანებული ქართული ბანკის" გენერალური დირექტორის **იუზა თავდიდიშვილის** განცხადებით, საწესდებო კაპიტალის ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა ბანკს საშუალებას მისცემს, გაცილებით მოქნილად და ეფექტიანად განახორციელოს თავისი განვითარების სტრატეგია, გაზარდოს დაკრედიტების მასშტაბები და მოიზიდოს ახალი კლიენტები.

ამჟამად ბანკი, საკუთარი და მოზიდული სახსრების მეშვეობით, კლიენტურას სხვადასხვა მიზნობრიობის საკრედიტო რესურსს სთავაზობს. საკრედიტო ხაზები "გაერთიანებული ქართული ბანკისთვის" გახსნილი აქვთ ისეთ სოლიდურ საერთაშორისო ინსტიტუტებს, როგორებიცაა: **EBRD** - 20 მლნ USD (საშუალო და მცირე ბიზნესისა და ვაჭრობის დაფინანსებისათვის); **Emporiki Bank** (13 მლნ USD - ვაჭრობის დაფინანსებისათვის); **American Express** (2 მლნ UsD - ვაჭრობის დაფინანსებისათვის); **BSTDB** (3 მლნ USD - ვაჭრობის დაფინანსებისათვის); **AKA** (განსაზღვრული დაფინანსება - კონკრეტული პროექტებისათვის); **Atlantic Forfaitierungs** (1 მლნ. USD - ვაჭრობის დაფინანსებისათვის); **KFW** (3,5 მლნ EUR - სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის); **BNL Italy** (500 000 EUR - ვაჭრობის დაფინანსებისათვის).

# "ავტო 999" - "საქართველოს ბანკის" ახალი პროდუქტი

სალომე ძაძამია

"საქართველოს ბანკმა" კიდევ ერთი ნოვატორული პროექტი განახორციელა. განვადების პროდუქტი "ავტო 999", რომელიც "საქართველოს ბანკის" კლიენტებს ინდივიდუალურ მოთხოვნილებებზე მორგებულ სქემებს სთავაზობს. "ავტო 999"-ის მეშვეობით შესაძლებელია ახალი ავტომობილების შეძენა 9-თვიანი განვადებით 9 პროცენტად, სარგებელი ავტომობილის გაძვირება 9 პროცენტიდან. "ავტო 999" მეშვეობით ავტომობილების შეძენა შესაძლებელია "საქართველოს ბანკის" პარტნიორ ავტოდილერებთან: "ლადა ვაზი", "რენო", "აუდი", "მერსედეს ბენცი", "ოპელი", "გაზი", "ვაზი", "კრაისლერი", "დოჯი", "ჰიუნდაი", "პეჟო", "ტოიოტა", "ფოლკსვაგენი", "ავტოვაზი", "უაზი", BMW, "ნისანი", "შევროლე", "ნივა", "ვოლვო", "ჰონდა". მეორადი ავტომობილები: შპს "ტაჩკა USA საქართველო" ევროპული ავტომობილები აშშ-დან. შპს "აუტო სტარ USA" ავტომობილები აშშ-დან და ევროპიდან. "საქართველოს ბანკი" კლიენტებს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს, გახდნენ სხვადასხვა მარკის ავტომობილის მფლობელები, სურვილის მიხედვით აირჩიონ ავტომობილი და შეიძინონ განვადებით. "ავტო 999"-ით ავტომობილის შეძენისას კლიენტი ასევე მიიღებს: სადებიუტო VISA Electron ან MC maestro პლასტიკურ ბარათს, დისტანციური საბანკო მომსახურების სრულ პაკეტს, ავტომობილისა და ავტომობილთან დაკავშირებული სხვა დაზღვევის ხელსაყრელ პირობებს, ოვერდრაფტს და საკრედიტო ბარათს. "ავტო 999"-ის პირველ 9 კლიენტს "საქართველოს ბანკი" სიურპრიზს სთავაზობს, საჩუქრად მიიღებენ ავტომობილის ნომერს 999.

"საქართველოს ბანკის" პროდუქტების განვითარების დეპარტამენტის დირექტორი ბესო აბულაძე აცხადებს, რომ "ავტო 999" კიდევ ერთი მოხერხებული ჟესტია "საქართველოს ბანკისაგან": საქართველოს საბანკო სივრცეში "ავტო 999" არის სიახლე. ის ადამიანი, ვინც "საქართველოს ბანკისგან" სესხს აიღებს, მიიღებს 9-პროცენტიან განვადებას, რაც ძალიან დაბალი პროცენტია. შენატანი თუ 18 პროცენტამდე გაიზრდება, 27 პროცენტით გაიზრდება სესხის ვადაც. საერთოდ, ჩვენი მიზანია, თითოეული კლიენტის მოთხოვნებს მოვარგოთ პროექტები. "ავტო 999"-ის მეშვეობით შესაძლებელია ავტომობილის შეძენა მინიმალური ძალისხმევით."

"ავტო 999" სასიამოვნო სიახლეა ავტოდილერებისთვისაც. IBG-ს პრეზიდენტი ტარიელ ხეჩიკაშვილი აცხადებს, რომ საბანკო სექტორი ხელს უწყობს ავტობიზნესის განვითარებას.

"ძალიან სასიამოვნო და მისასალმებელია "საქართველოს ბანკის" ინიციატივა განვადების სისტემებთან დაკავშირებით. რაც უფრო მეტი განვადების პროექტები იქნება, მით უფრო მეტი შესაძლებლობა და არჩევანი ექნება მომხმარებელს, სასურველი არჩევანი გააკეთოს. აქედან გამომდინარე, კონკურენციაც იზრდება, რაც ჩვენ მუშაობას გვიადვილებს. "საქართველოს ბანკი" და პროექტი "ავტო 999" ხელს შეუწყობს ავტომობილების რეალიზაციას და წარმატებულ წარმოდგენას ბაზარზე. ჩვენ წარმატებულად ვთანამშრომლობთ "საქართველოს ბანკთან". ავტოდილერებისთვის კომფორტულია წარმატებულ ბანკებთან თანამშრომლობა," - განაცხადა IBG-ს პრეზიდენტმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა.

# ნიუ-იორკის საბანკო კონფერენცია ''სახალხო ბანკის'' სპონსორობით გაიმართა

ნატა ნინიძე




ნიუ-იორკში 5-6 აპრილს მესამე საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, რომელზეც "რუსეთსა და დსთ-ს სივრცეში საბანკო სფეროში საინვესტიციო შესაძლებლობების" საკითხები განიხილეს. კონფერენციას სპონსორობა საქართველოს "სახალხო ბანკმა" გაუწია.

კონფერენციის ორგანიზებაში ასევე რუსეთის ბანკების ასოციაციამ, ამერიკის შეერთებული შტატების საფინანსო მომსახურების მოხალისეთა კორპუსმა და სააგენტო "რუს-რეიტინგმა" მიიღეს მონაწილეობა. კონფერენციის მუშაობაში ჩაერთნენ აშშ-ს 200-მდე ბანკისა და ფინანსური კომპანიის, რუსეთის, დსთ-სა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საგულისხმოა, რომ რუსეთის ბანკების გარდა, კონფერენციაზე პრეზენტაციის უფლება მხოლოდ "სახალხო ბანკს" ჰქონდა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ აშშ-ს საფინანსო მომსახურების მოხალისეთა კორპუსის დირექტორი ენდრიუ სპინდლერი, აშშ-ს ფინანსთა მინისტრის მოადგილე პატრიკ ხეფერნანი, ასოციაცია "რუსეთის" პრეზიდენტი ალექსანდრ მარიჩევი, სააგენტო "რუს-რეიტინგის" გენერალური დირექტორი რიჩარდ ხეინვორტი, ბანკ მდმ-ს გამგეობის თავმჯდომარე მიშელ პერირენი.

კონფერენციაზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში ინვესტიციების უპირატესობის, საბანკო სისტემის მიმზიდველად გადაქცევისა და ბანკების საქმიანობის სტილის მსგავსებებსა და განსხვავებებზე იმსჯელეს. დსთ-ს სივრცეში ინვესტიციების განხორციელების უპირატესობაზე მსჯელობისას, სიტყვით გამოვიდა საქართველოს "სახალხო ბანკის" გენერალური დირექტორი გიორგი გოგუაძე.

კონფერენციაში, აშშ-ს წამყვანი ბანკების გარდა, მონაწილეობა რუსეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, მოლდოვისა და საქართველოს ბანკების წარმომადგენლებმაც მიიღეს.

## რეგიონებში გადამამუშავებელი საწარმოების ასამუშავებლად 16 მილიონი ევრო გამოიყოფა

გუშინ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და კომიტეტების თავმჯდომარეები ფინანსთა მინისტრს ალექსი ალექსიშვილს და სოფლის მეურნეობის მინისტრს მიხეილ სვიმონიშვილს შეხვდნენ. შეხვედრისას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა "სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის" დეტალები განიხილეს. პროექტს მსოფლიო ბანკი აფინანსებს და მის განსახორციელებლად 16 მილიონი ევროა გამოყოფილი. პროექტის ძირითადი მიზანი რეგიონებში გადამამუშავებელი საწარმოების გახსნაა. **მედიანიუსი**

## ქონების მართვის სამსახურში სტადიონის აქციათა შეძენის მსურველთა არც ერთი განცხადება არ შესულა

ქონების მართვის საქალაქო სამსახურში ს/ს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის აქციათა 10,436 პროცენტის შეძენის მსურველთა არც ერთი განცხადება არ შესულა. სტადიონის აქციათა ნაწილის შესაძენად წინადადებების მიღების ვადა დღეს იწურება. თბილისის მთავრობამ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის აქციათა ნაწილზე ტენდერი 1 აპრილს გამოაცხადა. მთავრობა მის მფლობელობაში არსებული აქციების 61,436-დან 10,436 პროცენტს ყიდის. როგორც ქალაქის მთავრობაში აცხადებენ, აქციების გაყიდვით შესაძლებელი გახდება სტადიონის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვა-გადაიარაღება. გარდა ამისა, ქალაქის მთავრობა სტადიონის აქციათა პაკეტიდან 51 პროცენტს მართვის უფლებით, იმ პირზე თუ კომპანიაზე გასცემს, რომელიც 5 თვის ვადაში სტადიონზე 10 მლნ. დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. თბილისის მთავრობა ეროვნული სტადიონის 51 პროცენტს მართვის უფლებით 25 წლით გასცემს. **ინტერპრესნიუსი**

## შპს "ინსტიტუტი მეტალურგპროექტი" 60 000 დოლარად იყიდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ შპს "ინსტიტუტი მეტალურგპროექტის" 100-პროცენტიანი სახელმწიფო წილის გაყიდვის მიზნით კონკურსი გამოაცხადა. ინსტიტუტის საწყისი გასაყიდი ფასი 60 000 დოლარით განისაზღვრა. "ინსტიტუტი მეტალურგპროექტის" საქმიანობის სფერო მეტალურგიული და სხვა ობიექტების წინასაპროექტო და საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავებაა. ობიექტის საწესდებო კაპიტალია 93 130 ლარი, დებიტორული დავალიანება 2 427 ლარს, კრედიტორული კი 1 000 ლარს შეადგენს. საკონკურსო პირობების მიხედვით, მყიდველმა საზოგადოების პროფილი და შრომითი კოლექტივი 10 წლის განმავლობაში უნდა შეინარჩუნოს. მყიდველმა საპრივატიზაციო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში უნდა მოახდინოს. დაინტერესებულ პირთათვის განცხადებების მიღება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში დღეიდან დაიწყება და 18 მაისამდე გაგრძელდება. ტენდერი 18 მაისს გაიმართება. **ინტერპრესნიუსი**

## თბილისსა და რეგიონებში 5 ბიზნეს-საკონსულტაციო ცენტრი დაარსდა

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის წარმომადგენლების განცხადებით, საკონსულტაციო ცენტრები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული ბიზნეს-ასოციაციების ბაზაზე ჩამოყალიბდა. ისინი ბიზნესის წარმომადგენლებს გაუწევენ საკონსულტაციო მომსახურებას საკანონმდებლო, მარეგულირებელ, მენეჯმენტის, ბიზნეს-დაგეგმვის, სესხის აღების და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში. პროექტის ავტორთა ინფორმაციით, საკონსულტაციო ცენტრები ბიზნესის წარმომადგენლებს დაეხმარება მთავრობასთან დიალოგის წარმართვაში საგადასახადო რეჟიმზე, ადმინისტრაციულ რეფორმაზე და სხვა იმ საკითხებზე, რაც აუცილებელია მთავრობისა და ბიზნესის წარმომადგენლების თანამშრომლობა. პროექტმა ბიზნეს-საკონსულტაციო ცენტრებისთვის შეარჩია ბიზნესასოციაციები, რომლებიც განლაგებულია თბილისში, თელავში, ბათუმში, ქუთაისსა და ზუგდიდში. **პრაიმ-ნიუსი**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1 შპს "აჭარის ელექტროკავშირი" (მის: ქ. ბათუმი მ. აბაშიძის გამზირი N33) აცხადებს ტენდერს და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს საწვავ-საპოხი მასალების (შემდგომში საქონელი) შესყიდვაზე**

**შესასყიდი საქონელი:**

- ბენზინი AN 95 (პრემიუმი)

**მიწოდების ადგილი: ქ. ბათუმი**

3. მიწოდების ვადები:. შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმების დღიდან - 2006 წლის 31 დეკემბრამდე

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი დახურულ კონვერტში) ორ ეგზემპლარად დახურული კონვერტებით უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი მ. აბაშიძის ქ. N33 მე-2 სართული. P პაკეტი გაიხსნება სატენდერო კომისიის სხდომაზე, სატენდერო წინადადების ვადის დასრულებისთანავე-2006 წლის 11 მაისს 12 სთ-ზე პრეტენდენტთა თანდასწრებით.

**5. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას**:

- იურიდიული პირის შემთხვევაში:

ა) ცნობას იმის თაობაზე, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს რეგისტრაციის ადგილის მიხედვით სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან);

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლი საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

გ) წარმომადგენლობაზე პირადობის მოწმობის ასლს;

--- *ფიზიკური პირის შემთხვევაში:*

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობასი არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკაშირებულ დანაშაულისათვის --- **როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის**

**ა) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი)**

**ბ) ცნობას ანალოგიური სამუშაოს შესრულების შესახებ**

**გ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან რომ მას არ გააჩნია დავალიანება ბიუჯეტის მიმართ;**

**დ) ცნობა მის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ყადალის არ არსებობის შესახებ.**

**ე) საწვავის ხარისხის შესაბამისობის სერთიფიკატი**

**ვ)საერთაშორისო ბაზარზე ნავთობპროდუქტების ფასების დამადასტურებელი დოკუმენტი**

არარეზიდენტმა პირმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს თავისი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსა და საქართველოში დადგენილი წესით ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

ამ პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებსაც, თუ პრეტენდენტი მათთან ერთად ადგენს სატენდერო წინადადებას.

5. სატენდერო დოკუმენტაციის (ქართულ ენაზე) მიღება ტენდერში მონაწილე პირებს შეეძლებათ 200 (ორასი ლარის) ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითრის წარმოდგენის შემდეგ.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო მოსაკრებლი (200 ლარის) უნდა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე :
შპს "აჭარის ელექტროკავშირი" ს/კ 245446307 ა/ა N 203407
ს.ს. "გაერთიანებული ქართული ბანკის" ბათუმის ფილიალი
კოდი 2201016558. დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი ინფორმაციის მისაღებად უნდა მიმართონ შპს "აჭარის ელექტროკავშირის" სატენდერო კომისიის საკონტაქტო პირს ბატონ ზურაბ გოგიბერიძე
ტელეფონi : 7 - 22 - 01

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. წალენჯიხის სანატორიული ტიპის საალმზრდელო დაწესებულება (წალენჯიხის რაიონი წმინდა ნინოს ქ. №61) აცხადებს ტენდერს კვების პროდუქტების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი - კვების პროდუქტები (შესასყიდი პროდუქტების ჩამონათვალი მოცემულია №1 დანართში).

3. დაფინანსების წყარო - ცენტრალური ბიუჯეტი.

4. მიწოდების ადგილი - წალენჯიხის სანატორიული ტიპის საალმზრდელო დაწესებულება. წალენჯიხის რაიონი წმინდა ნინოს ქ. №61.

5. მიწოდების ვადები - 2006 წლის მაისიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად, მოთხოვნის შესაბამისად.

6. შესასყიდი პროდუქცია უნდა იქნეს ახალი, მაღალი ხარისხის და აკმაყოფილებდეს სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

7. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად (დედანი და ორი ასლი), დალუქულ კონვერტში, 2006 წლის 30 აპრილს 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: წალენჯიხის სანატორიული ტიპის საალმზრდელო დაწესებულება, წალენჯიხის რაიონი წმინდა ნინოს ქ. №61 სატენდერო კომისიის აპარატი.

8. წარმოდგენილი პაკეტის გახსნა მოხდება 2006 წლის 30 აპრილს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე.

9. დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებას და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმეანტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს.

10. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მონაცემებს:

10.1. იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობებს სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

11. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-10 მუხლში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

12. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო წალენჯიხა. მომსახურე ბანკი - საქართველოს ეროვნული ბანკი. ბანკის კოდი 220101107.

13. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ შემდეგი პირებისაგან მისამართზე: გონიერი ჭანია ტელ: (877) 40-82-18, ჯიმშერ მოლაშხია ტელ. (899) 46-73-63.

დანართი №1

საქონლის მიწოდების გრაფიკი

| რიგ. № | მიწოდებული საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა კგ | მიწოდების ადგილი | მიწოდების გრაფიკული ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1 | პური | 7500 | წალენჯიხის სანატორიული ტიპის საალმზრდელო დაწესებულება წალენჯიხის რაიონი წმინდა ნინოს ქ. №61 | 2006 წლის მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით |
| 2 | შაქარი | 1000 | | |
| 3 | კარაქი | 700 | | |
| 4 | ჩაი | 50 | | |
| 5 | რძის ფხვნილი | 700 | | |
| 6 | მარილი | 150 | | |
| 7 | ხორცი საქონლის | 1800 | | |
| 8 | კარტოფილი | 4000 | | |
| 9 | ბოსტნეული (კომბოსტო, ჭარხალი, სტაფილო, ნიორი, ხახვი, მწვანილი) | 1700 | | |
| 10 | ყველი | 200 | | |
| 11 | თევზი უთავო | 400 | | |
| 12 | ხილი | 500 | | |
| 13 | ზეთი | 400 | | |
| 14 | კაკაო | 40 | | |
| 15 | ტომატი | 300 | | |
| 16 | წიწიბურა | 180 | | |
| 17 | ბურღილი | 1200 | | |
| 18 | ხილფაფა | 200 | | |
| 19 | ნამცხვარი (პეჩენია) | 250 | | |
| 20 | კანფეტი | 400 | | |
| 21 | ფუნთუშა | 8000 | | |
| 22 | კისელი | 250 | | |
| 23 | ლობიო | 270 | | |

**სს "ბათუმის ქიმიურ - ფარმაცევტული ქარხანა" გაკოტრების მმართველი**

**საქართველო, ქ. ბათუმი, ნონეშვილის ქ. N 65**

## განცხადება

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 აპრილის განჩინებით, სს "ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის" მიმართ კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი კრედიტორთა კრება გაიმართება 2006 წლის 25 აპრილს 15.00 საათზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს სხდომათა დარბაზში. მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N 5.

**გიორგი სამველიძე**
**გაკოტრების მმართველი**

**შპს "საქართველოს რკინიგზის" ფილიალ "მგზავრთა გადაყვანაში" ბილეთის მოლარის თანამდებობის რეზერვის ფორმირებისთვის, ცხადდება ღია საჯარო კონკურსი**

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. არანაკლებ სრული საშუალო განათლებისა;
2. სამუშაო სტაჟი არანაკლებ 1 წლისა;
3. კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა Microsoft Word, Microsoft Exel.

საბუთები მიიღება

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

1. განცხადება;
2. cv (ავტობიოგრაფია);
3. მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (გამოცდაზე);
4. განათლების მიღების დამადასტურებელი მოწმობის (ატესტატი, დიპლომი ან სხვა) ასლი.

**მისამართი: შპს "საქართველოს რკინიგზა"**
**ფილიალი "მგზავრთა გადაყვანა"**
**ქ.თბილისი ვაგზლის მოედანი N 2**
**ტელ: 56 47 10**

# განცხადება ტენდერის შესახებ

1. ზუგდიდის რაიონის გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს ქ. ზუგდიდის ბაგა-ბაღების კვების პროდუქტების შესყიდვაზე **(შესასყიდი პროდუქტების ჩამონათვალი მოცემულია N1 დანართში)** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. შესასყიდი პროდუქტების მოცულობები დაიყოფა 2 ლოტად.

**1 ლოტის** საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად;

**2 ლოტის** საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს კვირაში ერთხელ, მოთხოვნის შესაბამისად;

4. მიწოდებული პროდუქცია უნდა იყოს ახალი, მაღალი ხარისხის და აკმაყოფილებდეს სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით **2006 წლის 12 მაისს 13 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N90, ზუგდიდის რაიონის გამგეობა, მე-3 სართული, ოთახი N2.** სატენდერო წინადადება ხელმოწერილ უნდა იქნეს პრეტენდენტი იურიდიული და ფიზიკური პირის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. **იურიდიული პირისათვის**

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილე მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

6.2. **ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

გ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო შესაბამისი ორგანოს მიერ).

6.3 **როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

ბ) ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

გ) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება.

7. სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონს, ფაქსს, ანგარიშწორების რეკვიზიტებს.

8. დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებს და სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

9. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება **2006 წლის 12 მაისს 13 სთ-ზე**, სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებისთანავე, პრეტენდენტების თანდასწრებით, ზემოთ არნიშნულ მისამართზე.

10. იურიდული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

11. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეეძლებათ **2006 წლის 10 მაისს 13 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N90, ზუგდიდის რაიონის გამგეობა, მე-3 სართული, ოთახი N2.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

12. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: **ს.ს. "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი სერვის ცენრი N37, ბაკის კოდი 220101502, ანგარიშის ნომერი 126134400**.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ბესიკ ქარდავა - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, მისამართზე: **ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N90, მე-3 სართული, მე-2 ოთახი, ზუგდიდის რაიონის გამგეობა, საკონტაქტო ტელეფონი: 5-01-13.**

*სატენდერო კომისია*

დანართი №1

| რიგითი № | მისაწოდებელი საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| I ლოტი | | | | ქ. ზუგდიდის ბაგა-ბაღის 16 ობიექტი |
| 1 | პური | კგ | 26400 | |
| II ლოტი | | | | |
| 1 | კარაქი | კგ | 2240 | |
| 2 | კვერცხი | ცალი | 24000 | |
| 3 | ხორცი | კგ | 6400 | |
| 4 | თევზი | კგ | 1440 | |
| 5 | პურის ფქვილი | კგ | 1200 | |
| 6 | ზეთი | ლიტრი | 880 | |
| 7 | შაქარი | კგ | 3200 | |
| 8 | ბრინჯი | კგ | 1600 | |
| 9 | მაკარონი | კგ | 1600 | |
| 10 | ლიმონი | კგ | 800 | |
| 11 | წიწიბურა | კგ | 1200 | |
| 12 | მანის ბურღული | კგ | 960 | |
| 13 | ჩაი | კგ | 176 | |
| 14 | კაკაო | კგ | 200 | |
| 15 | ასკილი | კგ | 400 | |
| 16 | რძის ფხვნილი | კგ | 1760 | |
| 17 | მარილი | კგ | 880 | |
| 18 | ტომატი | კგ | 352 | |
| 19 | სტაფილო | კგ | 960 | |
| 20 | ჭარხალი | კგ | 400 | |
| 21 | კომბოსტო | კგ | 2000 | |
| 22 | კარტოფილი | კგ | 22400 | |
| 23 | ხახვი | კგ | 1760 | |
| 24 | კანფეტი | კგ | 400 | |
| 25 | ნიორი | კგ | 400 | |
| 26 | მწვანილი | კგ | 1280 | |
| 27 | ხმელი სუნელი | კგ | 400 | |
| 28 | ყველი | კგ | 960 | |
| 29 | ხილი | კგ | 1600 | |

შენიშვნა: ცხრილში მითითებული რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

# განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ორეტაპიან ტენდერს თბილისი-სენაკი-ლესელიძის კმ.27-კმ.43 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოებზე (გზის სამოსის კონსტრუქციის მოწყობა, მათ შორის ცემენტბეტონით მოწყობის სამუშაოები) საზედამხედველო მომსახურების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს.

2 მიწოდებნის ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად (რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების შესრულების ვადების შესაბამისად)

დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი მომსახურების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკური პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოებში.

**3.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები, სადაც მოცემული იქნება ზოგადი მოსაზრებები გასაწევი მომსახურების განხორციელების შესახებ და აღნიშნული იქნება ის ძირითადი სტანდარტები და ნორმები (საზედამხედველო მომსახურების გაწევისას გამოყენებული და დაცული უნდა იქნეს საერთაშორისო, ძირითადად გერმანული და საქართველოში მოქმედი შესაბამისი ნორმები და სტანდარტები), ქართულ ენაზე ღირებულების გარეშე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტებით 2006 წლის 8 მაისის $9^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე და 2006 წლის 10 მაისის $9^{00}$ საათიდან $12^{00}$ სთ.-მდე (სამუშაო პერიოდში), ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი, ერთი ასლი), შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

დაინტერესებული იურიდიული ან/და ფიზიკური პირების საკვალიფიკაციო მონაცემებს და პირველად სატენდერო წინადადებებს განიხილავს შესაბამისი საექსპერტო კომისია, რომლის დასკვნის საფუძველზეც სატენდერო კომისია ტენდერის პირველ ეტაპზე მოახდენს იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებთან ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტებას და განსაზღვრავს პრეტენდენტებს.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

პირველადი სატენდერო წინადადებების შეფასებისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასება.

ტენდერის მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით, ტექნიკური მაჩვენებლებით და სხვა მონაცემებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** ცნობები:

**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**გ**) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ იურიდიული პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 4.1.1. პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**4.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

უცხო ქვეყნის იურიდიულმა პირებმა ცნობები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი სამსახურებიდან.

**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

-- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მოწყობილობების, დანადგარების და აპარატურის შესახებ.

ტენდერში მონაწილე იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს, ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) გზის სამოსის მოწყობისათვის (მათ შორის ცემენტბეტონის საფარის) ლაბორატორიული შემოწმებისათვის საჭირო შესაბამისი აპარატურა. აპარატურა უნდა იყოს თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგეს ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

| N | ლაბორატორიული აპარატურისა და მოწყობილობა-დანადგარების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

ბ. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მოწყობილობები, დანადგარები და აპარატურა იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში, ან სარგებლობაში, ან საკუთრებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები (კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ მოწყობილობები, დანადგარები და აპარატურა იმყოფება მის ბალანსზე, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი აუდიტორული დასკვნა; თუ რომელიმე მოწყობილობები, დანადგარები და აპარატურა აყავს იჯარით, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება; თუ რომელიმე მოწყობილობების, დანადგარების და აპარატურის შეძენა ხდება ქვეყნის გარედან, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები და ცნობა, თუ როდის იქნება ეს მოწყობილობები, დანადგარები და აპარატურა საქართველოში, და ა. შ.).

-- ცნობას ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

-- ტენდერში მონაწილე იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს გამარჯვების შემთხვევაში, ცემენტბეტონის საფარის მოწყობის საზედამხედველო მომსახურების გაწევის მიზნით უნდა ჰყავდეს ან დაიქირაოს (ცემენტბეტონის საფარის მოწყობისათვის საჭირო დროის პერიოდში) უცხოელი მაღალი კვალიფიკაციის ცემენტბეტონის საფარების გამოცდილი სპეციალისტი.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტებს უნდა გააჩნდეს საავტომობილო გზებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი (კონკრეტული ობიექტების მითითებით), დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია. ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის წლები.

**გ.** ბიოგრაფიულ მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით დეტალურად.

-- ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ გასაწევი სამუშაოს შესახებ.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი სამუშაოს სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური სამუშაოები.

**გ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორის თითოეულ სპეციალისტს (ინჟინერ-ტექნიკური) შესრულებული აქვთ ანალოგიური სამუშაოები (წლების ჩვენებით).

**დ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: ქვე-კონტრაქტორის თითოეული სპეციალისტის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით.

**ე.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში.

-- ცნობას იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში გაწეული საზედამხედველო მომსახურების, გამოცდილების შესახებ. შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენით (ხელშეკრულებების ასლები).

იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ერთ-ერთ წელს მაინც, საავტომობილო გზებზე გაწეული უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ 10 000 000 ლარის ღირებულების სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურება.

შენიშვნა: ცნობა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| N | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

-- ცნობა 2006 წლის 1 აპრილის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ. მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი.

**4.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება), მიუთითეთ საკონტაქტო ტელეფონები;

**5.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**6.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

**7.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-3 და მე-4 მუხლებში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო და პირველად (ტექნიკური მაჩვენებლები და სხვა მონაცემები) მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**8.** დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000), მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

სატენდერო დოკუმენტაციის შეძენის ვადა დაზუსტდება ტენდერის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ და პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით, პირველი ეტაპის დასრულებიდან 2 დღის ვადაში.

9. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/.და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს მაღალრეიტინგული ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.

**10.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 37.63.95 გია დიასამიძე.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), ხელმეორედ აცხადებს ტენდერს გურჯაანი-აფენი-კაბალის საავტომობილო გზის კმ.1-კმ.30 მონაკვეთის მიმდინარე შეკეთების სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

2. სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად (სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული სამუშაოების შესრულების ვადების ფარგლებში).

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**3.** დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000), 2006 წლის 20 აპრილიდან, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

**4.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 8 მაისის $9^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე და 2006 წლის 10 მაისის $9^{00}$ საათიდან $12^{00}$ საათამდე (სამუშაო პერიოდში), ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1** ცნობები:

**5.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**გ**) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ იურიდიული პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.1 პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**5.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

